ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა **ქრისტიანობის ისტორია**

ზოსიძე მელანო

ეპოქალური დამოკიდებულებების ისტორია ქალის რელიგიური უფლებებისადმი

ნაშრომი შესრულებულია ქრისტიანობის ისტორიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი ქეთევან პავლიაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ,

თბილისი

2019

ანოტაცია

ქალის რელიგიური უფლებები ყველა ეპოქაში აქტუალური და საჭირბოროტო საკითხია; იგივე ითქმის XXI საუკუნეზეც. საუკუნეების მანძილზე რელიგიურ ჭეშმარიტებას აცდენილმა მსჯელობებმა დაამახინჯა ქალის უფლება-მოვალეობები როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე რელიგიაში. გამომდინარე აქედან, საზოგადოებაში გაჩნდა, ამასთან დაკავშირებით, მრავალი მითი თუ თქმულება. ქალის რელიგიური უფლებებით დაინტერესება-შესწავლა კი ანტიკურობიდან დავიწყეთ, სადაც ამ პრობლემას ჩაეყარა საფუძველი, როდესაც ქალი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ეკლესიაში, მეჩეთსა თუ სინაგოგაში, ამ საკითხის სათანადო შესწავლა ეპოქალური თანმიმდევრობითაა საჭირო როგორც რელიგიური, ისე სოციალური თვალსაზრისითაც.

ნაშრომის მიზანია ქალის რელიგიური უფლებების შესწავლა ეპოქების შესაბამისად. ამ თვალსაზრისით, დასახელებული საკითხი აღნიშნული კუთხით საისტორიო ლიტერატურაში სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა. ანტიკური ხანის ქალი, რომელიც ჯადოქრობასთან და ბნელ ძალებთან ასოცირდებოდა, სხვადასხვა რელიგიამ, განსხვავებულ ეპოქაში, განსხვავებული უფლება-მოვალეობები მიანიჭა. თანამედროვე ეპოქამ კი, ეს მოვალეობები ორმაგად გაზარდა და ამა თუ იმ სექტანტურ მიმდევრობად აქცია. ნაშრომის მიზანია ამ უკანასკნელით დაინტერესება, მართებული და მცდარი დამოკიდებულებების წარმოჩენა.

ნაშრომის **მეცნიერულ** სიახლეს პირველ რიგში წარმოადგენს სწორი ინტერპრეტაცია ქალის რელიგიური უფლებებისადმი. აღნიშნულ ნაშრომში წარმოდგენილია სხვადასხვა ეპოქა, ამ ეპოქაში სხვადასხვა რელიგია და ამ რელიგიებს შორის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები ქალის უფლება-მოვალეობებისადმი.

სამაგისტრო ნაშრომი დამუშავდა როგორც სამეცნიერო ლიტერატურაზე, ასევე ელექტრონულ ჟურნალ-გაზეთებზე და საარქივო მასალაზე დაყრდნობით.

Annotation

Women's religion rights has always been active and rigid issue in all ages. The same is true about 21st century. Causing by the considerations unsuitable to the religion truths, women's rights and duties have been defaced in social life as well as in religion over centuries. Thus, there have appeared myriad legends and sayings in society connected to this. Also, fascination-studying process of the women's religion rights we have started from ancient ages, where was established the problem, when a woman used to play an important role in church, synagogue or mosque. The researching process of this issue needs to be conducted in an epochal sequence in the term of religion as well as social meaning.

The purpose of this thesis is to study woman's religion rights according to the epochs. By this mean, the named issue has not become research object from this angle in the historical literature. Ancient woman, who used to be associated with witching and dark forces, was granted different right-duties by different religions in different epochs. But, the modern time has doubled these duties and converted them into several sects. The purpose of the work is to give attention to this last one and show right and wrong attitudes.

The scientific innovation of the work at first is the right interpretation of the women's religion rights. In the given work here are introduced various epochs, religions and commons and differences among them related to the woman's rights and duties.

The master thesis has been processed on the basis of scientific literature, electronic magazine-newspapers and archive materials as well.

სარჩევი

შესავალი.....7

თავი I

ელინისტური და იუდაური სამყარო - ქალის ადგილი პოლითეისტურ და მონოთეისტურ რელიგიაში.....14

§1. ელინისტური სამყაროს დამოკიდებულება ქალის რელიგიური უფლებებისადმი 14

§ 2. ქალის რელიგიური უფლებები იუდაურ სამყაროში.....23

თავი II

შუა საუკუნეების ეპოქა და ქალის რელიგიური უფლებები.....28

§1. მართლმადიდებლური ეკლესია და ქალის რელიგიური უფლებები 28

§2. კათოლიკური ეკლესია და ქალის რელიგიური უფლებები.....34

§3. ისლამი და ქალის რელიგიური უფლებები 37

თავი III

“ახალი დროის“ ეპოქალური ცვლილებები ქალის რელიგიურ უფლებებში 44

თავი IV

საბჭოთა ეპოქის დამოკიდებულება ქალთა რელიგიური უფლებებისადმი.....55

თავი V

თანამედროვე ეპოქა ქალის რელიგიურ უფლებებზე.....74

§1. ეკუმენური მოძრაობა და ქალის რელიგიური უფლების საკითხი.....74

§2. ფემინისტური მოძრაობის დამოკიდებულება ქალის რელიგიური უფლებებისადმი 85

დასკვნა.....93

ბიბლიოგრაფია 97

შესავალი

საკვლევი თემის აქტუალობა თანამედროვე ფემინისტურმა მოძრაობამ წინ წამოსწია ზოგადად ქალის როლისა და უფლებების საკითხი. მათ შორის რელიგიაში ქალის უფლების პრობლემაც. შესაბამისად, ქალი, როგორც საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი და ქალი, როგორც ისტორიულად რელიგიური უფლებების მატარებელი პირი მეცნიერული კვლევის უწყვეტი ობიექტი გახდა.

ყველა ისტორიულ ეპოქაში, ქალის რელიგიური უფლება სადაო საკითხს წარმოადგენდა ცალკეულ რელიგიებთან შესაბამისობაში. ამ მხრივ, გამოირჩეოდა საბჭოთა ათეისტური პოლიტიკა და ანტიქრისტიანული იდეოლოგია. აღნიშნულ ეპოქაში ქალი, როგორც რელიგიური ნიშნის მატარებელი სრულ ვაკუუმში აღმოჩნდა. ფემინისტური მოძრაობის წევრთათვის საბჭოთა ეპოქის ქალის რელიგიური შეზღუდულობა პოსტსაბჭოთა ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთგვარ გამოძახილს წარმოადგენდა, რაც დარგში ამ საკითხის ფაქტობრივი შესწავლის ვაკუუმს წარმოადგენს.

ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების თანამედროვე ეტაპი მკაფიოდ მოითხოვს ქალთა რელიგიური უფლებების შესწავლას ისტორიის სხვადასხვა ეტაპსა და რელიგიებში, რამეთუ საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა მოძღვრებითმა წნეხმა, ხოლო შემდგომში, დემოკრატიულმა ორიენტირებმა, ქალის დათრგუნულმა მდგომარეობამ, მუდმივმა შიშმა, თავისუფალი აზრისა და ქმედების ვერ გამოხატვამ,მენტალური გადატრიალება მოახდინა. ცალკეულ ეპოქებსა და რელიგიებში დაკარგული უფლებების აღდგენისკენ მისწრაფებამ დროთა ვითარებაში განსხვავებული აზრი და იდეა წარმოშვა და ხშირ შემთხვევაში, დამახინჯებული სახეც მიეცა. იმისათვის, რომ საკითხი ობიექტურად იქნეს შესწავლილი და წარმოჩინდეს თუ რომელი რელიგია რას კრძალავდა და რეალურად რა უფლებები ჰქონდა და აქვს ქალს ამა თუ იმ რელიგიაში, ამისთვის საჭიროა მისი კვლევა კაცობრიობის დასაბამიდან, კერძოდ, სამყაროში ქალის მოვლინებიდან.

გამოკვლევის საგანი: წინამდებარე ნაშრომის გამოკვლევის ობიექტია - „ეპოქალური დამოკიდებულებების ისტორია ქალის რელიგიური უფლებებისადმი“, სადაც გაშუქებულია ცალკეულ ისტორიულ ეტაპზე, ამ ეპოქის წამყვან რელიგიებში ქალის უფლება-მოვალეობანი, რელიგიური აკრძალვები, მისი გამომწვევი მიზეზები და ძირითადი ასპექტები.

გამოკვლევის ქრონოლოგიური ჩარჩო: სამაგისტრო ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო ზოგადად მოიცავს ყველა იმ პერიოდს, რომელშიც ქალის როლი ფიგურირებს რელიგიებში. შევისწავლეთ ელინისტური სამყარო და მისი დამოკიდებულება ქალის რელიგიური უფლებებისადმი, იუდაური სამყარო, შუა საუკუნეების ეპოქა, რომელშიც შეინიშნება ერთგვარი სხვაობანი: დიდი სქიზმის შემდგომ სახეზე გვაქვს ქრისტიანობაში კათოლიკური და ორთოდოქსალური სამყაროები, რომელთაგან თითოეული განსხვავებულად მოიაზრებს ქალის უფლება-მოვალეობას.

ადრე შუა საუკუნეებში ჩნდება ახალი რელიგია - ისლამი, რომელიც წინამდებარე ეპოქებისგან რადიკალურად განსხვავებულ სახეს იღებს. ნაშრომის მეორე თავში განხილულია „ახალი დროის“(XVII-XIX სს) ეპოქალური ცვლილებები ქალის რელიგიურ უფლებებში. აღნიშნული ეპოქა მისი წინამორბედებისაგან მეტად განსხვავებულია, რადგან ქალის როლი მაქსიმალურად გაზრდილია და ქალი ეკლესიაში უთანაბრდება მამაკაცს, რაც სრულყოფილად პროტესტანტულ ქრისტიანობაში შეინიშნება. მესამე თავში წარმოდგენილია საბჭოთა ეპოქის დამოკიდებულება ქალთა რელიგიური უფლებებისადმი; ნაჩვენებია ათეისტურმა იდეოლოგიამ, როგორ მოახერხა სხვადასხვა კლასიკურ რელიგიებში შეეცვალა და განსხვავებული სახე მიეცა ქალის უფლებებისათვის. მეოთხე თავში განხილულია ფემინისტური მოძრაობა და მისი დამოკიდებულება ქალის რელიგიური უფლებებისადმი.

ნაშრომში კვლევა იწყება ძველის პერიოდიდან ვიდრე თანამედროვე ეტაპამდე. თითოეულეტაპზე ზოგი რელიგია ქალს გარკვეულ ფუნქციას აკისრებს, ზოგი კი სრულად შთანქავს ქალს, როგორც პიროვნებას ისე, მის უფლებებს.

გამოკვლევის მიზანი: სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას მიზნად დავისახეთ იმ ძირითადი ასპექტების შესწავლა და ანალიზი, რომელთა საშუალებითაც კონკრეტულ ეპოქასა და კონკრეტულ რელიგიაში ქალს გააჩნდა გარკვეული რელიგიური უფლება-მოვალეობები, ხოლო გარკვეულ პერიოდში, მას ან არანაირი უფლება აღარ ჰქონდა არც რელიგიაში და, არც საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ან კიდევ ქალს, რელიგიაში იმთავითვე არანაირი უფლება-მოვალეობა საერთოდ არ ჰქონია. ამასთან, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას მიზნად დავისახეთ:

ა) შეგვესწავლა ელინისტური ეპოქა და ამ ეპოქაში ქალის რელიგიური უფლება-მოვალეობანი. ანტიკურ საბერძნეთში ქალის რელიგიური უფლებების დაკნინების ფონზე, ჩვენ ვხვდებით ქალებს, რომლებიც გარკვეულ რიტუალებში მონაწილეობენ და ამავდროულად, ეს რიტუალებიც გარკვეული წესებითაა განსაზღვრული. ეს ფაქტი კი გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, ანტიკურობაში ქალის არა სრულიად უუფლებობაზე, არამედ უფლებებზე, რომელიც ისევ მამაკაცის კანონებს ექვემდებარებოდა;

ბ) ანტიკური ეპოქის წარმართ რელიგიაში ქალი ჯადოქრის, ბნელ ძალასთან მოკავშირის სიმბოლოა, აღმოსავლურ წარმართ რელიგიებში ქალი უწმინდურ არსებად კლასიფიცირდება. საზოგადოებასა და რელიგიაში ქალის მდგომარეობას კიდევ უფრო აკნინებს იუდაიზმი. ებრაული თალმუდის თანახმად, ქალს მხოლოდ ნეგატიური თვისებები ახასიათებს: შური, სიზარმაცე, ლაყბობა და ა. შ. იუდაიზმი ქალს ქმრის მონად მიიჩნევს. შეზღუდვების წინააღმდეგ გამოსვლის გამო, ქალი სასტიკად ისჯება: იდევნება, საპყრობილეში კეტავენ, ოჯახიდან აძევებენ და სხვა. სინაგოგებში ქალს ეკრძალება კაცის თანდასწრებით ლოცვა და საამისოდ, სინაგოგებში საგანგებო ადგილია გამოყოფილი;

გ) შუა საუკუნეებში ვხვდებით ცვლილებას რელიგიაში, კერძოდ, ქრისტიანობაში, ე.წ. დიდი სქიზმის სახით, როდესაც გაიყო დასავლური, ანუ კათოლიკური ეკლესია და აღმოსავლური, ანუ მართლმადიდებლური ეკლესია. კათოლიკურმა სამყარომ სრულად შთანთქა ქალის რელიგიური უფლებები, მართლმადიდებლობამ კი მცირედ, მაგრამ მაინც შემოგვინახა ზოგიერთი ელემენტი: ორთოდოქსალურ სამყაროში ქალი

არის მედავითნე, მგალობელი და მცირედით, მაგრამ მაინც არის ჩართული რელიგიურ ცხოვრებაში;

დ) ქალის პიროვნების დამცრობამ მოახდინა პროვოცირება ისლამში და იქ აღმოაცენა წმინდა ქალის კულტი. წმინდა ქალის კულტში სამი დედაკაცი მოიაზრება: იესოს დედა მარიამი, მუჰამედის დედა ამინასი და მათი ქალიშვილი ფატმა. ამ კულტზე იუწყება აპოკრიფური ლიტერატურა. მისი მიზანი იყო მუსლიმ ქალთა გამხნევება და მორჩილებაში ყოფნა იმ კანონების მიმართ, რომელიც ისლამში მუჰამედმა დააკანონა. ქალისადმი ასეთმა მიდგომამ აღმოაცენა ისლამში ქალთა მონასტრები, სადაც ქალები ეუფლებოდნენ ხელსაქმეს და მეცნიერებას. ისლამურმა სამყარომ ასეთ მონასტრებში ცოდნამიღებული არა ერთი სწავლული და მწერალი ქალი შეიძინა;

ე) „ახალმა დრომ“ ახალი ცვლილებები მოგვიტანა საზოგადოებრივ და რელიგიურ ცხოვრებაში. პროტესტანტულმა ქრისტიანობამ წინ წამოსწია და გაზარდა ქალის რელიგიური უფლებები, რომელთა პირველსახეს პირველ ქრისტიანებში ვხვდებით. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ, დედათდიაკვნის წოდებას; თუმც აქვე აღსანიშნავია, რომ დიაკონოსებს ღვთისმსახურებაში ჩართულობის უფლება არ ჰქონდათ და მხოლოდ ნათლობის რიტუალში (საიდუმლოში) მონაწილეობდნენ. რაც შეეხება ქალის ფუნქციას ბაპტისტურ ეკლესიაში, ქალი გვევლინება ეპისკოპოსად, მღვდლად; არა უბრალოდ, „დამხმარე“ პერსონაჟად, არამედ წამყვან ფიგურად. შეიძლება ითქვას, რომ ქალის რელიგიური უფლებების სრულყოფა მხოლოდ ამ მიმდინარეობაში გვხვდება. თუკი ჩვენ შევადარებთ ერთმანეთს განხილულ რელიგიებს და გამოვკვეთთ მათში ქალის რელიგიურ უფლებებს, აღმოჩნდება, რომ ზოგი რელიგია ან სულ უკრძალავს მას რაიმე სახის უფლებას, ან მცირედი დოზით მაინც გვხვდებიან; ხოლო, ქალის სრული რელიგიური, თავისუფალი უფლებები, პროტესტანტიზმის მიმდინარეობამ - ბაპტიზმმა, სრულყო;

ვ)ცვლილებები, რომლებიც ქალთა მდგმარეობაში ხდებოდა საბჭოთა საზოგადოებაში, მკვეთრად ათეისტურ ხასიათს ატარებდა; იკრძალებოდა ჯვრისწერა, მასობრივად გავრცელდა აბორტები, როგორც შვილიერების რეგულირების უმთავრესი საშუალება, სამსახური და კარიერა ვერ ეთავსებოდა რელიგიური

პრაქტიკის დაცვას. მორწმუნე ქალები იძულებულნი იყვნენ, დათანხმებულიყვნენ დაბალ თანამდებობებზე მუშაობას, ან დაემალათ თავიანთი რელიგიური ცხოვრება;

ზ) ყოველივე ზემოაღნიშნულმა საზოგადოებაში ქაოსი წარმოშვა და ამ ქაოსის სახეა თანამედროვე ფემინისტური მოძრაობა. ფემინისტური რელიგიის შექმნა თავისთავად არარეალურია, თუნდაც მხოლოდ იმის გამო, რომ მას მხარს არ უჭერს თვით ქალების უმრავლესობა, რადგან ფაქტია, რომ გაბატონებულთა და ქვეშევრდომთა ადგილების გადანაცვლებით კაცობრიობა უფრო ბედნიერი ვერ გახდება.

გამოკვლევის მეცნიერული სიახლე: სამაგისტრო ნაშრომში პირველი მცდელობით არის წარმოდგენილი საკვლევი პრობლემის ეპოქათა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ქალის რელიგიური უფლებების შესწავლა, კერძოდ,

1. თუ ქალს, ელინისტურ ანუ ანტიკურ სამყაროს წარმართ რელიგიაში ჯადოქრის, ბნელ ძალასთან მოკავშირის სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა, აღმოსავლურ წარმართ რელიგიებში ქალი უწმინდურ არსებად კლასიფიცირდება. კლასიკურმა რელიგიებმა მართალია გაიზიარეს პოლითეიზმის (წარმართობის) რიგი ნიშანი, მაგრამ ამავდროულად, იუდაიზმმა, ქრისტიანობამ, ისლამმა თუმც განსხვავებული, მაგრამ გარკვეული რელიგიური უფლებები მიანიჭეს ქალს და მეტ-ნაკლები დატვირთვის ფუნქციაც არგუნეს სინაგოგაში, ეკლესიასა თუ მეჩეთში;
2. შუა საუკუნეებში ქრისტიანობაში ხდება ე.წ. დიდი სქიზმა, როდესაც ეკლესია გაიყო დასავლურ, ანუ კათოლიკურ ეკლესიად და აღმოსავლურ, ანუ მართლმადიდებლურ ეკლესიად. კათოლიკურმა სამყარომ სრულად შთანთქა ქალის რელიგიური უფლებები, ხოლო მართლმადიდებლობამ მცირე დოზით, მაგრამ მაინც შემოგვინახა რიგი ელემენტი. ორთოდოქსალურ სამყაროში ქალი არის მედავითნე, მგალობელი და რასაკვირველია, მცირედით, მაგრამ მაინც არის ჩართული რელიგიურ ცხოვრებაში;
3. „ახალმა დრომ“ (XVII-XIX სს.) ეპოქალური ცვლილებები მოიტანა ქალის რელიგიური უფლებების მიმართულებით. ამ მხრივ, ნიშანდობლივია

პროტესტანტიზმის მიმართულება - ბაპტისტური ეკლესია, რომელმაც წინ წამოსწია და გაზარდა ქალის რელიგიური უფლებები. ბაპტიზმში ქალი გვევლინება ეპისკოპოსად, მღვდლად; არა საეკლესიო ე.წ. „დამხმარე“ პერსონად, არამედ წამყვან ფიგურად. შეიძლება ითქვას, ქალის რელიგიური უფლებების სრულყოფა მხოლოდ ამ მიმდინარეობაში გვხვდება.

4. საბჭოთა პერიოდი ზოგადად, რელიგიასთან მიმართებაში მეტად ყურადსაღები პეიოდია, რადგანაც გამომდინარე სახელმწიფოს ანტირელიგიური პოლიტიკისა, ამ დროს იკრძალებოდა ყოველივე, რაც რელიგიას ეხებოდა; მორწმუნე ხდებოდა რეჟიმის მონა და, რადგან სისტემა საბჭოთა საზოგადოებაში მკვეთრად ათეისტურ ხასიათს ატარებდა, შესაბამისად, იკრძალებოდა ჯვრისწერა, მასობრივად გავრცელდა აბორტები, როგორც შვილიერების რეგულირების უმთავრესი საშუალება, სამსახური და კარიერა ვერ ეთავსებოდა რელიგიური პრაქტიკის დაცვას. მორწმუნე ქალები იძულებულნი იყვნენ, დათანხმებულიყვნენ დაბალ თანამდებობებზე მუშაობას, ან დაემალათ თავიანთი რელიგიური ცხოვრება.

5. სამყაროში დემოკრატიულმა პროცესებმა საზოგადოების წინაშე ახალი „თავსატეხი“ წარმოშვა ფემინიზმის სახით. ფემინიზმის იდეოლოგიით, რელიგიურ თემებში ქალთა წვლილი და ლიდერობა გადამწყვეტია. მიუხედავად იმისა, რომ ქალთა თანასწორობისთვის ბრძოლა გრძელდებოდა წლების განმავლობაში და ამ პროცესს არა ერთი წარუმატებლობა ახლდა, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ადგილი აქვს პროგრესსაც. რეფორმატორობას, თავისი საზღვრები აქვს, ამ საზღვრების გადალახვა კი რელიგიის ფუნდამენტური საფუძვლების შერყევას იწვევს. ფემინისტური რელიგიის ფორმირება თავისთავად უტოპიაა, თუნდაც მხოლოდ იმის გამო, რომ მას მხარს არ უჭერს თვით ქალთა უმრავლესობა.

ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ბაზა: სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია პერიოდული პრესისა და თემატური ლიტერატურის გამოყენებით.

ისტორიოგრაფიაში: ბუაძე თ., რენესანსი და ქრისტიანობა; რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი „გული გონიერი“#3, ფემინისტური დიალოგები, კავშირი „საფარი“, პაპუაშვილი ნ., „საბჭოეთი და რელიგია“, „წიგნიერი“ პროფესიული საგანმანათლებლო ჟურნალი კითხვის, წერის და აზროვნების შესახებ, მიხეილ ხუნდაძის სტატია „ამიერ-კავკასიის სეიმი“ ჟურნალი „ახალი კვალი“ 1918 წ.

ქართულ, რუსულ და ინგლისურენოვანი ელექტრონულ ჟურნალ-გაზეთებს. ასევე სადისერტაციო ნაშრომებსა და მონოგრაფიებს, კერძოდ,

წყაროთმცდონეობაში: ყურანი, ძველი და ახალი აღთქმა. გავეცანით და ვისარგებლეთ, ძირითადი დებულებების ჩამოყალიბებაში დავეყრდენით ქართულ, რუსულ და ინგლისურენოვანი ელექტრონულ ჟურნალ-გაზეთებს.

გამოვიყენეთ ქართულ, რუსულსა და ინგლისურ ენოვანი წიგნები, კერძოდ, აბზიანიძე გ., ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, გელოვანი ნ., ქალი ისლამში (VII-Xსს), ერსან ო., ქალი ისლამში მისი უფლებები და ღირსებები, ვაჩნაძე მ., გურული ვ., საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, პავლიაშვილი ქ., საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია 1917-1921 წწ., როგავა გ., როგორ ებრძოდნენ რელიგიასა და ეკლესიას საქართველოში. სილაგაძე ე., მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ისტორია, ტონია ნ., ნადარეიშვილი ქ., პენელოპე, ხუციშვილი მ., როგორ ებრძოდნენ რელიგიასა და ეკლესიას საქართველოში 20-30- წლებში.

ნაშრომის სტრუქტურა: სამაგისტრო ნაშრომი შედგება: შესავლის, ხუთი თავის (პირველი თავი 2, მეორე, თავი - 3, 2-2 პარაგრაფისაგან) და დასკვნისაგან. ნაშრომს ერთვის გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხა.

თავი I

ელინისტური და იუდაური სამყარო - ქალის ადგილი პოლითეისტურ და მონოთეისტურ რელიგიაში

§1. ელინისტური სამყაროს დამოკიდებულება ქალის რელიგიური უფლებებისადმი

რელიგია ის სფეროა, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს, როგორც სულიერების მატარებელი; ეს მისი ზღვრული იმედებისა და მოლოდინის, მონანიებისა და განწმენდის, მისი ჭეშმარიტი, ღრმად დაფარული არსის შეცნობის წყაროა; პარადოქსულია, თუმც ფაქტია, რომ რელიგიური ტრადიცია სრულიად რეალურ, ხელშესახებ სოციალურ ძალას წარმოადგენს. ტრადიციულ საზოგადოებაში რელიგიურ ინსტიტუტებს საკრალური ავტორიტეტი გააჩნიათ, ამიტომაც ისინი რეალურ ძალაუფლებას ფლობენ.[1]

დასაბამიდან, მუდმივ ცვალებადობას განიცდის ქალის როლი და დანიშნულება რელიგიაში, მისი უფლება-მოვალეობები, აკრძალვები და ა.შ საყოველთაოდ ცნობილია, რომ საუკუნეთა სიღრმიდან არსებობდა ადამიანებს შორის სოციალური უთანასწორობა, მით უფრო კაცსა და ქალს შორის. ქალი იმთავითვე მამაკაცის წინაშე მორჩილ მდგომარეობაში იყო და მისი ფუნქცია საოჯახო-დედობრივი მოვალეობებით შემოიფარგლებოდა, თუმც, ისტორიულ სხვადასხვა ეტაპებზე იყო პერიოდები, როდესაც ქალი დიდ როლს ასრულებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ბიბლიის თანახმად, ქალის უფლებებზე საუბარი, პირველი ადამიანით იწყება, სადაც ადამის ნეკნისგან შექმნილ ევას უფალმა გარკვეული უფლებები მიანიჭა. ამ უფლებებში, რელიგიური უფლებებიც მოიაზრებოდა. ქალის ადამის წიაღიდან წარმოშობის თქმულება, ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ის მამაკაცისგან იჩრდილება; არის არა თავისუფალი ინდივიდი, არამედ სხვისი - მამაკაცის მორჩილი. ბიბლიის

[1] კიკნაძე თ., დონაძე ნ., გენდერი სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი; თავი 1. „რელიგიურ-ეთიკური მემკვიდრეობის გავლენა ქალთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში ჩართვაზე"; თბ; 2006, გვ.1

არაკი, ქალის, როგორც დამოუკიდებელ არსებაზე განსხვავებული შინაარსისაა, სადაც მამაკაცი თავად შენიშნავს: „ძვალი ჩემი ძვალთაგანი და ხორცი ჩემი ხორცთაგანია“...(დაბადება 2:23), რითიც ამტკიცებს, რომ ისინი ერთი მატერიისაგან არიან შექმნილნი და მათი არსიც ერთია. ნიშანდობლივია ბიბლიის ქვემორე ფრაგმენტიც: „და შექმნა უფალმა მამაკაცი და დედაკაცი ხატებდ თვისად“. მოცემული იმის დასტურია, რომ ქალსა და მამაკაცს შორის რომელიმე უპირატესი კი არ ყოფილა, არამედ, ორივე თანასწორია უფლის წინაშე. აღინიშნავია ისიც, რომ ბიბლიის თანახმად, პირველი ცოდვა, დაცემა უფლის წინაშე უკავშირდება ქალს, პირველად ევამ იგემა აკრძალული შემეცნების ხის ნაყოფი, რის გამოც ის ცოდვილის სახედ შემორჩა კაცობრიობას.

„პირველცოდვის სახისა“ და „ნეკნიდან წარმოშობის“ თეორიები დროთა ვითარებაში, ქალისადმი აგრესიული გამოვლინების საფუძველი გახდა. ძველი აღთქმის თანახმად, ღმერთმა უკვდავი სული მხოლოდ ადამს შთაბერა, რაც ქალისადმი ბიბლიაში არ არის ნათქვამი. ეს ფაქტი განსაკუთრებულ პოლემიკად ჩამოყალიბდა; გაჩნდა კითხვა: არის კი ქალი საერთოდ ადამიანი? კითხვაზე პასუხის გასაცემად ჯერ კიდევ 585 წელს საბერძნეთის ქალაქ მაკაონაში მოიწვიეს საგანგებო საეკლესიო კრება, სადაც განიხილეს ქალის ადამიანურობის საკითხი. ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ,სამღვდელოება მივიდა დასკვნამდე, რომ ქალი სულიერი არსებაა, ასეთი გადაწყვეტილების საფუძველი იყო წმინდა წერილი, რომლის თანახმად, იესო ერთდროულად ადამიანის - წმინდა მარიამის ძეც იყო. მიუხედავად ამ საეკლესიო განჩინებისა, ეკლესიისათვის ქალის ადამიანურობის საკითხი საუკუნეების მანძილზე სადაო პრობლემად იდგა, რაც თავის მხრივ, ზემოქმედებდა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზეც ქალის მიმართ. აღნიშნულის დასტურია 1690 წელს ფრანკფურტში გამოსული წიგნი - „ქალი არ არის ადამიანი“; 1750 წელს ლეიფციგში დაბეჭდილი წიგნი - „საყურადღებო აღმოჩენა- ქალი არ მიეკუთვნება ადამიანთა მოდგმას“ და 1943 წელს გამოცემული წიგნი- „წიგნი ცოლ-ქმრულ ცხოვრებაზე“.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, საუკუნეების მანძილზე საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ქალს და მამაკაცს განსხვავებული უფლებები

ჩამოუყალიბდათ. ქალი ყოველთვის მოიაზრებოდა კაცის მორჩილებაში და ისტორიულად, სხვადასხვა ეპოქაში ქალს განსხვავებული ფუნქცია-მოვალეობები ჰქონდა ოჯახშიც, საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც და რელიგიაშიც.

ერთობ საყურადღებო სურათს ჰქმნის ქალის რელიგიური უფლებები ანტიკური პერიოდის წარმართულ სარწმუნოებაში, კერძოდ, ინტერესმოკლებული არ არის თუ, როგორ ყალიბდებოდა ქალის მოვალეობანი, როგორ შეითვისეს და გაითავისეს აღნიშნული მოვალეობანი თუ აკრძალვები კლასიკურმა რელიგიებმა.

საისტორიო წყაროების თანახმად, ანტიკურ საზოგადოებაში ქალის უფლებები საგრძნობლად დამცრობილი იყო - ქალი ოჯახს მიკედლებული, ქმრის მორჩილებაში მყოფი არსებაა. ანტიკური ხანის გენდერული კვლევები პლატონსა და არისტოტელეს სახელებს უკავშირდება. ქალთა და მამაკაცთა შორის შრომითი საქმიანობის განაწილება, ქალისა და მამაკაცის როლის შედარებანი ოჯახსა და საზოგადოებაში, შობადობის რეგულირების აუცილებლობა - ეს ის საკითხებია, რომლებიც ანტიკური ხანის მოაზროვნეების ნაშრომებიდან იღებს სათავეს და დღემდე აქტუალურ თემად განიხილება. ბერძენ-ლათინ კლასიკოსთა შემოქმედებაში გადმოცემულია კლასიკური ხანის საზოგადოების დამოკიდებულება ქალისადმი. ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე აღნიშნავს:“ სამი რამ ითვლება ბედნიერებად, რომ არ ხარ ცხოველი, ბარბაროსი და არ ხარ ქალი“; ხოლო არისტოტელე კი წერს: „ქალი მოკლებულია მამაკაცურ ღირსებებს, ამიტომ ქალი არასრულყოფილი არსებაა“; და სხვ. ამგვარი დამოკიდებულება ქალისადმი სუფევდა საზოგადოებაში მთელი წარმართული პერიოდის მანძილზე.

საისტორიო წყაროების თანახმად,[2]ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ქალები ცდილობდნენ მიეღწიათ საზოგადოებაში იმ პოზიციებისათვის, რომლებიც საკუთრივ მამაკაცურ სფეროებს განეკუთვნებდნენ. ცნობილია, რომ იყვნენ მმართველი ქალები, ქურუმი ქალები, გადამწერი ქალები და ა.შ.[3] ყურადღებას იპყრობს ასირიის ერთ-ერთი მმართველის წერილი , სადაც ის ადრესატს უბოდიშებს ტექსტის ქალის მიერ დაწერის

[2]კოვალიოვი ს. ი., საბერძნეთის ისტორია; თბ., 1938, გვ. 51
[3] იქვე

გამო, ჩანს, იმ ხანად, ქალს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ მამაკაცთან გათანასწორების გზა უკავშირდებოდა განათლებას, ინტელექტუალურ შრომას. ერთ-ერთ ძველ აღმოსავლურ დოკუმენტში დადასტურებულია ქალის შემდეგი ფრაზა: „ჩემი საუბარი მაძლევს შესაძლებლობას, შემადარონ მამაკაცს“[4]. იმ შორეულ საუკუნეებში ქალის უფლებათა შეზღუდვით ძველი აღმოსავლური საზოგადოებები გამოირჩეოდნენ. არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ იქ ჩამოყალიბდა პირველად აზრი ბოროტისა და მაცდურობის ქალური საწყისის თაობაზე, რამაც თავისი გამოვლენა ჰპოვა ბიბლიაში[5].

განსხვავებულ გარემოსთან გვაქვს საქმე ანტიკურ საზოგადოებაში,ქალთა დამოკიდებულების თვალსაზრისით, მან თითქმის მემკვიდრეობად მიიღო ორი მიმართულება: პირველი, რომელიც გარკვეულწილად ცნობს ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობას,და მეორე, რომელიც მიისწრაფვის საზოგადოებაში ქალთა უფლებების შეზღუდვისაკენ. აღსანიშნავია,რომ ანტიკურ საზოგადოებაში, საკმაოდ გვიანდელ ეპოქამდეც კი, გვხვდება ქვეყნები და ბერძნული ახალშენები, სადაც ქალთა როლი საზოგადოებაში საკმაოდ მნიშვნელოვანია. ამ მხრივ საყურადღებოა სპარტა. საისტორიო წყაროების თანახმად, ოდესღაც სპარტის დედოფალმა გორგომ ერთ უცხოელ ქალს, რომელიც ქილიკობდა სპარტელი ქალების მამაკაცებზე ზეაღმატებულობის გამო, ასე მიუგო: „ნამდვილ კაცებსაც მხოლოდ ჩვენ ვშობთ“[6].

ელინისტურ საზოგადოებათა აბსოლუტურ უმეტესობაში ქალის ადგილი განსაზღვრულია, თუმცა შეინიშნება ამ რეგლამენტის გარღვევის გარკვეული ცდაც, იმ სფეროების ძიებისა, სადაც ქალები შეძლებდნენ მამაკაცებთან გათანაბრებას.

ელინისტური ხანის ქალის ცხოვრება ძირითადად ოჯახს უკავშირდებოდა.[7] ქალი ოჯახის აუცილებელ წევრს წარმოადგენდა. ქალი მოვალე იყო გაეჩინა ლეგიტიმური მემკვიდრე, რათა ოჯახს მიწაზე საკუთრების უფლება შეენარჩუნებინა.მას ასევე დაეკისრა, რომ გათხოვების დროს ერთი ოჯახის საკუთრება მეორესთვის გადაეცა.

---

[4]I. Seibert, Die Frau im Alten Orient, Leipzig. 1973,gv. 58-59

[5]Bibel Lexikon, Hrsg. Von H. Haag. St. Bennoverlay, Leipzig, 1969

[6]პლუტარქე, „პარალელური ბიოგრაფიები“,ლიკურგოსი 14.

[7]ტონია ნ., ნადარეიშვილი ქ., გვ. 43

გამომდინარე აქედან, ქალი აუცილებლად უნდა ყოფილიყო დაცული, ყოფილიყო მკაცრი კონტროლის ქვეშ, შეეზღუდათ რათა სახელმწიფოს საჭიროებისთვის მას სამსახური ყოველთვის გარანტირებული ჰქონოდა. ამრიგად, სამმა დასახელებულმა ფაქტორმა: შეზღუდვამ, დაცვამ და კონტროლმა გამოიწვია ქალის მდგომარეობის სხვაზე დაქვემდებარება როგორც სოციალურად, ისე კულტურული თვალსაზრისით.

სოციალურ კონტაქტებს შორის უმთავრესი იყო საოჯახო რიტუალებსა და რელიგიურ დღესასწაულებში მონაწილეობის უფლება. საოჯახო რიტუალებიდან დაკრძალვის და ქორწინების ცერემონიებში ქალი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. დაკრძალვის რიტუალთან ქალი უხსოვარი დროიდან მჭიდროდ იყო დაკავშირებული,კერძოდ, მდიდრული დაკრძალვების ცერემონიალზე მიღებული იყო პროფესიონალ მოტირალი ქალების საგანგებოდ მიწვევა.[8]

ელინისტური სამყაროს სხვადასხვა რეგიონში, თვით რომაული ბატონობის ეპოქამდე, გვხვდებიან ცნობილი ქალები საზოგადოებრივი ცხოვრების სრულიად სხვადასხვა სფეროებში. მათ შორის, განსაკუთრებით აქტიურია ქალთა მონაწილეობა რელიგიურ ცხოვრებაში. საისტორიო წყაროები ასახელებენ ქალ-ქურუმებს, აგრეთვე იმ ქალებს, რომელებიც ამ სფეროში განსაკუთრებული აქტიურობისათვის საპატიო აღნიშვნისა და წერილობითი ფიქსაციის ღირსნი ხდებოდნენ.[9] ქალის რელიგიური მსახურება რამდენიმე ასპექტს მოიცავდა:

1. ქალს ეკავა სხვადასხვა რელიგიური თანამდებოდა,
2. მონაწილეობდა ტაძრის ხელდასხმის (ტაძრის მსახურების) რიტუალებში და
3. აქტიურად იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა რელიგიურ დღესასწაულში.

ერთ-ერთი უმთავრესი რელიგიური თანამდებობა, რომელიც ქალს მამაკაცის თანასწორად ეკავა, ქურუმის ტახტი იყო. კრეტაზე ხანგრძლივი მატრიარქატის გადანაშთების და ქალის გამოსახულების არტეფაქტები დიდი რაოდენობით დაკავშირებულია კრეტის ქალ-ღმერთის კულტთან.[10]

---

[8]ტონი ნ., ნადარეიშვილი ქ., დასახ. ნაშრომი, გვ. 33
[9] ტონია ნ,.ნადარეიშვილი ქ., დასახ. ნაშრომი გვ.69
[10] კოვალიოვი ს. ი., დასახ. ნაშრომი გვ.51

ქალ-ღვთაებებთან ერთად ქურუმი ქალები მამაკაც ღმერთებსაც ემსახურებოდნენ და რამდენადაც საისტორიო წყაროებიდან არისცნობილი, 40-ზე მეტ ძირითად კულტში იღებდნენ მონაწილეობას. ამათგან, ყველაზე საპატიო ქალღმერთ ათენას ქურუმობა იყო, ქალღმერთისა, რომელიც ქალაქის მფარველ ღვთაებას წარმოადგენდა.

ათენის ქურუმები თავიანთი უშუალო სამსახურის გარდა, მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებშიც ერეოდნენ, რამდენადაც მათი თანამდებოდა საპატიოს გარდა, გავლენიანიც იყო. ისინი ცდილობდნენ შეძლებისდაგვარად დაეცვათ საკუთარი ქალაქის ინტერესები. ერთ-ერთი ამგვარი შემთხვევის შესახებ ჰეროდოტე შემდეგს მოგვითხრობს.[11] ისტორიკოსის გადმოცემაში სპარტელები, რომლებიც ქურუმის გაფრთხილებას არ ითვალისწინებენ, სასტიკად მარცხდებიან, რაც ამ თანამდებობისთვის ნიშანდობლივ ავტორიტეტს უსვამს ხაზს.[12]

ანტიკური ეპოქის მნიშვნელოვანი მსახურება, რომელსაც ქალი აღასრულებდა, ბასილინას - არქონტ ბასილევსის ცოლის თანამდებობა იყო. იგი ანთესტერიების დღესასწაულზე ღვთაება დიონისეს საკრალური ქორწინებით ეუღლებოდა, რაც ფრიად მნიშვნელოვან და საპატიო რიტუალს წარმოადგენდა. სამწუხაროდ, ჩვენთვის ნაკლებადაა ცნობილი ბასილინას მიერ აღსრულებულ სხვა მსახურებათა შესახებ; ვიცით მხოლოდ ის, რომ ბასილინა მრავალ რიტუალურ მსახურებას წარმართავდა, მაგრამ, რამდენადაც მისი მსახურება იდუმალი ხასიათის იყო, ბასილინას ფუნქციათა შესახებ წყაროებში თითქმის არ მოგვეპოვება ცნობები[13].

ქალები აქტიურად მონაწილეობდნენ ქალაქის საჯარო ღვთაებრივ დღესასწაულებში. ამათგან ათენში უმთავრესი პანათენაების დღესასწაული იყო, რომელიც ქალღმერთ ათენა-პოსიასის დაბადების დღეს ეძღვნებოდა. პანათენაიები თავისი საზეიმო ელფერით ქალთა მისტიური ზეიმებისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა. ქალები ამ უმნიშვნელოვანესი დღესასწაულების ცენტრალურ ნაწილს წარმართავდნენ - ისინი საზეიმოდ მიართმევდნენ ქალღმერთ ათენას იმ

[11]ტონია ნ., ნადარეიშვილი ქ., დასახ. ნაშრომი გვ. 49
[12] ჰეროდოტე. 5,72
[13]დემოსთენე, LIX, 73

პეპლოსს, რომელსაც თითქმის ერთი წლის განმავლობაში ქსოვდნენ. ამ პროცესის გარდა, ქალები საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად მონაწილეობდნენ დღესასწაულის მთავარ საზეიმო სვლაშიც. აქ სხვადასხვა ასაკის ქალს სხვადასხვა ფუნქცია ეკისრებოდა. ქალწულები კანეფოროსებად ანუ „კალათის მატარებლებაქდ“ მსახურობდნენ. მათ გვერდით იყვნენ ასევე ახალგაზრდა ქალიშვილები, რომლებიც ჭურჭლით წყალს დაატარებდნენ (მათ „ლიტროფოროსებს“ და „ჰიდროფოროსებს“ უწოდებდნენ). ზრდასრულ ქალებს მსხვერპლშეწირვის დროს სამსხვერპლო შეძახილის - „ოლილიგეს“ ძახილი ევალებოდათ. აქ შეხვდებოდით ე.წ. „პატივცემულ მოხუც ქალებს“ - გერაიებსაც. საჯარო-საკულტო დღესასწაულებში ქალთა ასეთი მრავალმხრივი მონაწილეობა, უდავოდ ნიშნავდა იმას, რომ ქალს საზოგადოება მთავარ წევრად მოიაზრებდა. ამასთან, იმასაც ადასტურებდა, რომ ქალები საზოგადოების მიმართ სოლიდარულნი იყვნენ.

თავად ქალები თავიანთ რელიგიურ მსახურებას მნიშვნელოვან საქმედ თვლიდნენ. არისტოფანეს „ლისისტრატეს“ ქორო. რელიგიურ კულტმსახურებაში ქალთა მონაწილეობას მათი ნამდვილი მოქალაქეობის დასტურად მიიჩნევს. ეს კი მათ უფლებას აძლევს, რომ ქალაქს „სასარგებლო სიტყვით“ მიმართონ. გავიხსენოთ ასევე ქალი-პერსონაჟის განაცხადი ევრიპიდეს „მელანიპეს“ ფრაგმენტიდან: „რელიგიაშიც, და ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ, ქალები, დიდ როლს ვასრულებთ“.[14] ქალებთან ერთად ელინელი კაცებიც ფართო მნიშვნელობას ანიჭებდნენ საკრალურ სფეროში ქალთა მონაწილეობას; მეტიც, ბერძნები ქალების წვლილს კულტმსახურებაში არა მარტო აუცილებლობად, არამედ საზოგადოებრივი წესრიგის და მისი უწყვეტობის გარანტად მოიაზრებენ.

ამრიგად, ელინიზმის ხანის ქალები ორი ტიპის რელიგიურ დღესასწაულში მოანწილეობდნენ: პირველი მათგანი სპეციფიკურად ქალური დღესასწაულებია, მეორე კი- საჯარო დღესასწაულები.

[14]ტონია ნ., ნადარეიშვილი ქ., დასახ. ნაშრომი გვ.50

დღესასწაულის დღეებში ქალები ემიჯნებოდნენ მამაკაცთა საზოგადოებას, ჰქმნიდნენ თავიანთ ორგანიზაციას, ირჩევდნენ წინამძღოლს, სამი დღით ტოვებდნენ სახლს და ცალკე, თესმოფორიონის ტაძარში ღამისთევით იკრიბებოდნენ. თესმოფორიებს მხოლოდ ქალები წარმართავდნენ. მასზე დასწრება არა მარტო მამაკაცებს, არამედ ქალიშვილებსაც ეკრძალებოდათ. ეს კი ქალთა დამოუკიდებლობას და შესაბამისად, პატრიარქალური წესრიგის რღვევას აღნიშნავდა. ოჯახის დაშლა, სქესთა განცალკევება, სექსუალური ურთიერთობების შეწყვეტა-განადგურებით ემუქრებოდა რამდენადაც ამ დღესასწაულს მხოლოდ ქალები წარმართავდნენ, ისინი გარკვეულწილად ინვერსიულ ძალებთან ასოცირდებოდნენ; თუმც საკულტო მსახურებას ახლდა ნაყოფიერების მომტანი რიტუალი .[15]

ანტიკური ხანის ფართოდ გავრცელებულ საკულტო ცერემონიალს წარმოადგენდა ტაძრის სამსახურისთვის გოგონათა მიძღვნის, ხელდასმის ადათი. რამდენიმე მათგანს არისტოფანეს „ლისისტრატეში“ ქალთა ქორო მოიხსენიებს.[16] ამ წესის თანახმად, გოგონები გარკვეული დროის მანძილზე ტაძრის სამსახურში უნდა ყოფილიყვნენ. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ხელდასხმა „არეფორობა“ იყო, რომელიც საპატიო სამსახურიც გახლდათ და კეთილშობილი ოჯახიდან გამოსულ გოგონებს უნდა აღესრულებინათ. ამ გოგონებს, რომლებიც 7-დან 11 წლამდე ასაკის უნდა ყოფილიყვნენ, თავად არქონტი ბასილევსი ირჩევდა. არეფორებს დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში აკროპოლისზე უნდა ეცხოვრათ და ათენასთვის ემსახურათ. აქ ისინი უვლიდნენ ზეთისხილის წმინდა ხეს და იწყებდნენ ქალღმერთ ათენასათვის მისართმევი პეპლოსის ბეჭდვას. თავიანთ მსახურებას არეფორები აღასრულებდნენ არეფორიის მისტერიულ დღესასწაულზე, რომელიც ღამით გამართულ იდუმალ მსვლელობას წარმოადგენდა. გოგონებს თავდახურული კალათები საიდუმლო ჩასასვლელით ქვემოთ ჩაჰქონდათ და იქ, მღვიმეში ტოვებდნენ. აქვე იღებდნენ ისინი საბურველში გახვეულ უცხო საგნებს, დებდნენ კალათში და ისევ ზემოთ ამოჰქონდათ. არც ქურუმმა ქალმა და, არც გოგონებმა არ იცოდნენ, თუ რა იდო

[15] Burkert, 1985, 246

[16]არისტოფანე „ლისისტრატე“, 640-647

კალათაში, რადგან ეს საგნები გასაიდუმლოებული იყო და მათი გასაჯაროება იკრძალებოდა.[17]

ამრიგად, მიმდინარე მსჯელობა ადასტურებს ქალის მნივნელოვან როლს რელიგიურ ცხოვრებაში, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომრელიგიურ პროცედურაში ქალი მხოლოდ თავისსავე სქესის წარმომადგენლის გვერდით ჩანს, მამაკაცის თანდასწრებით, ქალს ეკრძალებოდა რელიგიურ პროცედურაში ნებისმიერი ფუნქციის შესრულება. როგორც ვხედავთ, ანტიკური პერიოდი ქალს რელიგიურ უფლებებს მკაცრად განსაზღვრავს. ამასთან, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ქალები ჰეტერებად წოდებულები და მათი ურთიერთობა ღვთაებებთან. ჰეტერები ეს იყვნენ გამორჩეულები თავიანთი სილამაზითა და განათლებით. თუკი სხვა რიგითი ქალებისთვის დაწესებული იყო აკრძალვები, ჰეტერები სრულ თავისუფლებაში იყვნენ. ცნობილია მათი ურთიერთობა ღვთაებებთან, არა მხოლოდ როგორც მლოცველისა, არამედ ხშირად მათი ინტიმური ურთიერთობისა. აქვე უნდა აღინიშნოს მოცეკვავე ჰეტერა ფრინა, რომელიც ორატორ ევფიასს შეუყვარდა. ჰეტერა კი მას დასცინოდა. ორატორმა მას ათენის სასამართლოში უჩივლა - ბრალი უღმერთობაში და აღვისახსნილობაში დასდო, რაც სერიოზულ ბრალდებად ითვლებოდა. ამ ბრალდებით ის შეიძლება სიკვდილითაც დაესაჯათ. ამის მიზეზი იყო აფროდიტე კნიდსელის ქანდაკება, რომელიც პრაქსიტელეს მიერ იყო შექმნილი და როდესაც ფრინა ჯერ კიდევ დამწყები ჰეტერა იყო, მას თაყვანი არ სცა. ამ ქანდაკებას ათასობით მორწმუნე თაყვანს სცემდა და მასზე ლოცულობდა. უარყოფილმა ორატორმა სწორედ ეს ფაქტი გამოიყენა და ფრინა ღმერთების უპატივცემულობაში დაადანაშაულა, თითქოსდაისაიძულებდაამხალხს, რომ სინამდვილეში მისთვის ეცათ თაყვანი. საბოლოოდ, მისი სილამაზით მოხიბლულმა მოსამართლეებმა ის სასიკვდილოდ ვერ გაიმეტეს და გაასამართლეს. მისი სიკვდილის შემდეგ,

[17]Burkert W., Greek Religion, Archaic and Classical, Basil Blackwell Publishing, 1985, (translated by J. Raffan), 229. Gould, 1980, 51

პრაქსიტელემ პატივი მიაგო ფრინას ხსოვნას - ჩამოასხა ულამაზესი ჰეტერას ოქროს ქანდაკება და დიანა ეფესელის ტაძარში დადგა.[18*]

ანტიკურ საბერძნეთში ქალის რელიგიური უფლებები მეტად დაკნინებულია. ჩვენ ვხვდებით ქალებს, რომლებიც გარკვეულ რიტუალებში მონაწილეობენ და ამავდროულად, ეს რიტუალებიც გარკვეული წესებითაა განსაზღვრული. ეს ფაქტი კი გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, ანტიკურობაში ქალის არა სრულიად უუფლებობაზე, არამედ უფლებებზე, რომელიც ისევ მამაკაცის კანონებს ექვემდებარებოდა. ეს კი, რასაკვირველია, თავისუფლებას სულაც არ ნიშნავს. ჩნდება კითხვა თუკი ქალი ზემო აღნიშნული უფლებებით მაინც მამაკაცის ჩრდილში მოიაზრება, მაშინ რა საჭირო იყო თუნდაც ასეთი სახით მათი უფლებების წინ წამოწევა? ვფიქრობ, აქ მოიაზრება ესაა ქალთა ამბოხება... თუ ქალს მხოლოდ სახლში ჩაკეტავდნენ და პირდაპირი მნიშვნელობით მონად აქცევდნენ, ერთხელაც ამ მონას გაუჩნდება სურვილი თავის დაღწევისა, ამიტომაც ანტიკურ საყაროში გვხვდება ინსტიტული ქურუმების სახით.

§ 2. ქალის რელიგიური უფლებები იუდაურ სამყაროში

„მადლობელი ვარ უფალო, რომ შენ მე ქალად არ გამაჩინე“, - იმეორებს ყოველდღიურ ლოცვაში ორთოდოქსი იუდეველი.

---

[18]http://intermedia.ge

*სიტყვა ჰეტერ ითარგმნება როგორც „შეყვარებული“ „თანამგზავრი“. ეს ქალები გამოჩნდნენ VII-IV საუკუნეებში. მათ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა მამაკაცის გართობა ინტელექტუალურად. ჰეტერები იყვნენ ქალები, გამორჩეულნი თავიანთი განათლებით და სხვადასხვა შესაძლებლობით. ისინი ღირსეულ მეგობრობას უწევდნენ ამ პერიოდის მოაზროვნეებსა და კულტურის წარმომადგენლებს. თუმცა ჰეტერები არუნდა გავიგოთ, როგორც მრუშ ქალები. ისინი იყვნენ საოცარი განათლების მქონნე ქალები, რომელბიც ხშირ შემთხვევაშ ეხმარებოდნენ იმპერატორებს სახელმწიფო საქმეების მოგვარებაში. ჰეტერები საკმაოდ მაღალი სოციალური სტატუსი ჰქონდათ. ათენში არსებობდა სპეციალური დაფა, სადაც მამაკაცები ჰეტერებს წინადადებებს სთავაზობდნენ შეხვედრასთან დაკავშირებით. თუ ქალი თანახმა იყო, მაშინ ის წინადადების ქვემოთ შეხვედრის დროს წერდა. მათ კარგად იცოდნენ საკუთარი თავის ფასი, ამიტომ მფარველად მხოლოდ იმას ირჩევდნენ, ვინც მათ გულს გაუხარდებოდა. სანაცვლოდ ისინი ძალიან მდიდრულ და ძვირფას საჩუქრებს იღებდნენ თავიანთი თაყვანისმცემლებისგან. ცნობილია ფაქტი, როდესაც ერთ-ერთმა ჰეტერამ მისი მფარველისაგან ნაყოფიერი მიწები მიიღო ყურძნის ვენახებით. (იხ. Intermedia.ge)

ებრაელები თავს რჩეულ ხალხად თვლიან, რაც ღმერთთან მათი სულიერი კავშირით არის განპირობებული. ზოგჯერ იუდაიზმს ებრაელების სულიერი და პოლიტიკური ლიდერის სახელის მიხედვით - „მოსეს კანონსაც“ უწოდებენ. იუდაიზმის „წმიდა“ წიგნებად თორა და თალმუდი ითვლება. თორა - ძველი აღთქმის პირველი ხუთი წიგნის კრებითი სახელწოდებაა. თვით სიტყვა თორა კი მითითებას, მოქმედების სახელმძღვანელოს ნიშნავს. წმიდა წიგნები შეიცავს ამბავს სამყაროსა და ადამიანის შექმნის შესახებ, აღწერს ღმერთისა და ადამიანების ურთიერთობას ადამისა და ევას სამოთხიდან განდევნის შემდეგ. ხუთწიგნეულის განსაკუთრებული სიუჟეტია ღმერთისა და ებრაელი ხალხის ურთიერთობა და ხელშეკრულების-„აღთქმის“ დადება. წიგნებში განსაკუთრებული ადგილი უკავია აგრეთვე რელიგიურ და სამართლებრივ საკითხებს. თორის კულმინაციურ სიუჟეტს წარმოადგენს მოსე წინასწარმეტყველის ქმედებების და იმის აღწერა, თუ როგორ უბოძეს მას ღვთის ,,მცნებები”. თალმუდი (მოძღვრება, მეცნიერება) თავდაპირველად მიშნას* კლასიკური ახსნა - განმარტების აღსანიშნავად იხმარებოდა, დიდი ხელოვნებით შესრულებული განმარტება კი ჯემერას სახელით არის ცნობილი. დღეისათვის არსებობს ბაბილონური და იერუსალიმის (პალესტინის) თალმუდები.[19]

ებრაულმა ნაციონალურმა კულტურამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ქალის რელიგიურ უფლებებში და ზოგადად ნიშანდობლივად განასხვავა წარმართულ რელიგიაში ქალის ფუნქცია იუდეველი ქალის რელიგიური უფლებისაგან. მან ქალს საშუალება მისცა უფრო მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა იუდაიზმის საზოგადოებრივ სფეროში. ორთოდოქსული იუდაიზმი კი მკაცრად იცავს თავის ტრადიციულ პოზიციებს. ტრადიციულად, იუდაიზმი მამაკაცებს მიმართავს; ღვთაებრივი მიმართვა ძირითადად მამაკაცების, აბრაამისა და მოსეს საშუალებით იქნა გადმოცემული; შესაბამისად, ლიდერობის პრივილეგიას მამაკაცებს ანიჭებს და

[19]http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4----4---0-1l--11-ru-10---10-ka-50--00-3-help-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-1utfZz-8-10&cl=CL1.8&d=HASH017c4c29ab02a4d620c75af3.6.2&gt=1

*თალმუდის შემადგენელი ნაწილი. საღმრთო წერილის ზეპირი კომენტარი. მომდევნო საუკუნეებში გაკეთებული კომენტარებითურთ შეადგენს თალმუდს.

ტრადიციულად ქალებს არ უშვებს რელიგიური გამოვლინებების ისეთ ძირითად სფეროებში როგორიცაა: განათლების მიღება და სიტყვის მიერი მონაწილეობა სინაგოგაში. ამასთან, დისკრიმინაციულია იუდაიზმი მემკვიდრეობის საკითხებშიც. ლოცვებსა და კანონებსაც მამაკაცები ქმნიან. მიუხედავად ამისა, ქალები ებრაელი ხალხის ისტორიულ განვთარებაში მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ.

იუდაიზმი იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ ქალები სრულყოფილი და მამაკაცის თანასაწორუფლებიანად შექმნილნი არიან. ღმერთმა ხელშეკრულება დადო მთელ ებრაელ მოსახლეობასთან (მამაკაცებთან და ქალებთან) და არა მარტო მამაკაცებთან. სხვადასხვა ენაზე თარგმნილ ბიბლიურ ტექსტებში ნათქვამია, რომ ცოლი შექმნილია ქმრის „დამხმარედ“ და მასში (ქმარში) სიყვარულის გრძნობის გასაღვიძებლად. ებრაული ტექსტი სიტყვა „დამხმარეს“ მამრობით სქესში ხმარობს და იგი ძველ აღთქმაში 110-ჯერ მეორდება; ყოველი მისი მოხსენიებისას ლაპარაკია პარტნიორულ, თანასწორუფლებიან ურთიერთობებზე. თუ მამაკაცი დაიმსახურებს, ცოლი მისთვის მოკავშირე და პარტნიორი იქნება, თუ არა - მოწინააღმდეგე. [20]

ბიბლიური ტექსტები იუწყებიან იმ ერთგული ქალების გულად ქმედებებზე, რომლებიც მამაკაცებისაგან დამოუკიდებლად მოქმედებენ, ზოგჯერ მამაკაცი ლიდერების წინააღმდეგაც. სწორედ პატრიარქალური ტრადიციების წინააღმდეგ გამოდის რებეკა, როდესაც ავითარებს ღვთაებრივ გეგმას თავისი უმცროსი ვაჟიშვილის იაკობის დასაცავად. ასევე მოსე, რომელმაც შემდეგ ებრაელი ხალხი ეგვიპტიდან გამოიყვანა, ბავშვობაში სიკვდილს მხოლოდ ქალების შემწეობით გადაურჩა, რომლებმაც ფარაონის გეგმები ჩაშალეს; თავდაპირველად ბებიაქალები შიფრა და ფუა არ დაემორჩილენ ფარაონის ბრძანებას და სხვა მრავალი.

იუდაიზმის პირველ ეტაპზე ქალები ამოღებულ იქნენ აღთქმის დადების პროცესიიდან. აღთქმით გათვალისწინებული წინადაცვეთის ცერემონია მხოლოდ მამაკაცების დასწრებით შემოიფარგლა და თვით სინას მთაზე ხელშეკრულების დადებისას მოსე მხოლოდ მამაკაცებს მიმართავს.[21] მიუხედავად ამისა, რაბინული

[20] www.nplg.gov.ge/.../library

[21] გამოსვლა, 9/15

იუდაიზმი ადასტურებს აღთქმის პირველ ცერემონიაზე ქალების დასწრების ფაქტს. მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ებრაელი ხალხი გრძნობდა, რომ ქალები ჩართულნი იყვნენ საღმრთო აღთქმაში და მნიშვნელოვან როლსაც კი ასრულებდნენ. აღთქმა დაიდო არა მარტო აბრაამთან, არამედ სარასთანაც. ღმერთის თვალში მხოლოდ აბრაამისა და სარას ვაჟიშვილი იყო სრულუფლებიანი მემკვიდრე. მოსეს საშუალებით გადმოცემული აღთქმის პირობები ქალებისა და მათ წინაშე საზოგადოების სხვა წევრების კონკრეტულ ვალდებულებებს შეიცავდა. მნიშვნელოვანია აღთქმის საფუძვლების მიღებისა და მათი შენარჩუნების გრძელი და რთული ისტორია. სწორედ ჰალდა, წინასწარმეტყველი ქალი ახდენს აღთქმის აუტენტურობის დადგენას; და მართლაც, მთელი ისტორიის მანძილზე ებრაელი ქალები თორის ზედმიწევნითი დაცვით და ცოდნით ადასტურებდნენ თავის სრულყოფილ მონაწილეობას აღთქმისეულ ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდული იყო ქალების მიერ თორის შესწავლა, რაბინები მათ კაშერის საკითხში დიდ ავტორიტეტებად მიიჩნევდნენ. როგორც ქრონიკები ადასტურებენ, ასეთ საკითხებში ისინი სისტემატურად მიმართავდნენ თავიანთი ცოლების რჩევებს. აქვე გასათვალისწინებელი და აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი - რატომ გადადის ეროვნება ებრაელებში დედის მხრიდან? მეცნიერები ასკვნიან, რომ ადამის ნეკნისგან შექმნილი ქალი იძენს იმდენად დიდ უფლებებს, რომ ეროვნების საკითხი მხოლოდ მისით განისაზღვრება. როგორც ირკვევა, ამ საკითხს ორი ახსნა აქვს:

1. წმინდა რელიგიური, რომელიც თორაზეა დამყარებული და
2. რელიგიურ ფესვებს მოკლებული.

განვიხილავ ორივე ვერსიას ცალ-ცალკე:

პირველი ვერსიის თანახმად, თორა პირდაპირ კრძალავს შერეულ ქორწინებას, ანუ არაებრაელი ქალის ცოლად მოყვანას. იუდეველებს ახსნა ასეთი აქვთ - არაებრაელი ქალი ჭეშმარიტ ებრაული ფასეულობების მატარებელ ბავშვს ვერ გაზრდის. აქედან ვერსია, რომ თუ დედა არ არის ებრაელი, შვილიც ვერიქნება ებრაელი, რადგან მისი პიროვნებად ჩამოყალიბება წლების მანძილზე დედის მეთვალყურეობის ქვეშ ხდება. იმისათვის, რომ იუდაიზმი სუფთა სახით

შეენარჩუნებინათ, აკრძალული იყო ებრაელად ეცნოთ დედით სხვა აღმსარებლობის ადამიანი. უფრო მეტიც, უცხო ტომელთან ქორწინება საუკუნეების მანძილზე ღმერთის წინაშე დანაშაულად ითვლებოდა. გამოსავალი იყო ერთი — უცხო ტომის ქალს უნდა აეღო რელიგიური პასუხისმგებლობა, რის შემდეგაც თავადაც და მისი შთამომავლობაც ებრაელებად ჩაითვლებოდნენ.

მეორე ვერსიის თანახმად, მთავარი ის კი არ იყო რას ითხოვდა თორა, არამედ ძველი ებრაელი მამაკაცების უნდობლობა უცხო ტომელი ქალების მიმართ. ანუ, სრული გარანტია იმისა, რომ ბავშვის მამაა არ აქვს, არცერთ მამაკაცს (აქ ითვლება ქორწინებაში დაბადებული ბავშვებიც); აბსოლუტური სიზუსტით შესაძლებელია მხოლოდ ბავშვის დედის ვინაობის დადგენა. ამიტომ ებრაელი დედის გაჩენილი შვილი ითვლება ებრაელად.[22]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ ქალი იუდაურ სამყაროში არათუ გაუტოლდა მამაკაცს, არამედ გარკვეულ საკითხებში მამაკაცზე წინ დადგა. ქალის კულტის აღზევება.

საზოგადოებასა და რელიგიაში ქალის მდგომარეობას კიდევ უფრო აკნინებს იუდაიზმი. ებრაული თალმუდის თანახმად, ქალს მხოლოდ ნეგატიური თვისებები ახასიათებს: შური, სიზარმაცე, ლაყბობა და ა. შ. იუდაიზმი ქალს ქმრის მონად მიიჩნევს. შეზღუდვების წინააღმდეგ გამოსვლის გამო ქალი სასტიკად ისჯება: იდევნება, საპყრობილეში კეტავენ, ოჯახიდან აძევებენ და სხვა. სინაგოგებში ქალს ეკრძალება კაცის თანდასწრებით ლოცვა და საამისოდ, სინაგოგებში საგანგებო ადგილია გამოყოფილი. ეს ფაქტი კი ერთი ორად ამძაფრებს უუფლებო ქალების პოზიციას. ამით ისინი არა მხოლოდ მამაკაცთა თვალში არიანდაკნინებული, არამედ ღვთისთვისაც მეორეხარისხოვნად ითვლება. თუმცა, იუდაიზმა ქალის როლი ოჯახურ ცხოვრებაში აამაღლა, რომლითაც ეროვნება პიროვნებისა განსაზღვრა დედით.

[22]https://sputnik-georgia.com/columnists/20170417/235637011/ratom-gadadis-erovneba-ebraelebshi-dedis-mxridan.html?fbclid=IwAR27CqxVZoAtK5tdsT9kSbHG812q0fNIKWtBLb72ryNb1KCgGOvrOWDlXso

თავი II

შუა საუკუნეების ეპოქა და ქალის რელიგიური უფლებები

§1. მართლმადიდებლური ეკლესია და ქალის რელიგიური უფლებები

ქალის ფენომენი, ვფიქრობ, განსაკუთრებულია. ქალის უფლებების ნათესაყოფად უნდა მივაქციოთ ყურადღება პირველ რიგში, პირველ ქალს ევას. ევა, რომელიც გახდა მიზეზი პირველი ცოდვისა და სამოთხიდან დევნისა. მეორე ქალი ესაა ღვთისმშობელი, რომელიც გახლდათ შემარიგებელი კაცთა მოდგმისა. ისევ ქალმა იტვირთა ეს მძიმე ჯვარი, შვა მაცხოვარი და როგორც დედა გახდა მონაწილე შვილის ჯვარცმისა. მესამე კატეგორიის ქალებიც უნდა გამოვყოთ ესენი არიან ქალები მაცხოვრის ჯვარცმის დროს და მენელსაცხებლე ქალები. ისმის კითხვა თუ ქალი იყო დაკნინებული და ის კაცის ჩრდილქვეშაა, მაშინ როგორ აიხსნება ამ ქალების მსგავსი ავტორიტეტები? დამსახურებები? ვფიქრობ, ქალები შემდეგი რამდენიმე პუნქტის მიხედვითუნდა აღვიქვათ:

უპირველეს ყოვლისა, „ღმერთის სახე“, როგორც მამაკაცისა. სინამდვილეში „ძველ აღთქმაში“ ღმერთს სქესი არ აქვს. მთელი ისტორიის მანძილზე ეკლესიას მამაკაცები მართავდნენ და თავადვე განმარტავდნენ წმინდა წერილს. ღმერთის ხსენებისას მხოლოდ მამრობითი სქესის ნაცვალსახელს ხმარობდნენ და ქრისტიანული სამება მამრობითი სქესის ტერმინებისაგან (მამა, ძე და სულიწმინდა) შედგება და ა.შ. ყოველივე ამან საზოგადოებრივ ცნობიერებაში წარმოშვა ღმერთის, როგორც მამრობითი სქესის რწმენა.

მეორე, ისტორია ქალის დამორჩილებული მდგომარეობის განჩინებისა, რომლის საფუძველსაც ბიბლიური ამბავი - ადამის ნეკნიდან მისი სამსახურისათვის ევას შექმნა - წარმოადგენს.

მესამე, ქრისტიანულ სიმბოლიკაში ქალი წარმოდგენილია ორ ჰიპოსტაზში - ევასა და წმინდა მარიამის სახით. პირველში განსახიერებულია ბოროტება და ადამის შეცოდებისათვის პასუხისმგებლობა სწორედ მას ეკისრებოდა. მეორეში - აბსოლუტური უმანკოება, მარადიული ქალწულობა. ფემინისტებს მიაჩნიათ, რომ ქრისტიანული

თეოლოგია ხელს უწყობს სქესის შესახებ მამაკაცური იდეების გამომხატველი სიმბოლიკის გავრცელებას: მეძავი - სექსუალური ბოროტებაა, სექსუალური სიწმინდე - ქალწულობა, სექსუალური აღწარმოებაა „ქალის აღწერა ქალწულობის, რძლობის და დედობის კატეგორიებით ნიშნავს მისდამი მიდგომას მარტოოდენ სექსის ჩარჩოებში“ მაშინ, როდესაც აზრად არავის მოსდის კაცის დასახასიათებლად მიმართოს მხოლოდ „უმწიკვლო ქმრისა და მამის“ კატეგორიებს.

მეოთხე, მამაკაცთან შედარებით ქალის უფრო დაბალი ბუნების „ღვთიური მტკიცებულება“ (რასაც ქალის დამორჩილებული მდგომარეობა უნდა შეესაბამებოდეს) ქრისტინული ეკლესიის მსახურებმა ამოიკითხეს პავლე მოციქულის მიმართვებში. ისინი ხშირად მოიხსენიებენ პასაჟებს პირველი კორინთელებისად მიმიმართვიდან, რომლის თანახმადაც ქალს ეკრძალება თავსაბურავის გარეშე ლოცვა, მაშინ, როცა ,,ქმარმა არ უნდა დაიფაროს თავი თავსაბურავით, რადგან იგი არის ღვთის ხატი და დიდება, ცოლი კი ქმრის დიდება, რადგან „ქმარი კი არ არის შექმნილი ცოლისაგან, არამედ ცოლია შექმნილი ქმრისათვის. (პავლეს მოციქულის ეპისტოლენი პირველი კორინთელთა მიმართ 11:7- 11:8)[23] პირველ მიმართვაში ტიმოთესადმი ნათქვამია: „ქალი მდუმარედ უნდა სწავლობდეს ყოველგვარი მორჩილების ქვეშ, ხოლო ქალს ნებას არ ვაძლევ იბატონოს ქმარზე, არამედ დუმდეს უნდა, რადგან ადამია შექმნილი, შემდეგ კი ევა“. (პავლე მოციქულის ეპისტოლენი, პირველი ტიმოთეს მიმართ[24] (2:11- 2:12).

პირველ ქრისტიანულ ეკლესიაზე იუდაური და ელინიზმის წარმართობის ელემენტთა ზემოქმედების შესახებ მწირი ისტორიული ცნობები არსებობს, თუმცა ფაქტია, რომ როგორც იუდაურ, ისე ელინიზმის ეპოქის რელიგიურ ცხოვრებაში უამრავი მსგავსებანი მოიძიება. ასეთი მსგავსებებისგან თავის დაღწევის მიზნით, ქრისტიანულმა თემებმა საკუთარი ნებითა და ინიციატივით შექმნეს ორგანიზაციები, რომლებიც არ იყვნენ დაზღვეულნი არც იუდაიზმისა და, არც წარმართული ელემენტებისაგან. პროფესორი არნოლდ ჰარნაკი აღნიშნავს: „ასეთ გარემოებაში

[23]პავლე მოციქულის ეპოსტოლე კორინთელთა მიმართ პირველი 11:7, 11:8
[24]პავლე მოციქულის ეპოსტოლე კორინთელთა მიმართ პირველი 2:11, 2:12

ძნელია დაბეჯითებით აღინიშნოს, თუ საიდან წარმოიშვა ქრისტიანული ორგანიზაცია ბერძნული, თუ იუდაური ტიპისგან, თუ ის თავისუფალი ორგანიზმი იყო?“[25]

ყოველი ადამიანი აზროვნებას, მიდრეკილებებს, პირველ ლოცვას დედის განსწავლობს, ე.ი. ღირსება, თვისება და ბედნიერება ყოველი ადამიანი თითქმის ქალზე-დედაზეა დამოკიდებული. სოლომონ ბრძენი გვასწავლის: „დედაკაცი მხნე ვინ ჰპოვოს, უძვირეს არს ქვისა მრავალ სასყიდლისა“. რას ნიშნავს მხნე დედაკაცი? სოლომონის თქმით, მხნე დედაკაცი სახლს ისე მართავს, რომ გული მისი მეუღლის სრულად მოსვენებულია. ასეთი ქალისათვის შრომისმოყვარეობა ნუგეშად და სიხარულადაა ქცეული. მხნე დედაკაცი კეთილი და ქველმოქმედიცაა. მისი ქველმოქმედება წინაშე ღმრთისა, მით უმეტეს, ძვირფასია, რომ იგი გლახაკებს თავის ნაშრომს აძლევს.

საგულისხმოა, რომ ქრისტიანობაში ქალი დიდად პატივსაცემია, თუმც გარკვეულწილად ქალი და მამაკაცი უფლებრივად არცთუ თანასწორნი არიან, მიუხედავად იმისა, რომ სახარების თანახმად, ღმერთის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია. უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანობის თანახმად, ქალი იმთავითვე უფრო ცოდვილია, ვიდრე მამაკაცი - ევამ აცდუნა ადამი და არა პირიქით. ასევე ეკლესია, არც ღვთისმსახურების უფლებას აძლევს ქალს და არც საკურთხეველში შესვლის.

მოციქულთა ეპოქაში, პირველი საეკლესიო ორგანიზაციული მოწყობისას, შეიქმნა დიაკონოსის ინსტიტუტი. დიაკონოსის თანამდებობაზე მხოლოდ ქალწულნი, ან ქვრივი დედაკაცები ინიშნებოდნენ. ისინი ქალთა განყოფილებებში მეთვალყურეობდნენ ღვთისმსახურებისას მათ ქცევას, კერძოდ, ამზადებდნენ ქალებს ნათლობისმისაღებად და ქალებთან მიმართებაში ასრულებდნენ ეპისკოპისის უშუალო დავალებებს და ბრძანებას.[26] გარდა ამისა, დიაკონოსები ეწეოდნენ ქველმოქმედებასაც: უვლიდნენ და პატრონობდნენ დავრდომით და ავადმყოფებს, აპურებდნენ გაჭირვებულებს და ზრუნავდნენ მოხუცებულებზ,თუმც, მათი მთავარი საქმიანობა მაინც კატეხიზაცია იყო:

[25]პავლიაშვილი ქ., ქრისტიანობის ისტორია; თბ., 2010 გვ.197
[26]პავლიაშვილი ქ., დასახ. ნაშრომი; გვ.200

ისინი ნათლობის მსურველ მანდილოსნებს განსწავლიდნენ ქრისტიანობაში და ამზადებდნენ წმინდა ნათლისღებისათვის. დედათდიაკვნების ინსტიტუტი არ ნიშნავს ქალი სასულიერო პირების ინსტიტუტს. ისინი ეწეოდნენ აღმზრდელობით და სოციალურ მსახურებას, მაგრამ არ ასრულებდნენ უშუალოდ მღვდელმოქმედებას.[27]

დედათდიაკვნების შესახებ ცნობებს ვხვდებით საეკლესიო კანონებში, კერძოდ, მეოთხე მსოფლიო კრების 451 წლის ქალკედონის კრების 15-ე კანონი ადგენს: „ქალის ქიროთესია (ხელდადება და არა ხელდასხმა) დედათდიაკვნად მიღებულია არანაკლებ ორმოცი წლის ასაკში, თანაც გულდასმითი გამოცდის შემდეგ“.[28]

დიაკონისობის ინსტიტუტი VII საუკუნიდან გაუქმდა მას მერე, რაც უფროსი ასაკის ადამიანთა ნათლობა გაუქმდა.[29] დიაკონისას ისტიტუტიდან ისტორიამ შემოინახა თებე დიაკონისა, რომელიც ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. ეკლესიამ არაერთი ღირსეული დიაკონისა შერაცხა წმინდანთა დასში და მათ ხსენებას დღემდე აღასრულებს. [30] მათ შორის იხსენიებიან: წმინდა ნინოს დედა _ სოსანა (ხსენება ძვ. სტ. 20.05), თეოზვა დიაკონისა (გრიგოლ ნოსელის და, ხსენება ძვ. სტ. _ 10.01 ახ. სტ. 23.01) და წმინდა თებე კენქრეის ეკლესიის (კორინთოს ნავსადგურში) დიაკონისა. ამ უკანასკნელს პავლე მოციქული მას იხსენიებს რომაელთა[31] მიმართ ეპისტოლეში (16.1-2).[32]

დიაკონისობის ინსტიტუტი ეკლესიაში საუკუნეების განმავლობაში მოქმედებდა, მაგრამ დროთა განმავლობაში, როდესაც ეკლესიაში ადრეულ ასაკში ნათლობის ტრადიცია დამკვიდრდა და კათაკმეველად* დადგინებაც აღარ ხდებოდა,

---

[27]პეტროზილო, პიერო. ქრისტიანობის ლექსიკონი/პიეროპეტროზილო; [იტალ. თარგმნა მარიკა სააკაშვილმა; რედ. მერაბ ღაღანიძე; სულხან-საბაორბელიანის სასწ. უნ-ტი, ქრისტ. თეოლოგიისა და კულტ. ცენტრი]. - თბ.: სულხან-საბაორბელიანის სასწ. უნ-ტისგამოც., 2011. - 434გვ.; 24სმ.. - ყდაზე: ბერნარდოდადი „ნეტარიქალწულიმარიამისგვირგვინითშემკობა“. - ISBN: 978-9941-0-3408-4

[28]პავლიაშვილი ქ., დასახ. ნაშრომი; გვ.338

[29]http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90

[30]http://patriarchate.ge/geo/dedatdiakvnobis-instituti-_-diakonisebis-kurtxeva/

[31]პავლე მოციქულის ეპისტოლე რომაელთა მიმართ 16.1-2

[32]„წმიდანთაცხოვრება“, ტ. III, თბ., 2001 წელიhttp://www.orthodoxy.ge/tveni/seqtemberi/03-tebe.htm?fbclid=IwAR16AgYfWkwV1dIZGotz19NVtN7y4lo0Nk20Pkp3LI95DL2UEixuGKYESL4

*კათაკმეველი – მოუნათლავი, ქრისტიანული წესით მოსანათლად გამზადებული. ის, ვინც ქრისტიანულ ეკლესიაში ემზადება ნათლობისათვის, სწავლობს სარწმუნოების საფუძვლებს და ეკლესიური ცხოვრების წესებს (იხ. www.ambioni.ge)

დედათდიაკვნების რაოდენობა თანდათან შემცირდა და საბოლოოდ შუასაუკუნეებში გაუქმდა. ადრე შუასაუკუნეების მიწურულს დასრულდა ქრისტიანული ეკლესიის ორგანიზაციული ჩამოყალიბების პროცესი, რის შედეგადაც პირველ ეტაპზე შექმნილმა ინსტიტუტებმა სეკვესტრი განიცადეს და მათ ნიადაგზე ახალი უჯრედები აღმოცენდა. დაკნინებულ ინსტიტუტებს შორის აღმოჩნდა ეკლესიაში ქალის უფლებების გამტარებელი დიაკონოსის ინსტიტუტიც და შუასაუკუნეების ეკლესიაში ქალის რელიგიური უფლებების განსხვავებულ ვითარებას ვხვდებით.

ტერმინი „შუა საუკუნეები“ სათავეს იღებს ადრეულ ახალ დროში (XVIII საუკუნემდე), როდესაც ჰუმანისტმა მეცნიერებმა ისტორიულ ეპოქას ანტიკურობის დასასრულიდან მის აღორძინებამდე „შუა“, ასევე, „ბნელი საუკუნეები“ უწოდეს. ჰუმანისტები მსოფლიო ისტორიას სამ ნაწილად ყოფდნენ: ძველი, შუა და ახალი ისტორია. მსოფლი ისტორიის „სამწევროვანი“ დაყოფა ისტორიკოსთა უმრავლესობამ გაიაზრა, მაგრამ ისინი ერთსულოვანნი არ იყვნენ ამ პერიოდიზაციის კონკრეტული მიჯნების განსაზღვრისას. ერთნი ფიქრობდნენ, რომ ძველი ისტორია მთავრდება და შუა საუკუნეები იწყება ქრისტიანობის ლეგალიზაციით, მილანის ედიქტით (313წელი); ზოგიერთი მათგანი ძველ ისტორიას ამთავრებდა ალარიხის მიერ რომის აღებით (410 წელი). მაგრამ ისტორიკოსთა უმრავლესობა ძველი ისტორიის დასასრულად და შუა საუკუნეების დასაწყისად დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა (476 წელი), შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას შორის მიჯნად კი XV საუკუნის მიწურულსა და XVI საუკუნის დასაწყისს მიიჩნევს. ამ ორი ეპოქის წყალგამყოფად ძირითადად სამი თარიღი სახელდება: თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღება (1453 წელი), დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები (1492 წლიდან) და რეფორმაცის დასაწყისი გერმანიაში (1517 წელი). სამივე თარიღი მეტად მნიშვნელოვანია.

შუა საუკუნეების შიდა პერიოდიზაციაც სამ ძირითად ეტაპად იყოფა, რომლებიც ერთმანეთისაგან სოციალ - ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების ხასიათით განსხვავდებიან. პირველი, ადრეული შუასაუკუნეების პერიოდი იწყება V საუკუნის დასასრულით და 1000 წლამდე გრძელდება. ეს არის ხალხთა გადასახლების, ფეოდალიზმის საზოგადოებრივ სისტემად ჩამოყალიბების,

ბარბაროსული, ადრეფეოდალური სამეფოების წარმოქმნის დრო. კულტურის დროებითი დაცემა თანდათანობით აღმავლობად იცვლება, რაშიც გადამწყვეტი როლი ქრისტიანულმა ეკლესიამ შეასრულა. მეორე, განვითარებული შუასაუკუნეების პერიოდი(1000-1300 წლები), ესაა ფეოდალური ურთიერთობის აყვავების ხანა. მისთვის დამახასიათებელია აგრეთვე ქალაქების მასიური ზრდა, მათში თვითმმართველობის გაჩენა, სასაქონლო -ფულადი ურთიერთობის განვითარება, თავისუფალი მოქალაქეობის ჩამოყალიბება. ამ პერიოდში ძლიერდება ეკლესიის გავლენა. მესამე, გვიანდელი შუასაუკუნეების ხანაში (XIV-XV საუკუნეები), მზადდება ნიადაგი ახალი დროისთვის. ეს პერიოდი ხასიათდება ახალი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებით, მნიშვნელოვანი სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევებით, ქალაქის სამეურნეო სისტემაში წინარე კაპილატალისტური ურთიერთობის ელემენტების განვითარებით. ესაა აგრეთვე დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დასაწყისი.[33] ამ ყველაფერთან ერთად შუა საუკუნეებში ვხვდებით ცვლილებას რელიგიაშიც, კერძოდ, ქრისტიანობაში ე.წ. დიდი სქიზმის 1054 წ.* სახით.

---

[33]https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83%90_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98

*მსოფლიო დიდი საეკლესიო განხეთქილება, რომელმაც ქრისტიანული სამყარო ორად- აღმოსავლეთად და დასავლეთად გაჰყო. 1054 წელს ქრისტიანობა ოფიციალურად ორ ძირითად მიმართულად: კათოლიკურად და მართლმადიდებლურად გაიყო. ამ ფაქტმა ერთმანეთისგან გამიჯნა აღმოსავლეთი და დასავლეთი საქრისტიანო. სამეცმიერო წრეებში განსხვავებული მოსაზრეები არსებობს განხეთქილების წარმოშობის მიზეზებისა და საბაბის შესახებ. ერთი ნაწილის აზრით, განხეთქილების უპირველესი მიზეზი იყო 385 წელს რომის იმპერიის ორად გაყოფა. მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ტერმინი „საეკლესიო განხეთქილება“ არასწორია, რადგან ის ფაქტობრივად, არც არასდროს არსებობდა, ისევე, როგორც ერთ მმართველს დაქვემდებარებული ერთიანი ქრისტიანული ეკლესია, დასავლეთის ეკლესიამ ჯერ კიდევ IV საუკუნეში დაიკავა განცალკევებული მდგომარეობა. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებში იმთავითვე გამომუშავდა განსხვავებული მდგომარეობა. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებში იმთავითვე გამომუშავდა განსხვავებული მართვის მეთოდები, ჩამოყალიბდა საეკლესიო განხეთქილების წესები. საეკლესიო განხეთქილების სამი მიზეზი სახელდება: ეთნოგრაფიული, პოლიტიკური და რელიგიური. ეთნოგრაფიული: 1.ეთნიკური სხვაობა რომაელსა და ბერძენს შორის. 2.პოლიტიკური: დედაქალაქის გადმოტანა კონსტანტინეპოლში 3.რელიგიური: ადათებისა და წეს-ჩვეულებების სხვაობა აღმოსავლურ და დასავლურ ეკლესიებს შორის (იხ. პავლიაშვილი ქ., „ქრისტიანობის ისტორია“ გვ.381)

**კათოლიკური ეკლესიის ტრიბუნალი, რომელიც XIII ს-ში შეიქმნა ერესთან საბრძოლველად. ი-ური ტრიბუნალი რთული დაწესებულება იყო, რომელიც საგამომძიებლო და სასამართლო ხელისუფლებას აერთიანებდა. ი. სრულიად დამოუკიდებელი იყო საერო ხელისუფლებისაგან. ის განსაკუთრებით მძვინვარებდა ესპანეთში და გამოიყენებოდა როგორც კონტრრეფორმაციის იარაღი(იხ. http://www.nplg.gov.ge)

§2. კათოლიკური ეკლესია და ქალის რელიგიური უფლებები

ადრეული შუასაუკუნეებიდან დასავლეთის ეკლესიის ყურადღება გადატანილ იქნა პაპის ტახტისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში პაპის როლის გაძლიერებაზე. საამისოდ, დასავლეთის ეკლესიაში იქმნება ინსტიტუტები, რომელთა ფუნქცია იყო ხალხთა მასების ეკლესიაზე ბრმა მორჩილებაში ყოფნა და ურჩების დასჯა. ახალ ინსტიტუციათა შორის იყო „ინკვიზიციაც“,** რომელიც იყო კათოლიკური ეკლესიის დაწესებულება, რომელიც მიზანი იყო მწვალებლების დევნა, მათი გასამართლება. ეს ტერმინი ძველი დროიდან არსებობდა, მაგრამ XIII საუკუნემდე მას არ ჰქონდა სპეციალური დანიშნულება და ეკლესია თავის საქმიანობაში არ იყენებდა მწვალებლების დევნისათვის. დღევანდელი რეალობიდან უცნაურად ჟღერს, მაგრამ ინკვიზიცია თავისი თანადროული დაწესებულებებისაგან განსხვავებით, თავისი სტრუქტურით ყველაზე ტრანსფარანტული ორგანიზაცია იყო. ინკვიზიციის მოსამართლენი ზედმიწევნით იცავდნენ ნოტარიუსის მიერ დადგენილ ოქმებს, რომელთა უმრავლესობამ ჩვენამდე მოაღწია. დანიელმა სპეციალისტმა გუსტავ ხენინგსენმა 50 000-ზე მეტი სასამართლო პროცესის მასალა დაამუშავა თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით და აღმოაჩინა, რომ იკვიზიციის მიერ გამოტანილი და გამოქვეყნებული სიკვდილის განაჩენები ძალზე მცირე-სასამართლოს განაჩენების საერთო რაოდენობის მხოლოდ 1% პროცენტი იყო. დაკითხვა მიმდინარეობდა ორი მოწმისა და ნოტარიუსის თანდასწრებით, რომელიც ჩვენების ოქმს ადგენდა. ყოველგვარი იურისდიქციისაგან თავისუფალი ინკვიზიტორი ფლობდა ფართო დისკრეტულ ძალაუფლობას შესასრულებელ პროცედურასთან დაკავშირებით, თუმცა ხშირად შემოკლებულ პროცედურას მიმართავდა. ბრალეულობა განისაზღვრებოდა როგორც საქმეში მონაწილე პირთა აღსარების, ისევე მოწმეთა მტკიცებულებების საფუძველზე. ბრალდებულისაგან აღიარებითი ჩვენების მისაღებად სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდნენ: შიმშილს, ჯაჭვით დაბმასა და წამებას. ბრალდებულის დანაშაულის დამტკიცებისა და განაჩენის გამოტანის

შემდეგ, სასჯელმისჯილს საერო ხელისუფლებას გადასცემდნენ, რომელსაც განაჩენის აღსრულება ევალებოდა. ინკვიზიტორთა შორის განსაკუთრებით დომინიკელთა ორდენის ბერებმა გამოიჩინეს თავი, რომელთაც დაკითხვათა დახვეწილი სისატიკის გამო „ღმრთის ძაღლთა“ (Domini canes) ორაზროვანი მეტსახელი დაიმსახურეს. საბედნიეროდ, ცალკეულ ხალხებში ინკვიზიციამ მცირე ხანს იარსება. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ XIV-XV საუკუნეებში გერმანიასა და საფრანგეთში სამოძღვრო საკითხთა მიმართ ყურადღება მნიშვნელოვნად შესუსტდა კუდიანებზე ნადირობის გააქტიურების გამო. ინკვიზიციამ საეჭვო სახელი მოიხვეჭა ესპანეთში, სადაც ეჭვმიტანილთა შორის ძირითადად ებრაელები და ქრისტიანობაზე მოქცეული არაბები აღმოჩნდნენ.

1215 წლის ლატერანის კრების კანონების* მიხედვით საეპისკოპოსო სასამართლოებს ევალებოდათ ბრალდებულის პროცესზე დასწრება. ბრალდებულს ეძლეოდა შესაძლებლობა, ბრალდებაზე პასუხი გაეცა. აუცილებელი იყო მოწმეების სახელების ცოდნა, რადგანაც მათი გასაიდუმლოება ხელს უწყობდა ცილისწამებას.[34]

განსხვავებული იყო ერეტიკოსობაში ბრალდებულის მდგომარეობა. ეჭვმიტანილს წინასწარ დამნაშავედ აცხადებდნენ. ინკვიზიტორი დამნაშავეს აიძულებდა, ეღიარებინა დანაშაული და მოეთხოვა ეკლესიის წიაღში დაბრუნება.

საინკვიზიციო სასამართლოსგან თავის დახსნა ძნელი საქმე იყო. საბოლოო განაჩენის გამოტანამდე თეორიულად შესაძლებელი იყო რომის პაპთან ჩივილი. თუმცა, ინკვიზოტორზე იყო დამოკიდებული, მიიღებდა თუ არა პაპისათვის გასაგზავნ წერილს. იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა მომხვეჭელი პაპი ჩაერია საქმეში. 1245 წლის ლანგე დოკის ეპისკოპოსების წერილიდან ირკვევა, რომ ისინი ჩივიან პაპ ინოკენტი IV–სთან, რომ ბევრმა ერეტიკოსმა სასამართლოსგან თავის დაღწევა მოახერხა. თუმცა, ასეთი შემთხვევა იშვიათი იყო. კარკასონის ინკვიზიციის

---

[34]წითლანაძე თ., ქარჩავა თ., ბრალდებულის დაცვა საინკვიზიციო სასამართლოში, შუასაუკუნეების ისტორიის საკითხები, VII, თბ, 2005, გვ. 69

* ინოკენტი III-ის დროს შეიქმნა ლათინთა იმპერია და მისი ძალაუფლება აღმოსავლეთის დიდ ნაწილზეც გავრცელდა. მისი მოღვაწეობის კულმინაცია იყო ლატერანის მეოთხე საეკლესიო კრების მოწვევა (1215წ.), რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დასავლეთის ეკლესიის ეპისკოპოსებმა, აბატებმა, მრევლმა და დასავლეთ ევროპის სუვერენთა დიდმა ნაწილმა (იხ. პავლიაშვილი ქ., დასახ. ნაშრომი, გვ. 413).

რეესტრში, 1249–1258 წლებში ორასზე მეტი საქმიდან ბრალდებული არც ერთ შემთხვევაში გასამართლებული არაა.[35]

ინკვიზიციისგან თავის დაღწევა იმდენად რთული საქმე იყო, რომ ფრანცისკანელი ბერის ბერნარდელისიეს სიტყვებით, თვით წმინდა პეტრე და წმინდა პავლე ერეტიკოსობაში დადანაშაულების და საქმის აღძვრის შემთვევაში ვერანაირად გაიმართლებდნენ თავს.[36] იყო საერო და სასულიერო პოლიტიკის გარკვეული იარაღი. ევროპის ისტორიაში და მთელი კაცობრიობისათვის ინკვიზიციის როლი უდიდესია და ორმაგ ხასიათს ატარებს. თუ ეს ინსტიტუტი არ იქნებოდა, უცნობია რა გზით განვითარდებოდა ევროპის ცივილიზაცია ყველა მის განზომილებაში (ტექნიკის, მეცნიერების, რეფორმაციის თვალსაზრისით). ინკვიზიციის დაარსებით პაპობამ საკმაოდ დიდ ხანს შეძლო მთელს ევროპაში პრაქტიკულად იდეოლოგიის სიმტკიცე ეკონტროლებინა. ამ საშუალებით პაპობამ ასევე შეძლო საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დაემყარებინა კონტროლი და იგი ერთმნიშვნელამდე დაეყვანა. მთელი ისტორიის მანძილზე ინკვიზიციის მოქმედებაში შეიძლება ასეთი მოვლენა დავინახოთ: ღვთის–სათნო იდეების საფარქვეშ ისეთი დანაშაულობები ხდებოდა, რომელსაც დღის სინათლე არ უნახავს და ამიტომ მათ შესახებ წარმოსახვით მსჯელობა ანდა ფუნჯის მეშვეობით წარმოუდგენელი საშინელების დახატვა რეალურ სურათს არ იძლევა. ცხადია, ინკიზიციის შეფასებაში მეცნიერებს ერთიანი აზრი არასოდეს ექნებათ, მაგრამ აუცილებელია არა გაზვიადება, არამედ მოვლენის კონკრეტულ–ისტორიული პირობების გათვალისწინებით რეალური სურათის შექმნა.[37]

აღორძინების ეპოქამ წინ წამოსწია „ბნელი“ შუა საუკუნეებისაგან განსხვავებული სხვა თემები, რომლებიც აქამდე აქტუალურია თანამედროვე გენდერულ კვლევებში: ქალთა და მამაკაცთა თანაბარი შესაძლებლობების საკითხი სხვადასხვა საქმიანობისას, ლიდერობის ერთნაირი პოტენციალი, გენდერული ურთიერთობები.

[35]იქვე, გვ. 73
[36]იქვე, გვ. 73
[37] https://konstantineshistory.wordpress.com

ჰუმანისტმა თომას მორმა (1478-1535) თავის თხზულებაში - „ოქროს წიგნი“ აღწერა იდეალური სახელმწიფო, სადაც ქალებისა და მამაკაცების საქმიანობა, იქნებოდა ეს მეცნიერებისა თუ ხელოვნების სფერო, საზოგადოებრივი თუ რელიგიური ასპარეზი, ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდებოდა, სადაც ქალები სასულიერო პირებადაც გვევლინებიან;მაღალი თანამდებობის დაკავება შეეძლოთ როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს; ეს კი თანამედროვე „გენდერული თანასწორობის“ იდეის წანამძღვარია.[38]

რეფორმაციის პერიოდმა (XVI ს.), როდესაც ქრისტიანობაში რადიკალური ცვლილებები განხორციელდა, თან მოიტანა ,,ფემინისტური აღორძნების” ეტაპი. ხან მოკლე შუალედმა ლუთერისა და კალვინის თეორიებს შორის მოიტანა თავისუფლების გაელვება. ბეატრისა გალენდო, ფრანჩესკა დელებრისკა, ეკატერინე არაგონელი, დედოფალი მერი, ანაბეკონი, ჯეინგრეი, მარგარეტ როპერი, მერი სიდნეი - რეფორმაციის დასაწყისის აქტიური ქალები იყვნენ.

§3. ისლამი და ქალის რელიგიური უფლებები

ქალის საკითხის გადაწყვეტა ყველაზე მძიმე აღმოჩნდა ისლამისტი რეფორმატორებისთვის. ისლამის ღრმა პატრიარქალურობა სრულ გარდაქმნას საჭიროებდა. ერთადერთი, რაშიც მუსლიმი რეფორმატორები შეთანხმდნენ იყო მრავალცოლიანობის და ქალისათვის ჩადრის ტარების აკრძალვა. ზოგიერთი ისლამური კანონის გაბათილებამ რიგ ისლამურ საზოგადოებაში ნეგატიური პროცესები წარმოშვა და ძველი ისლამური კანონები კიდევ უფრო გაამკაცრა. ამის მაგალითია თანამედროვე ირანის სახელმწიფო.

ყურანის მიხედვით, ადამიანი არის ორი საპირისპირო სქესით წარმოდგენილი ქმნილება, რომელიც ერთ მთლიანობას ჰქმნიან და მათი გამიჯვნა წარმოუდგენელია, რადგან მათი მიზეზით მრავლდება კაცობრიობა. ეს ორი სქესი ერთმანეთისგან სულიერი უპირატესობით არ გამოირჩევიან, რისი დასტურიცაა თავად წმინდა წიგნი ყურანი: „ადამიანებო! უეჭველად ჩვენ თქვენ გაგაჩინეთ ერთი კაცისა და ერთი

[38]ომიაძე ს., გენდერის ცნება ფილოსოფიასადა ლინგვისტიკაში, თბ., 2010, გვ. 1

ქალისაგან და დაგყავით ერებად და გვარებად, რათა ერთმანეთი გაგეცნოთ, უეჭველად თქვენს შორის ალლაჰის წინაშე საუკეთესოა ის, ვინც უფრო ღვთისმოშიშია“ (სურა 49, აიათი 13). როგორც ვხედავთ, ისლამში ქალის თანასწორუფლებიანობა მის გაჩენას თან ერთვის და აღარ საჭიროებს შემდგომში არავითარ პოლემიკას იმის თაობაზე, თუ რა შეხედულება გააჩნია ისლამს ამის შესახებ. აიათში ნათლად ჩანს ქალისა და მამაკაცის თანასწორობა, ვინაიდან ორივე მათგანი ერთ ასპექტში განიხილება. „ვინც ორ გოგო შვილს ნამუსიერად აღზრდის, საიქიოში მე და ის გვერდიგვერდ ვიქნებითო“-ამბობს მუჰამედი. მისივე სიტყვები: „ქალი თუ კაცი ყველა ადამიანი ღმერთის წინაშე სავარცხლის კბილებივით თანაბარნი არიანო“.

ყურანში „ქალების“ სახელის სურაც კია მოცემული, მათ შორის ერთ-ერთი სურა წმინდა მარიამის სახელს ატარებს. აქ ჩანს, რომ ყურანმა ქალს მიანიჭა გარკვეული უფლებები. შეხედულება, რომ ევამ მიაწოდა ადამს აკრძალული ხილის ნაყოფი, ისლამი არ იზიარებს. ისლამის მიხედვით, სატანამ ისინი ორივე მოატყუა, ხოლო ზოგიერთ აიათში კი დამნაშავე არა ევა, არამედ ადამია.

ისლამში ქალის უფლებებისადმი მსჯელობა მიმდინარეობის ორი კუთხით: ერთნი, რომლებიც ქალს გარკვეულ უფლებებს ანიჭებენ და მეორენი, რომელიც სრულად უარყოფენ ყველანაირ უფლებას. მკვლევარ, ოსმან ერსანის აზრით, ისლამში, ქალი და მამაკაცი თანასწორუფლებიანია. მსახურებისას ევალება ლოცვა, მარხვა, ზექათის გადახდა[39] და პილიგრიმობა ქააბაში. ლოცვა და მარხვა ფიზიკური ღვთისმსახურებაა, ზექათის გადახდა და პილიგრიმობა კი ფინანსურ საშუალებებე მოითხოვს, უფალი ქალსაც ავალებს მათ შესრულებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ქალს უნდა გააჩნდეს საკუთარი მატერიალური შესაძლებლობა. ამისათვის კი საჭიროა შრომითმონაწილეობა. ე.ი. ისლამში ქალს უფლება აქვს ჰქონდეს საკუთარი ქონება.

ნიშანდობლივია, რომ პირველი, ვინც მუჰამედს ერწმუნა ქალი იყო., და ასევე პირველი, ვინც რწმენას შეეწირა - ქალი იყო.

[39]ერსან ო., ქალი ისლამში მისი უფლებები და ღირსებები, ბათუმი, 2011, გვ. 36

ისლამი ადამიანის საიქიო ბედსაც ქალს უკავშირებს. ამის შესახებ მუჰამედი ამბობს: „სამოთხე დედების ფეხთ ქვეშაა“,ე.ი. სამოთხეში ის მოხვდება, ვინც დედას დააფასებს და სიკეთით მოეპყრობა. როდესაც მას ჰკითხეს, ქვეყნად რიგის მიხედვით ჯერ პატივი ვის უნდა ვცეთო? „დედასო“-მიუგო მან და სამჯერ გაიმეორა. აქედან ჩანს, რომ ის უდიდესს პატივს სცემს ქალს.[40]

ისლამი ემხრობა ყველა ადამიანის,ქალისა და მამაკაცის თანასწორობას, მათი გაჩენის საერთო არსიდან გამომდინარე. ყურანში ვკითხულობთ: „ო, ადამიანებო! უეჭველად, ჩვენ გაგაჩინეთ მამაკაცისა და ქალისაგან, გაქციეთ ხალხებად და ტომებად, ერთმანეთი რომშეგეცოდოთ. თქვენ შორის ყველაზე პატივცემული ალლაჰის წინაშე, ყველაზე უფრო ღვთისმოშიშია. უეჭველად ალლაჰი ყოვლისმცოდნე და ყოვლისმსმენია“. (სურა ჰუჯურათი, აიათი 13). „ო, ადამიანებო! გეშინოდეთ, თქვენი ღმერთის, რომელმაც გაგაჩინათ თქვენ ერთი ცოცხალი არსებისაგან, მისგანვე გააჩინა მისი წყვილი, ხოლო ორთავესგან (წარმოქმნა და) განასახლა (მთელ დედამიწაზე) უამრავი ქალი და კაცი“. (სურა ნისა, აიათი1). ყურანის მიხედვით ქალსაც იგივე უფლება-მოვალობები გააჩნია, რაც მამაკაცს.

ისლამი ქალებს ღვთისმსახურებას გარკვეულწილად უმსუბუქებს. ეს ვრცელდება ღვთისმსახურების ისეთ კატეგორიებზე, როგორებიცაა ნამაზი,* მარხვა, ჰაჯობა, **ზექათი და ჯიჰადი.[41]***

---

[40]http://www.islam.ge/rf/index.php

[41]ერსან ო., დასახ. ნაშრომი, გვ. 70

*ზექათი ეს არის გადასახათი, ფულადი შეწირულობა გლახაკთათვის. მუსულმანი ყოველი მარხვის დასასრულს ვალდებულია შემოწირულობა გაიღოს, რათა განთავისუფლდეს ცოდვებისგან, რომელიც დაუშვა მარხვის დროს და საერთოდ, მთელი წლის განმავლობაში (იხ. www.tavhidisgakvetilebi.com)

**ნამაზი ეს არის ისლამში სავალდებულო ლოცვის სახელწოდება, რომელიც დღეში ხუთჯერ უნდა შესრულდეს მუსლიმების მიერ. ისლამის მიმდევრების მოსაზრებით ნამაზი არის ღმერთსა და მლოცველს შორის პირდაპირ კავშირის დამყარების საშუალება. ხუთი ლოცვა შეიცავს ციტატებს ყურანიდან, რომლებიც არაბულ ენაზეა, ხოლო ლოცვების ძირითად ნაწილს ისლამის მიმდევარი თავის საკუთარ ენაზე კითხულობს.

ლოცვები წარმოითქმება გამთენიისას, შუადღისას, საღამოს, მზის ჩასვლისას და ღამით. მუსლიმი დღის ძირითად ნაწილს ლოცვაში ატარებს. ისლამში მიიჩნევენ, რომ ლოცვის მეჩეთში შესრულება უკეთესია.(იხ. wikipedia.org).

მუსლიმ ქალებს ისევე როგორც კაცებს ევალებათ დღეში ხუთჯერ ლოცვა, მაგრამ ისლამმა ქალები გაათავისუფლა პარასკევის (ჯუმის), სადღესასწაულო და ჯანაზა ნამაზზე დასწრების აუცილებლობისგან. მათთვის ხუთჯერადი ნამაზის შესრულება უმჯობესია მათსავე სახლში, ვიდრე სხვა მუსლიმებთან ერთად მეჩეთში. ამის შესახებ მუჰამედი ერთ-ერთ ჰადისში ამბობს: „ნამაზის შესრულება ქალისთვის უმჯობესია სახლში, ვიდრე მის გარეთ“. (ებუ დაუდი, სელათი, გვ.53); თუმცა არსად არ გვხვდება ახსნა ქალის მეჩეთში სიარულისგან განთავისუფლებაზე. უცნობია არსებითად რაიმე მიზეზის არსებობა, ეს ქალების ინტერესს მოიაზრებდა თუ მხოლოდ მუჰამედის გადაწყვეტილება იყო.

ქალისთვის ასევე არ არის აუცილებელი ნამაზის წინ ეზანისა **** და ყამეთის ***** კითხვა. ისინი ნამაზს არასრულებენ დედათა წესის პერიოდში და მშობიარობის შემდგომი განწმენდის დროს. ამ დღეს შეუსრულებელი ნამაზები მათ ვალში არ ეთვლებათ და მოგვიანებით ანაზღაურებას არ ექვემდებარება. ამის შესახებ მითითებულია ფატიმა ბინთ აბუ ჰუბეიშისადმი მიმართულ მუჰამედის სიტყვებში: „არ შეასრულო ნამაზი, როცა მენსტრუაცია გეწყება.“ (ბუჰარი, ჰაიზი გვ.19).

მარხვა- ქალისთვის ნებადართულის მენსტრუაციისა და მშობიარობის შემდგომი განწმენდამდე აკრძალულია. თუმცა წმინდა თვე რამაზანში მარხვის ის დღეები, რომლებიც მან გამოტოვა, მოგვიანებით უნდა ანაზღაუროს. ამის შესახებ აიშე ამბობდა: „მენსტრუალური პერიოდის დროს გამოტოვებულ ნამაზებს არ ვანაზღაურებდით, ხოლო გამოტოვებულ მარხვას მოგვიანებით ვასრულებით“. (ბუჰარი, ჰაიზი, გვ.19).

ფეხმძიმე და მეძუძურ ქალებს, რომლებიც შიშობენ, რომ მათი და ბავშვების ჯანმრთელობას პრობლემები შეექმნება, შეუძლიათ არ იმარხულონ. თუმცა შემდგომში ისინი ვალდებულნი არიან მარხვის გამოტოვებული დღეები აანაზღაურონ.

***ჰაჯობა- ეს არის ყოველიმუსლიმის ვალი მოილოცოს მექა და სწორედ ამ მოლოცვას ეძახიან მუსლიმები ჰაჯობას (იხ. Wikipedia.org).

****ჯიჰადი ეს არის მუსლიმთა ერთ-ერთი რელიგიური ვალდებულება, რაც მოიაზრებს ხმლით ბრძოლას რელიგიის დასაცავად. ჯიჰადი შესაძლოა იყოს შეტევითი ან თავდაცვითი ხასიათის. (იხ. Wikipedia.org).

*****ეზანი -ეს არის ერთგვარი მოწოდება მუსლიმებისთვის სალოცავად. ლოცვის დროს მეჩეთში მოლა ეზნით მოუწედებს გარშემომყოფებს შეკრებისა და ლოცვისთვის (იხ. Wikipedia.org).

****** ყამეთი- ლოცვის ერთგვარი სახელწოდებაა (იხ. Wikipedia. org).

ქალებს, რომლებიც სამოცი დღე გამოსასყიდ მარხვა-ქეფ-ფარეთს იცავენ, ორსულობის და მშობიარობის შემდგომი განწმენდის პერიოდში შეუძლიათ მისი შეწყვეტა, იმ პირობით, რომ მოგვიანებით, აუცილებლად უნდა აანაზღაურონ.

იმისთვის, რომ ჰაჯობის შესრულება შეეძლოს, ქალმა სხვა მოთხოვნებთან ერთად, შემდეგი პირობები უნდა შეასრულოს: არ წავიდეს მოგზაურობაში მარტო, არ შეასრულოს ჰაჯობა თუ არ გასულა გაყრის ან დაქვრივების შემდეგ დაწესებული ვადა. ჰადისში ამის შესახებ ნათქვამია: „თუ ქალს არ ჰყავს გვერდით ვინმე ნათესავთაგანი, მას სამ დღეზე მეტ ხანს გზაში ყოფნა არ შეუძლია“ (ბუჰარი, თექსირი, გვ 4).

,,ქალი ჰაჯობაზე ქმრის გარეშე არ უნდა წავიდეს“ (ებუ დაუდ, მენასიქე. 2)

ჰაჯობის ან უმრას შესასრულებლად ქალისათვის სპეციალური ტანსაცმელი სავალდებულო არ არის. როცა ის თელბიეს წარმოთქვამს, ხმას არ უნდა აუწიოს. თუ ქალს აქვს მენსტრუაციული პერიოდი ან მშობიარობის შემდგომი სისხლდენა, წმინდა მიწაზე შესვლამდე განბანვა მისთვის სუნნეთია. ჰადისში ამის შესახებ ნათქვამია: ,,ქალები, რომელთაც აქვთ დედათა წესი ან მშობიარობის შემდგომი სისხლდენა, უნდა განიწმინდონ, მიიღონ სრული განბანვა, გამოეწყონ სათანადოდ ტანისამოსში და ქააბას გარშემოვლის გარდა, ჰაჯობის ყველა რიტუალი უნდა შეასრულონ“ (თირმიზი, ჰაჯი, გვ.98)

იხრამიდან გამოსვლის შემდეგ, საკმარისია, ქალმა თავისი თმის ბოლოები მოიჭრას. ქააბას გარშემოვლის დროს ქალები განთავისუფლებულნი არიან სწრაფი ნაბიჯით გავლის აუცილებლობისაგან, ხოლო საფასა დამერვეს გორაკებს შორის საი-ს (შვიდჯერ მისვლა-მოსვლის) რიტუალის შესრულების დროს განსაზღვრულ მონაკვეთზე სირბილისაგან.

ჯიჰადი-ისლამის დამკვიდრების პერიოდში,ყველა სიძნელის მიუხედავად, ქალები, წმინდა ომებში მონაწილეობდნენ. როდესაც იმის შესახებ გაიგეს, რომ ალლაჰის გზაზე მებრძოლებს უდიდესი ჯილდო ელოდებათ და რომ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა არ შეუძლიათ, ისინი ძალიან დაღონდნენ. მათ მუჰამედს ჰკითხეს, არსებობდა თუ არა ისეთი ქმედება, რომელიც თავისი დიდებულებით ჯიჰადს

გაუტოლდებოდა, რაზედაც შემდეგში პასუხი მიიღეს: „ქალის ჯიჰადი- უმრა და ჰაჯობაა“.[42]

ნაწილი მეცნიერთა ფიქრობს, რომ ისლამმა პრაქტიკულად დააკანონა ქალის ქალის უუფლებობა მუსლიმურ საზოგადოებაში და ის სრულად დაუქვემდებარა კაცს ეკონომიკურ-მორალურად. ყურანის თანახმად, ქალი შვილებზეც უუფლებოა, რადგან ისინი მამის კუთვნილებაა. თუ მამის ოჯახში ქალი ზედმეტი სუბიექტია და მისგან დროულად განთავისუფლებას ცდილობს ოჯახი, ქმრის ოჯახში ქალი უტყვი მუშა ხელია და თაობათა გამამრავლებელი.

ყურანში დაკანონებულია მრავალცოლიანობა, რაშიც გათვალისწინებულია კაცის მატერიალური შესაძლებლობა და სოციალური მდგომარეობა. ყურანით ქორწინება ყიდვა-გაყიდვასთან არის გაიგივებული,სადაც გამყიდველის როლშია პატარძლის სანათესაო, მყიდველია სასიძო, ხოლო ვაჭრობის ობიექტია პატარძალი. შემდგარი ქორწინება ქმარს ცოლის აბსოლუტურ ბატონ-პატრონს ხდის და ცოლი ხდება მისი საკუთრება. ქალს არც საქმროს შერჩევის უფლება აქვს და, არც საკუთარი აზრის გამოხატვის.

ნიშანდობლია, რომ ქალის უფლებების აკრძალვა ისლამის შექმნიდანვე დაიწყო. არაბულმა კლასიკურმა ლიტერატურამ იცის გმირი ქალის პერსონაჟი, რომელიც აქტიურია კაცის მსგავსად პოლიტიკურ-სამხედრო ცხოვრებაშიც. ასეთი ქალები იყვნენ: მუჰამედის ერთ-ერთი ცოლი - აიშე, ალის თანამებრძოლის ცოლი უმბახი. ასეთი მოვლენების სიმწირე მაინც ვერ ცვლიდა ქალის ადგილს მუსლიმურ საზოგადოებაში.

ქალის პიროვნების დამცრობამ ისლამში აღმოაცენა წმინდა ქალის კულტი. ამ მოვლენის საფუძველია პირველსაწყისი ისლამი. წმინდა ქალის კულტში სამი დედაკაცი მოიაზრება: იესოს დედა მარიამი, მუჰამედის დედა ამინასი და მათი ქალიშვილი ფატმა. ამ კულტზე იუწყება აპოკალიფსური ლიტერატურა. მისი მიზანი იყო მუსლიმ ქალთა გამხნევება და მორჩილებაში ყოფნა იმ კანონების მიმართ, რომელიც ისლამშ მუჰამედმა დააკანონა. ასეთმა მიდგომამ ქალისადმი აღმოაცენა ისლამში

[42]ერსან ო., დასახ. ნაშრომი, გვ. 83

ქალთა მონასტრები, სადაც ქალები ეუფლებოდნენ ხელსაქმეს და მეცნიერებას. ისლამურმა სამყარომ ასეთ მონასტრებში ცოდნამიღებული არა ერთი სწავლული და მწერალი ქალი შეიძინა.

რელიგიათმცოდნეები მიიჩნევენ, რომ წმინდა ქალის კულტის განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს ისლამამდელმა არაბულმა ქალმა ღვთაებებმა: ლატმა, უზამ და მანატმა. ასევე, ისლამური მისტიციზმის-სუფიზმის აღმოცენებამ, რომლის არსი იყო ასკეტიზმი. ორთოდოქსალური ისლამისაგან განსხვავებით, სადაც ქალი გონებაშეზღუდულ არსებად მიიჩნევა, სუფიზმი ქადაგებს სულიერი ამაღლების შესაძლებლობას განურჩევლად სქესისა, ამიტომ სუფიზმის მიმდევართა შორის მრავლად არიან ქალები.

ქრისტიანობისა და იუდაიზმისგან განსხვავებით, ისლამი ქალს არ ადანაშაულებს ადამის ცდუნებაში და ყურანშიც ამაზე არაფერია თქმული. ქალი და კაცი ალაჰის წინაშე თანაბარუფლებიანები არიან. მუსლიმი რელიათმცოდნეები აღნიშნავენ, რომ მართალია, მუსლიმ ქალს სახელმწიფოს მეთაურობა ეკრძალება, მაგრამ ამ ფაქტს კავშირი არ აქვს ქალის ღირსების დამცრობასთან, რადგან ეს უუფლებობა უკავშირდება ისლამური სახელმწიფო წყობის სპეციფიკურობას. ისლამში სახელმწიფოს მეთაური არ არის ქვეყნის სიმბოლური მმართველი, არამედ ის მართავს კოლექტიურ ლოცვებს, მეთაურობს ჯარს, პასუხისმგებელია ეროვნულ უსაფრთხოებაზე.

თანამედროვე ეტაპზე ისლამშიც მიმდინარეობს მოდერნიზაციული პროცესები. შარიათის კანონით მუსლიმ ქალს უფლება მიეცა პოლიტიკაში ჩართულობაზე, სწავლება-სწავლის, მაღალი სახელმწიფო თანამდებობის დაკავებაზე, ქმართან გაყრაზე და ა. შ.

ამრიგად, ყოველ ეპოქას, შესაბამისად ცალკეული სახელმწიფოებისა და მათი რელიგიური ტრადიციებისა, გაჩნია სახასიათო თვისებები ქალის როლსა და უფლებებისადმი კონკრეტულ რელიგიებში. ყველა ეპოქისა და მისი შესაბამისი რელიგიის საერთო ნიშანია ქალის, როგორც პირველცოდვის მიზეზისა და უწმინდური არსებისადმი დამოკიდებულება. ამ მხრივ, რიგი რელიგია გამონაკლის შემთხევებს

უშვებს. ზემოაღნიშნული აისახება ქალის რელიგიურ უფლებებში. თუ ანტიკური ეპოქის წარმართ რელიგიაში ქალი ჯადოქრის, ბნელ ძალასთან მოკავშირის სიმბოლოა, აღმოსავლურ წარმართული რელიგიებში ქალი უწმინდურ არსებად კლასიფიცირდება. კლასიკურმა რელიგიებმა მართალია გაიზიარეს წარმართობის ზემოაღნიშნული ნიშნები, მაგრამ ამავდროულად, იუდაიზმმა, ქრისტიანობამ, ისლამმა, თუმცა განსხვავებული, მაგრამ გარკვეული რელიგიური უფლებები მიანიჭეს ქალს და მეტ-ნაკლები დატვირთვის ფუნქციაც არგუნეს სინაგოგაში, ეკლესიასა თუ მეჩეთში.

თავი III

"ახალი დროის" ეპოქალური ცვლილებები ქალის რელიგიურ უფლებებში

XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში დასავლეთის და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში ფეოდალური წყობილების წიაღში იწყებს განვითარებას ახალი, წარმოების კაპიტალისტური წესის ელემენტები.კაპიტალიზმის განვითარება ანგრევს ფეოდალური საზოგადოების საფუძველს. ამ პერიოდთან არის დაკავშირებული ახალი ბურჟუაზიული ერების ფორმირება; წარმოიშობა მსხვილი ცენტრალიზებული სახელმწიფოები (ინგლისი, საფრანგეთი და სხვ.). კაპიტალიზმის წარმოშობასთან ერთად იწყება ფეოდალური დაქსაქსულობის თანდათანობითი ლიკვიდაცია, ჩნდება ერები და ნაციონალური ენები.[43]

ეს იყო უდიდესი პროგრესული გადატრიალება, მსგავი მანამდე კაცობრიობას არ განუცდია. ეს ისეთი დრო იყო, რომელსაც ბუმბერაზები ესაჭიროებოდა და, რომელმაც ბუმბერაზები წარმოშვა, ბუმბერაზი აზრის სიძლიერით, მგზნებითა და ხასიათით, მრავალმხრივობითა და განსწავლულობით. იმ დროს არ ცხოვრობდა თითქმის არც ერთი ღირსშესანიშნავი ადამიანი, რომელიც შორეულ მოგზაურობაში არ ყოფილიყოს, რომელსაც ოთხ-ხუთ ენაზე არ ელაპარაკოს, რომელიც რამდენიმე სპეციალობაში

[43]ბაქრაძე კ., ახალი ფილოსოფიის ისტორია; თბ., 1969 გვ. 5

ბრწყინვალედ არ გამოჩენილიყოს. ლეონარდო და ვინჩი მარტო დიდი მხატვარი როდი იყო,იგი ამასთან ერთად დიდი მათემატიკოსი, მექანიკოსი და ინჟინერიც იყო. მაკიაველი იყო სახელმწიფო მოღვაწე, ისტორიკოსი, პოეტი და ამასთანავე „ახალი დროის“ პირველი მოხსენიების ღირსი, სამხედრო მწერალი.[44] იმდროინდელი გმირები ჯერ კიდევ არ ჰყავდა დამონებული შრომის დანაწილებას, მაგრამ რაც მათთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია, ის არის, რომ ისინი თითქმის ყველანი მათი დროინდელი მოძრაობის შუაგულში ტრიალებენ, პრაქტიკულ ბრძოლაში არიან ჩაბმულნი, ამა თუ იმ პარტიის მხარეზე დგანან და მასთან ერთად იბრძვიან, ვინ სიტყვითა და ვინ საქმით, ვინ ხმლითა, თუ, ვინ ორივეთი ერთად.

ბუნების კვლევაც მაშინ საყოველთაო რევოლუციის ვითარებაში მიმდინარეობდა და მთლიანად რევოლუციური იყო; მას ბრძოლით უნდა მოეპოვებინა არსებობის უფლება.[45] რევოლუციური აქტი, რომლითაც ბუნების კვლევამ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა და, თითქოს, ლუთერის მიერ პაპის ბულის დაწვა გაიმეორა, იმ უკვდავი ნაწარმოების გამოცემა იყო, რომლითაც კოპერნიკმა, თუმცა მოკრძალებით და საბრძოლველად გამოიწვია ეკლესიის ავტორიტეტი ბუნების საკითხში. აქედან იწყება ბუნების კვლევის თეოლოგიისაგან განთავისუფლების თარიღი, თუმცა მათი ცალკეული საურთიერთო პრეტენზიების გარკვევამ ჩვენს დრომდეც კი მოაღწია და ზოგისთვის დღესაც არ დამთავრებულა.[46] ახალი კლასი - ბურჟუაზია, თანდათანობით ჰქმნის ახალ მსოფლმხედველობას,რომელიც მის პრაქტიკულ მოთხოვნილებებს გამოხატავს და, რომელიც ფეოდალური თეოლოგიურ-სქოლასტიკური მსოფლმხედველობის წინაამღდეგ არის მიმართული. ეს ახალი მსოფლმხედველობა ორ სახეს იღებს - რელიგიურსა და საეროს. ორივე მიმართული იყო ძველი მსოფლმხედველობის წინააღმდეგ, რომლის საფუძველს კათოლიკური ეკლესია წარმოადგენდა. ფეოდალური კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ იყო

[44]ბაქრაძე კ., დასახ. ნაშრომი; გვ. 7
[45]ბაქრაძეკ., დასახ. ნაშრომი; გვ. 8
[46]იქვე

მიმართული ახალი, ბურჟუაზიული ეკლესიის შექმნა, რომლიც რეფორმაციის სახეს იღებს და რიგ ქვეყნებში სახალხო მოძრაობად იქცევა.

საერო ფორმებში ახალი მსოფლმხედველობა და ახალი კულტურა გამოვლინდა ჰუმანიზმში, რომელიც აღორძინების ხანის ძირითად შინაარსს წარმოადგენდა. ჰუმანიზმი მსოფლმხედველობის ცენტრში აყენებს ადამიანს, პიროვნებას, მის თავისუფლებას და ინიციატივას, მოითხოვს აზროვნებისა და კვლევის თავისუფლებას.

პიროვნების თავისუფლება იდეოლოგიური ანარეკლი იყო ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებისა, წარმოების ახალი წესის, ვაჭრობის განვითარებისა, რომელსაც ხელს უშლიდა ფეოდალური სისტემის კარჩაკეტილობა.

წარმოების ახალი წესის თანდათანობით ჩამოყალიბებამ და განვითარებამ ხელი შეუწყო მეცნიერების წინსვლას.[47] ძველი მსოფლმხედველობა, კათოლიკური ეკლესიის დოგმატებით განსაზღვრული, ირღვევა, კაცობრიობის იდეური ჰორიზონტი ფართოვდება, ბიძგი მისცა ახალ ფილოსოფიურ თეორიებს.

ანტიკური კულტურისა და ფილოსოფიის მრავალმხრივმა გავლენამ წარმოშვა და სხვადასხვა სახის ერეტიკული მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო ოფიციალური ეკლესიის წინააღმდეგ.

ბრძოლა შუა საუკუნეების მსოფლმხედველობის წინააღმდეგ, ფილოსოფიასა და მეცნიერებაში თავისუფალი აზროვნებისა და კვლევისათვის, თავისუფალი პიროვნების გამარჯვებისათვის მარტივი და, რაც მთავარია, თანმიმდევრული როდი იყო, ამიტომ ხშირად აღორძინების მოწინავე წარმომადგენლებიც კი იძულებულები იყვნენ გარკვეული ანგარიში გაეწიათ გაბატონებული ეკლესიისთვის.[48]

გერმანული ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში გერმანელი ჰუმანისტები აქტიურობენ, რომელთაც მოამზადეს იდეური მოძრაობა - რეფორმაცია ეკლესიაში. [49]

აღნიშნულმა მოძრაობამ მოიცვა სრულიად ქრისტიანული ევროპა.[50]

---

[47]ბუაძე თ., რენესანსი და ქრისტიანობა; რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი „გული გონიერი“#3., თბ., 2014, გვ. 10

[48]ბაქრაძე კ., დასახ. ნაშრომი; გვ. 12

[49]ბაქრაძე კ., დასახ. ნაშრომი, გვ. 13

[50]ბურკი პ., რენესანსი, თბ., 2001, გვ. 9

ჰუმანიზმი ჩამოყალიბდა სრულიად კათოლიკური ეკლესიის კრიზისის დაძლევის იდეად.[51]

როცა თანამედროვენი „ლიტერატურის“ აღორძინებაზე საუბრობენ, ჩვეულებრივ, გულისხმობენ არა იმდენად ლიტერატურას, თანამედროვე გაგებით, რამდენადაც იმას, რაც დღეს ჰუმანიზმის აღმავლობის სახელითაა ცნობილი.[52]

ჰუმანისტებმა სულიერ კულტურას შესძინეს თავისუფალი აზროვნების უნარი, თამამი კრიტიკული სული.[53] თავიანთ თხზულებაში აღნიშნავდნენ ადამიანის უსაზღვრო შესაძლებლობებს. ჰუმანისტებისათვის მიუღებელი იყო საზოგადოების იერარქია, რომელშიც ადამიანი მხოლოდ სოციალური ფენის ინტერესების გამომხატველი იყო. ჰუმანისტები ილაშქრებოდნენ ყველანაირი ცენზურის და განსაკუთრებით საეკლესიო ცენზურის წინააღმდეგ. ისინი ისტორიის დაკვეთის განმახორციელებლები იყვნენ და ცდილობდნენ აქტიური, ინიციატორული უნარის მქონე ადამიანის ფორმირებას - „იმ დროის ადამიანი თავად ჭედავს თავის ცხოვრებას და თავად არის მისი მბრძანებელი. ადამიანი თავისი პირადი სურვილით ცხოვრობს, ის „გაანთავისუფლეს“- აღნიშნავდა ფილოსოფოსი ნ. ბერდიაევი.[54]

დასავლეთ ევროპელი კულტურის მკვლევარები აღორძინების ეპოქას განიხილავენ როგორც გარდამავალ პერიოდს შუა საუკუნეებიდან ახალ დროში, ფეოდალურიდან ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ეს იყო პერიოდი კაპიტალისტური ფორმაციის ჩანასახებისა, საბანკო საქმის განვითარებისა, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვრცობისა. ამავე ეპოქაში ყალიბდება სამყაროს მეცნიერული სურათი,უპირველეს ყოვლისა ასტრონომიული აღმოჩენების საფუძველზე და ზოგადად საბუნებისმეტყველო დარგების აღორძინების ნიადაგზე.[55]ჰუმანისტები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ადამიანი ღმერთის მსგავსად ფლობს თავისუფალ ნებას,

[51]ბურკი პ., დასახ ნაშრომი, გვ. 11
[52]ბუაძე თ., დასახ. ნაშრომი, გვ. 9
[53] ბუაძე თ., დასახ. ნაშრომი, გვ. 9
[54]პავლიაშვილი ქ., დასახ. ნაშრომი, გვ. 493
[55]პავლიაშვილი ქ., დასახ. ნაშრომი, გვ. 492

ის თავად განაგებს თავისი და საზოგადოების ბედს და ამით სწორ, რაციონალურ არჩევანს აკეთებს.

ჰუმანისტები არ აღიარებენ ქრისტიანულ სწავლებას ადამიანის დაცემული ბუნების შესახებ.[56] მათში ძალიან ბევრია ადამიანის თანდაყოლილი სიკეთის, ღირსებისა და მისი ყოვლისმომცველი ინტელექტუალური შესაძლებლობების რწმენა. ანტიკური ეპოქის მოაზროვნეების მსგავსად, ჰუმანისტებს სწამთ, რომ ცოდვის ერთადერთი მიზეზი გაუნათლებლობაა და რომ ცრურწმენებისაგან განთავისუფლებული გონების წინამძღოლობით ადამიანს ყველა მიზნის მიღწევა შეუძლია. ისინი ადამიანის ღირსებას მის სიწმინდეში ეთიკურ იდეალთან მიახლოებაში კი არ ხედავენ, არამედ მის განსაკუთრებულობასა და განუმეორებლობაში.[57]

აღორძინების ეპოქის ზოგიერთ მოღვაწე ცდილობდა ქრისტიანობის ანტიკურობასთან შერიგებას და ეკლიის მსახურთ პირველქრისტიანული იდეალებისაკენ დაბრუნებას ურჩევდა. მოღვაწეთა მეორე ნაწილი ილტვოდა ახალი, ერთიანი, ნაციონალური ელემენტებისაგან თავისუფალი, ეთნიკური, განსხვავებული კულტის გარეშე რელიგიის შექმნისაკენ. ასეთი გზით ცდილობდნენ ჰუმანისტები რელიგიის ხელახალ გააზრებას და არა მისგან სრულ განთავისუფლებას. რენესანსი არ ყოფილა ურელიგიო კულტურა. აღორძინების მოღვაწეთა დიდი ნაწილი იყო მორწმუნე და მათ ფენებში თვით კათოლიკური სამღვდელოებაც იყო. საეკლესიო მოღვაწეთა შორის, რომლებიც ჰუმანისტური მიმდინარეობისადმი სიმპათიით იყვნენ განწყობილნი არიან: წმინდა ბერნარდინო და ფელიტრე, წმინდა ეკატერინე გენუელი, ერაზმ როტემდამელი. [58]

ეკლესიის თვდაპირველი სახით აღდგენა ეპოქის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა. სეკულარიზებული ჰუმანიზმის შედეგები კი სერიოზული აღმოჩნდა. კათოლიკური ეკლესიის იერარქები ვერ აღმოჩნდნენ სიმაღლეზე, რომ ქრისტიანული აღორძინების მოძრაობას ჩასდგომოდნენ სათავეში; მათ ვერ შეასრულეს ხალხთა

[56]ბუაძე თ., დასახ. ნაშრომი, გვ. 9
[57]პავლიაშვილი ქ., დასახ. ნაშრომი,გვ. 493
[58]პავლიაშვილი ქ., დასახ. ნაშრომი, გვ. 495

მასების დაკვეთა. ხალხის რელიგიური აღზრდა ფაქტობრივად ითავა სტიქიურ მქადაგებელთა დაჯგუფებებმა, მაგრამ მორწმუნე მრევლს შორის თანდათანობით სუსტდებოდა ერთობის შეგრძნება, ვითარდებოდა ინდივიდუალიზმი.[59]

ზემოაღნიშნულის შედეგად დასავლეთის ეკლესიაში სექტანტური საზოგადოებები მომრავლდა. სექტანტებთნ ერთად გაბატონებული ეკლესიის მანკიერებებს სრულიად ქრისტიანული საზოგადოების ფენა დაუპირისპირდა. უკმაყოფილო საზოგადოება კი არ ავლენდა ეკლესიის განმიჯვნის მიდრეკილებას, არამედ ითხოვდა მხოლოდ კელესიაში გარდაქმნებს. რაც უფრო მძიმდებოდა პაპების და სასულიერო იერარქიის ბოროტმოქმედებითი საქმიანობა, მით უფრო დაჟინებით ითხოვდა საზოგადოება საეკლესიო რეფორმის გატარებას, სქოლასტიკური აზროვნებისაგან განთავისუფლებას, მრევლში რელიგიური განათლების გავრცელებას და ა.შ. დასავლეთში კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტის დაცემის მიზეზი თავად პაპობის ინსტიტუტის იმდროინდელ პრობლემებს უკავშირდება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ პაპების ე.წ. „ავინიონის ტყვეობა“*, დასავლეთის დიდი სქიზმა** და კონსილიაზმის მოძრაობა.***[60]

„რეფორმა ეკლესიის თავსა და წევრებში“ ასეთი იყო ეკლესიის ლოზუნგი.[61]

---

[59]იქვე

[60]ბუაძე თ., დასახ. ნაშრომი, გვ. 18

[61]დასავლეთ ევროპის ისტორია, თბ., 2015, გვ. 39

*პაპების „ავინიონის ტყვეობის“ პერიოდი 1309 წლიდან 1376 წლამდე გაგრძელდა. ამ დროს პაპები საფრანგეთის ქალაქ ავინიონში ცხოვრობდნენ. საფრანგეთის მეფე ჰენრი IV-ის და პაპ ბონიფაც VIII-ის კონფლიქტის და ბენედიქტე XI- ის რამდენიმე თვიანი პაპობის შემდეგ, ფრანგი მონარქის უშუალო გავლენით, ახალ პაპად აირჩიეს ფრანგული წარმოშობის კლიმენტი V. მან პაპად გახდომის შემდეგ უარი განაცხადა რომში ცხოვრებაზე და რეზიდენცია დავინიონი აირჩია. მომავალი 67 წლის განმავლობაში პაპები იძულებულნი იყვნენ ამ ქალაქში დარჩენილიყვნენ. ამიტომაც მოიხსენიებენ ამ პერიოდს „პაპების ბაბილონის ტყვეობად“.

**ეგრეთ წოდებული დასავლური „დიდი სქიზმა“ 1378-დან 1417 წლამდე გრძელდებოდა. ამ პერიოდში ორი „პაპი“ ეცილებოდა ერთმანეთს რომის კათედრას. ამ სკანდალური სიტუაციის მიზეზი უფრო პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, ვიდრე თეოლოგიურს. ამან ძალიან დააკნინა პაპების ავტორიტეტი. ეს პრობლემა საბოლოოდ კონსტანსის (1414–1418 წწ.) კრებამ გადაწყვიტა.

***კონსილიარიზმის სახელით ცნობილია მოძრაობა კათოლიკურ ეკლესიაში, რომელიც პაპის ავტორიტეტზე მაღლა საეკლესიო კრებას აყენებდა. ამ მოძრაობამ XIV-XVI საუკუნეები მოიცვა. კონსილიარიზმის პოზიციები ძლიერი იყო პიზის (1409

რეფორმაცია გულისხმობდა ქრისტიანობის განახლებისათვის ევროპაში ფართო ანტიკათოლიკურ მოძრაობას XVI საუკუნეში. მის დამაარსებლად ქრისტიანობის ისტორიაში იხსენიებიან მარტინ ლუთერი (1483-1546) და ჟან კალვინი (1509-1564). რეფორმაცია არა მხოლოდ მარტივად რელიგიური განახლება იყო, არამედ ქრისტიანული კულტურის ღრმა ტრანსფორმაციაც. ამ ტრანსფორმაციის შედეგი კი იყო ქრისტიანული სარწმუნოების ახალი ვარიანიტი - პროტესტანტობა და ახალი ტიპის ადამიანის ფორმირება თავისი ახლებური მიდგომით საკუთარი თავისა და ცხოვრებისადმი. სწორედ ეს ახალი ტიპის ადამიანი გახდა დასავლეთ ევროპული ცივილიზაციის მძლავრი აღმავლობის მამოძრავებელი ძალა.[62] რეფორმაცია მხოლოდ სასულიერო ინტერესების გამომხატველი არ იყო. ის სარგებლის მომტანი იყო დიდგვაროვნებისათვისაც საეკლესიო ზემოქმედებისგან განთავისუფლებისთვის.[63]

პროტესტანტული მიმართულება მათში კიდევ რამდნეიმე მიმდინარეობას მოიცავს.[64] მათგან ერთ-ერთია მოძღვრება ბაპტიზმი, რომელიც XVII საუკუნის დამდეგს ინგლისსა და ჰოლანდიაში წარმოიშვა.[65] სახელწოდების ძირი (ბაპტიზო) ბერძნულია და ნიშნავს წყლით ნათლობას, კონკრეტულად - შთაფლვით ანუ ჩაყვინთვით ნათლობას; ამდენად, ბაპტისტების რელიგიურ ცხოვრებაში ყურადღება უმთავრესად რწმენის მიერ გაცნობიერებულ ნათლისღებაზეა გადატანილი, რომელიც შთაფვლით უნდა შესრულდეს.[66]

ბაპტიზმის წარმოშობასთან დაკავშირებით ერთიანი შეხედულება ჩამოყალიბებული არ არის. ზოგიერთი რელიგიათმცოდნე ბაპტიზმს რეფორმაციის დროინდელ რადიკალურ მოძრაობას, ანაბაპტიზმს უკავშირებს. ადრეული რეფორმატორული ტრადიციის მიხედვით, თუკი ადამიანი ქრისტიანულ-კათოლიკურ ან პროტესტანტულ ქვეყანაში დაიბადებოდა, იგი ავტომატურად ამ ქვეყნის ეკლესიის

წ.), კონსტანსის (1414–1418 წწ.) დაბაზელის (1431–1449 წწ.) კრებებზე, თუმც ალატერანის მეხუთე კრებამ (1512–1517 წწ.) დაგმო ეს მოძრაობა. პაპიზმმა სრული გამარჯვება
1870 წლის ვატიკანის პირველ კრებაზე მოიპოვა.

[62]პავლიაშვილი ქ., დასახ. ნაშრომი, გვ. 504

[63] პავლიაშვილი ქ., დასახ. ნაშრომი, გვ. 505

[64] პავლიაშვილი ქ., დასახ. ნაშრომი, გვ. 507

[65] პავლიაშვილი ქ., დასახ. ნაშრომი, გვ. 507

[66]http://www.nplg.gov.ge

ნაწილად მიიჩნეოდა. ეს იმის შედეგი იყო, რომ რეფორმაციის პირველი ტალღა საერო დიდებულებისაგან დიდად იყო დავალებული. რომ არა მათი მხარდაჭერა, ფართო მასშტაბიანი რეფორმაცია ვერ განხორციელდებოდა, მაგრამ რეფორმაციის მეორე ტალღამ სწორედ ეს გააპროტესტა. ისინი თვლიდნენ: ის, თუ რომელ სახელმწიფოში დაიბადება ადამიანი, არ უნდა გახდეს მისი რწმენის განმსაზღვრელი ფაქტორი. რეფორმაციის რადიკალურმა მიმართულებამ, რომელსაც ანაბაპტისტები ედგნენ სათავეში, ეჭვქვეშ დააყენა ეკლესიისა და სახელმწიფოს ასეთი ურთიერთობის საკითხი. მისმა წარმომადგენლებმა ციურიხში დაიწყეს ზრდასრული ადამიანების ხელმეორედ მონათვლა და სწორედ აქედან მომდინარეობს მათი სახელი „ანაბაპტისტები“, ანუ „ხელმეორედ მონათლულები“. თუმცა ბაპტისტებთან ანაბაპტისტების სხვა უფრო საფუძვლიანი კავშირის დამადასტურებელი ისტორიული მონაცემები რელიგიათმცოდნეებს არ მოეპოვებათ. მეორე მხრივ, როგორც ჩანს, მენონიზმმაც იქონია მნიშვნელოვანი გავლენა ბაპტიზმის ჩამოყალიბებაში.

ბაპტიზმი იმთავითვე ორ ძირითად მიმართულებად დაიყო (დღემდე ამგვარი სახით წარმოჩინდება): საყოველთაო და კერძო ბაპტიზმად. მათ ერთმანეთისგან ხსნისადმი, ცოდვის გამოსყიდვისადმი დამოკიდებულება განასხვავებთ. 1633-1638 წლებში ბაპტისტებს შორის თეოლოგიურ საფუძველზე განხეთქილება მოხდა. ერთმანეთს ორი ლიდერი - თომას ჰელვისი და ჰენრი იაკობი - დაუპირისპირდა. ჰელვეი კალვინის გავლენით ამტკიცებდა, რომ კაცობრიობის ხსნის ბედი ღმერთმა წინასწარ განსაზღვრა. ადამიანთა სიმრავლიდან მან რჩეულები გამოყო და მხოლოდ ისინი დაიმკვიდრებენ სასუფეველს. ჰენრი იაკობის თანახმად კი, ღმერთი იხსნის ყველას, ვინც სიკეთისა და ღვთივ სათნო ცხოვრების გზას დაადგება. ამ საკითხის გარშემო დავამ მწვავე ხასიათი მიიღო, მაგრამ საბოლოოდ საყოველთაო ხსნის იდეამ ბაპტისტების უმრავლესობაში უპირატესობა მოიპოვა და ეს მოძღვრება მსოფლიოს დიდ ნაწილში გავრცელდა როგორც საყოველთაო ხსნის აღმსარებლობა.[67]

[67] http://www.nplg.gov.ge

ბაპტისტები ეთანხმებიან ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსს, ანუ, პატრისტიკა-პატროლოგიის ძირითად დებულებებს (აღიარებენ ყოვლადწმინდა სამებას, იესო ქრისტეს ორ ბუნებოვნებას, ქალწულისაგან შობას, სწამთ ქრისტეს გამომსყიდველობითი მსხვერპლი, აღდგომა, ამაღლება და მისი დიდებით მოსვლა, საწუთროს გარდასვლის შემდეგ ღვთის სამჯავრო - სასჯელი ან ჯილდო). ბაპტისტები ცნობენ ეკლესიის მადლმოსილებასა და მნიშვნელობას პიროვნების სულიერი წინსვლისა და წარმატების გზაზე, მაგრამ, სხვა პროტესტანტული ეკლესიების მსგავსად, ღმერთსა და ადამიანს შორის ერთადერთ შუამავლად იესო ქრისტეს, მამისაგან განკაცებულ ძეს, აღიარებენ. შესაბამისად, ბაპტიზმი რწმენის ერთადერთ წყაროდ იესო ქრისტეს სახარებისეულ მოძღვრებას აცხადებს. ბაპტისტური ეკლესიისთვის რწმენა ხსნის ერთადერთი კრიტერიუმია, ხსნა კი საღვთო მადლით მოიპოვება.

რუსეთის ყოფილ იმპერიაში ბაპტისტურ ეკლესიას, ბალტიისპირეთის შემდეგ, პირველად საქართველოში, თბილისში 1867 წლის 20 აგვისტოს დაედო სათავე. ამ დროს ერთმანეთს შეხვდნენ გერმანელი ბაპტისტი მარტინ კოლვეიტი და თბილისის მალაკანთა თემის წინამძღვარი ნ. ი. ვორონინი, რომელმაც წყლით ნათლობის აუცილებლობა აღიარა, მოინათლა და ძველი თანამორწმუნეების დიდი ნაწილი გაიყოლია. ამდენად, თბილისის ბაპტისტთა ეკლესია რუსეთიდან გადმოსახლებული მალაკნების ბაზაზე შეიქმნა. მოგვიანებით ბაპტისტთა ოსური და სომხური თემებიც ჩამოყალიბდა. ამ თემში დროდადრო ქართველებიც წევრიანდებოდნენ, მაგრამ მათი რაოდენობა იმდენად მცირე იყო, რომ ქადაგება მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. 1919 წელს ვითარება შეიცვალა და შესაძლებელი გახდა ქართულენოვანი ეკლესიის დაარსება. ეს მისია სამხედრო სამსახურიდან ახლად დაბრუნებულმა ილია კანდელაკმა იკისრა.

საბჭოთა ეპოქაში ბაპტისტებს დევნიდნენ და ავიწროვებდნენ ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა აღმსარებლობის ადამიანებს. საქართველოდან გადაასახლეს არა ერთი ბაპტისტი ღვთისმსახური. ბოლშევიკებმა 1927 წელს მოკლეს ილია კანდელაკი, როდესაც იგი ქადაგებიდან შინ ბრუნდებოდა. დახურეს ბაპტისტური ეკლესიები. მეორე

მსოფლიო ომის შემდეგ ქართულ ენოვანი მსახურების უფლება ეკლესიას მხოლოდ თბილისში დაუტოვეს, ამიტომაც მორწმუნეები მხოლოდ დედაქალაქში იყრიდნენ თავს.

1944 წელს თბილისის ბაპტისტთა თემს „სახარებისეული ქრისტიანები“ შეუერთდნენ. დღეისათვის ეს ორი მიმართულება (ბაპტისტები და ევანგელისტები, რადგან მათ შორის არსობრივი სხვაობა არაა) გაერთიანებულია და ეწოდება საქართველოს ევანგელურ ბაპტისტური ეკლესია (სებე).

1990-იანი წლების ბოლოს სებე ერთ-ერთი ინიციატორი იყო საქართველოში ქრისტიანული ეკლესიების სამუშაო ჯგუფის შექმნისა, რომელშიც გაერთიანებულია ოთხი ეკლესია: ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია საქართველოში, საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია და კათოლიკე ეკლესია საქართველოში.[68]

სებე ორგანიზაციული კუთხით დემოკრატიულ პრინციპზეა აგებული. მისი უმაღლესი მმართველობითი ორგანოა საეკლესიო კრება, რომელშიც მონაწილეობენ როგორც სასულიერო, ისე საერო პირები. კრება ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება და ფარული კენჭისყრით ირჩევს მთავარეპისკოპოსს, რომელიც მოიაზრება პირველ მწყემსად თანასწორთა შორის. კრება ასევე ირჩევს ეპისკოპოს-პრეზიდენტს. იგი თაოსნობს ეკლესიის ადმინისტრაციას და პარალელურად ეკლესიის სინოდის თავმჯდომარეცაა. ეპისკოპოს-პრეზიდენტი ნიშნავს ეკლესიის გენერალურ მდივანსაც. სინოდი წარმართავს ეკლესიის ცხოვრებას და ანგარიშვალდებულია კრების წინაშე. ცალკეულ ადგილობრივ ეკლესიებს ჰყავს ხუცესები, დიაკვნები, მქადაგებლები, მაგრამ ისინი ერთმანეთთან იერარქიულად არ არიან დაკავშირებულნი. რეგიონალური პრინციპით სებე ოთხადაა გაყოფილი (კახეთი, თბილისი, ქართლი, დასავლეთ საქართველო). თითოეულ რეგიონს ეპისკოპოსი ან მთავარხუცესი მეთვალყურეობს. ეკლესიაში დაშვებულია ქალთა ხელდასხმა. ამჟამად, სებეში მოღვაწე ეპისკოპოსებს შორის ერთ-ერთი ქალია (რუსუდან გოცირიძე).

[68] http://www.nplg.gov.ge

ბაპტისტურმა ეკლესიამ წინ წამოსწია და გაზარდა ქალის რელიგიური უფლებები, რომელთა პირველ სახეს პირველ ქრისტიანებში ვხვდებით. ვგულისხმობთ, დედათდიაკვნის წოდებას, მაგრამ აქვე აღსანიშნავია, რომ დიაკონოსებს არ შეეძლოთ ღვთისმსახურებაში მონაწილეობის მიღება და ისინი მხოლოდ ნათლობის რიტუალში მონაწილეობდნენ. რაც შეეხება ქალს ბაპტისტურ ეკლესიაში, ქალი გვევლინება ეპისკოპოსად, მღვდლად. არა, უბრალოდ, „დამხმარე“ პერსონაჟად, არამედ წამყვან ფიგურად. შეიძლება ითქვას, ქალის რელიგიური უფლებების სრულყოფა მხოლოდ ქრისტიანობის ამ მიმდინარეობაში გვხვდება. თუკი ჩვენ შევადარებთ განხილულ რელიგიებს ერთმანეთს და გამოვკვეთთ მათში ქალის რელიგიურ უფლებებს, ზოგი რელიგია ან სულ უკრძალავს მას რაიმე სახის უფლებას, ან მცირედი დოზით მაინც გვხვდებიან, ხოლო ქალის სრული რელიგიური, თავისუფალი უფლებები, პროტესტანტიზმის მიმდინარეობამ, ბაპტიზმმა, სრულყო.

თავი IV

საბჭოთა ეპოქის დამოკიდებულება ქალთა რელიგიური უფლებებისადმი

საბჭოთა იმპერიის ფორმირებამ სათავე დაუდო კაცობრიობის ისტორიისათვის მანამდე უცნობ ეპოქას, რომელიც თავისი სახასიათო თვისებებითა და იდეოლოგიით მსოფლიო ისტორიაში საბჭოური ეპოქის სახელწოდებით შევიდა. ახალი წყობის იდეოლოგიამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ყოველივე ძველს. ძველ სტერეოტიპს შორის უკიდურეს შეზღუდვას ეროვნული რელიგიები და ტრადიციები განიცდიდნენ. კომუნისტებმა უარყვეს ზოგადად რელიგია და თავად კომუნიზმი გამოაცხადეს რწმენის ახალ სახეობად, საბჭოურ იდეალად. ამ იდეოლოგიას - „ახალ რელიგიას“ კი უწოდეს „ლენინიზმი“.[69]

„ახალი რელიგიის“ მამამთავრებისათვის თავად რელიგიის არსებობა მიუღებელი იყო და ისინი ისეთი საზოგადოების შეექმნისაკენ ისწრაფვოდნენ, რომელიც ყოველგვარი რელიგიური წარმოდგენისაგან თავისუფალი იქნებოდა. ამავდროულად, „ახალი რელიგიის“ მიმდევართათვის ისიც იყო ცნობილი, რომ რევოლუციის გზით შეუძლებელი იყო რელიგიის სრული ლიკვიდაცია; მისი სრული უარყოფისთვის საჭირო იყო გარკვეული ისტორიული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც განხორციელდებოდა რელიგიის არა მკაცრი აკრძალვა, არამედ მისი ჩანაცვლება მეცნიერულად დასაბუთებული ახალი ანტისარწმუნოებრივი იდეოლოგიით.[70]

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდანვე რელიგიისა და ეკლესიის წინააღმდეგ დაიწყო აშკარად ანტიჰუმანური, ვიწრო კლასობრივ-სახელმწიფოებრივი და პარტიულ-ადმინისტრაციული შეტევა. განხორციელდა ისეთი

[69]პავლიაშვილი ქ., საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია 1800-1945, თბ., 2008, გვ. 439

[70] პავლიაშვილი ქ., დასახ. ნაშრომი, გვ. 440

საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ძირს უთხრიდა ეკლესიის ეკონომიკურ საფუძვლებს და სახელმწიფოებრივ სტატუსს.[71]

ანტირელიგიური კამპანიის მნიშვნელოვნად შემადგენელი ნაწილი იყო წმინდა ნაწილების გახსნის ცერემონიალი, რომელიც დაცული იყო სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებში. რუსეთში აღნიშნული მოძრაობა დაიწყო ჯერ კიდევ 1919 წელს, ვ. ი. ლენინის პირადი მითითებით. იგი ამბობდა: ,,ვაჩვენოთ თუ რით იყო გატენილი მღდვლების მიერ ეს ფიტულები, ვაჩვენოთ თუ რა განისვენებდა, რანაირი წმინდანები იყო ამ მდიდარ სანაწილეებში, რასაც ასე მრავალი საუკუნე მოწიწებით ეთაყვანებოდა ხალხი და რისთვის ატყავებდნენ უბრალო ხალხს ეკლესიის მსახურნი-მარტო ეს საკმარისი იქნება იმისთვის რომ რელიგიას ჩამოვაშოროთ მრავალი ათასობით ადამიანი“[72]

საქართველოს მაგალითზე, ეს პროცესი დაიწყო 1923 წლის დამდეგს. 23 იანვარს ქ. ქუთაისში შედგა, ე. წ. ,,რელიგიის გასამართლება“, რომელზედაც თავი მოიყარა ათასობით ადამიანმა. ხელყოფილ იქნა მოწამეთას მონასტერში დაცული წმინდანების-კონსტანტინესა და დავითის-წმინდა ნაწილები. ასევე წმინდა ნაწილები გაიხსნა: სიღნაღის მაზრის სოფელ ბოდბისხევში, ხარაგაულის რაიონის სოფლებში მელისკარისა და კახორას ეკლესიებში, ზუგდიდის რაიონის სოფელ ყულისკარის წმინდა გიორგისა და ოჩამჩირის რაიონის სოფელ ილორის ეკლესიებში, რაჭაში-ნიკორწმიდის ეკლესიებში. ამ ღონისძიებებმა თითქმის ყველგან გამოიწვია მორწმუნეთა მკვეთრად გამოხატული უკმაყოფილება და მტკიცე პროტესტი.[73]

აჭარაში ანტირელიგიური კამპანია დაიწყო ჯერ კიდევ 1922 წლის დეკემბერში და ჩატარდა მხოლოდ ბათუმში. დაიხურა სამხედრო ეკლესია და სინაგოგა. ბათუმსა და მის შემოგარენში დარჩა 2 მოქმედი ეკლესია: მართლმადიდებლური და სომხურ-გრიგორიანული. მოქმედებდა ერთი სინაგოგა. აჭარაში მუსლიმურ მოსახლეობას

---

[71]როგავა გ., როგორ ებრძოდნენ რელიგიასა და ეკლესიას საქართველოში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1994 ე, თბ., გვ. 9 http://www.tdi.ge/ge/page/sabchoeti-da-religia?fbclid=IwAR0nXYKe35nnexYedehwwQboFv1cq8xmS11zXmAlZROFw-pXse-y87EeUag

[72]ნიკოლსი ნ., რუსეთის ეკლესიის ისტორია, მოსკოვი, 1990, გვ.362

[73]როგავა გ., დასახლ. ნაშრომი, გვ. 17

ანტირელიგიური კამპანია არ შეხებია, რაც გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით იყო გამოწვეული, რადგანაც აჭარის მოსახლეობაზე დიდ გავლენას ახდენდა თურქეთი და ცდილობდა თავის საზღვრებში მოექცია აჭარლები.

ახალციხისა და ბორჩალოს მაზრებში, სადაც მუსულიმ მოსახლეობა ჭარბობდა, ანტირელიგიური კამპანია ტარდებოდა დიდი სიფრთხილით. ახალციხეში დაიკეტა 2 კათოლიკური, 2 გრიგორიანული, 2 მართლმადიდებლური ეკლესია და 2 სინაგოგა. ბორჩალოს მაზრაში დაიხურა 10 ეკლესია, 1 მონასტერი და 4 მეჩეთი, სიღნაღისა და თელავის მაზრებში ეკლესიების დახურვას მასიური ხასიათი ჰქონდა.[74]

1923 წლის გაზაფხულისათის საქართველოში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი კუთხე, ქალაქი და სოფელი, სადაც ანტირელიგიური მოძრაობის ტალღას არ შეეღწიოს. იმავე წლის აპრილისათვის 600-მდე ეკლესია დამონასტერი დაიკეტა.[75]

ასეთი დამოკიდებულება იწვევდა როგორც მორწმუნეთა, ისე ურწმუნოთა კანონიერ აღშფოთებას, მაგალითად, კახეთის სოფელ ველისციხეში 300-მდე ქალი გამოვიდა ეკლესიების ადმინისტრაციული წესით დახურვის წინააღმდეგ, ასევე წითელწყაროელი ქალებიც, ზოგიერთ რაიონში ადგილი ჰქონდა ცალკეულ ექსცესებს.[76]

მაზრებში ადგილი ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების ქმედებით გამოწვეულ ექსცესებს. ერთის მხრივ, კომკავშირელთა, ხოლო, მეორეს მხრივ, მორწმუნე ქალთა შეხლა-შემოხლა მოხდა გორის, დუშეთის, თელავის მაზრებში, ხოლო რაჭაში, ბუგეულის თემში, სადაც მორწმუნეთა გამოსვლას ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა, სროლის დროს დაიღუპა ერთი ქალი.[77]

1922 წლის შემდგომ, საბჭოთა მთავრობის ეკლესიისადმი დამოკიდებულების პოლიტიკამ ახალ ფაზაში შეაბიჯა. ეს ეტაპი სტალინური საეკლესიო პოლიტიკის დასაწყისია, რომელიც უფრო ფრთხილი, წინდახებული და გარკვეულწილად ეკლესიისადმი კომპრომისული თვისებებითაც ხასიათდება.

---

[74]სრუია ფ., 14, ანაწ. 1. ს. 530, ფურც. 141
[75]როგავა გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 19
[76]როგავა გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 21
[77]როგავა გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 21

,,საეკლესიო პოლიტიკის,, ახალი ფაზა რადიკალურ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა ,,ტროცკისტულ საეკლესიო პოლიტიკასთან". საისტორიო წყაროები ცხადჰყოფენ, რომ 1923-1926 წლებში სტალინის მიერ ეკლესიის განადგურების საწინააღმრდეგო ბრძანებებს ტროცკისტები ბლოკირებას უკეთებდნენ. აღნიშნული განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ ტროცკისტების ბანაკი სტალინის გენერალურ მდივნად ყოფნის მიუხედავად, ჯერ კიდევ სერიოზულ ძალაუფლებას ფლობდნენ ხელისუფლებაში. 1924 წლის 8 ივლისს მ. კალინინის ხელმოწერილი დოკუმენტი შემდეგი შინაარსისაა: ,,არც ერთმა ცირკულიარმა 1923 წლის 16 ივლისიდან გამოცემულმა, არც უმაღლესი ცენტრალური აღმასრულებელი კაბინეტის მე-5 განყოფილების ინსტრუქციებმა, ვერ მოიყვანა სიმშვიდეში საეკლესიო საქმეები, რომელსაც მოწმობს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოებისადმი გამოგზავნილი მიმართვები. ჩვენი თხოვნა იქნება იოსებ ბესარიონის ძევ, გაეცნოთ დოკუმენტებს და კიდევ ერთხელ ცენტრალური კომიტეტის სახელით მისცეთ მკაცრი დირექტივები მათ, ვისაც ევალებათ მისი პრაქტიკული განხორციელება.[78] სხვათა შორის იზრდება მისწრაფება რაც შეიძება მეტი ტაძრების და მათი ქონების ხელთგდებისა, რასაც მოსდევს წინააღმდეგობა მორწმუნე საზოგადოების მხრიდან. რაც შეიძლება სწრაფად უნდა იქნას მიღებული შესაბამისი ღონისძიებები".[79]

მართალია, საბჭოთა ხელისუფლება ათეისტური ორიენტაციის იყო, მაგრამ მისთვის სულ ერთი არ იყო ზოგადად რელიგიის და კონკრეტულად ეკლესიის პოლიტიკური პოზიცია. სახელმწიფო მეთაურის წინაშე დადგა საკითხი ეკლესიის სფეროში რეფორმების გატარებისა, რომელსაც უნდა უზრუნველყო საეკლესიო ორგანიზაციის არსებობა და მისი საბჭოთა ქვეყნის მშენებლობაში ჩართვა. საბჭოთა ხელისუფლების გამოკვეთილი პოზიცია ეკლესიისადმი განპირობებული იყო იმით, რომ საბჭოთა სივრცეში ქრისტიანობა რიცხობრივად და რწმენიდან გამომდინარე ისტორიულად პრიორიტეტულ რელიგიას წარმოადგენდა. სწორედ ი. სტალინის ხელისუფლებაში მოსვლიდან მოხდა ეკლესიის ფუნქციის გააზრება და მისი საბჭოთა

[78]პავლიაშვილი ქ., დასახ ნაშრომი, გვ. 444
[79]იქვე

ინტერესების გამოყენებისთვის მუშაობის გაშლა. საბჭოთა ხელისუფლების უპირველესი ამოცანა იყო საბჭოური ავტორიტარული სისტემის შექმნა, რომელსაც ეკლესია ხელს არ შეუშლიდა, პირიქით, მისი იდეოლოგიის დამცველ-გამტარებელი იქნებოდა საბჭოთა საზოგადოებაში ეს პროცესი დასრულდა 30-იანი წლების მიწურულს და ეკლესიაც საბჭოთა კავშირში უნებლიედ გახდა ავტორიტარული რეჟიმის ხელშემწყობი თავისი ჩადგომით საბჭოური სახელმწიფოს მშენებლობის სამსახურში.[80] ხელისუფლების საეკლესიო პოლიტიკა მიმართული იყო იქეთკენ, რომ ,,ახალ სახელმწიფოში" ემოქმედა ,,ახალ ეკლესიას", რომელიც გასწევდა საბჭოური სისტემის იდეოლოგიზაციას მასებში. [81]

საბჭოთა ხელისუფლების ზღვარსგაცილებული ანტირელიგიური პოლიტიკა, მორემუნე საზოგადოებაში მწვავე უკმაყოფილებას იწვევდა, რაზეც ხელისუფლებას უხდებოდა საგანგებო მსჯელობები და შესაბამისი ღონისძიებების დასახვა. ამიერკავკასიის აღმასრულებელმა კომიტეტმა 1924 წლის სექტემბერში და მიიღო მიმართვა რესპუბლიკები ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისადმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ,,მიუხედავად რელიგიისა და ეკლესიის სფეროში საბჭოთა პოლიტიკის სიცხადისა, მიუხედავად სათანადო კანონმდებლობის კატეგორიული მოთხოვნებისა... ამიერკავკასიის სფსსრ-ში შემავალ რესპუბლიკებში ადგილი აქვს ამ კანონების დარღვევებსა და მორწმუნეთა თვალში საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტის შელახვას.[82] უარის თქმა შენობათა მიცემაში რატომღაც არასასურველი მოქალაქეებისადმი, არსებული ეკლესიებისა და სამლოცველო სახლების დაკეტვა და აღება, რეგისტრაციაზე უარის თქმა, ხოლო ზოგჯერ ცალკეულ მოქალაქეთა დაპატიმრება-აი დაახლოებით ის შემოვლითი ღონისძიებანი, რომლითაც სარგებლობენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იმისათვის, რომ თავი დაიჯავშნონ პოლიტიკური და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და რევოლუციური კანონების დარღვევებისათვის, რომლის

[80]პავლიაშვილი ქ., დასახ ნაშრომი, გვ. 445
[81]ხუციშვილი გ., დასახ ნაშშრომი, გვ. 206
[82]როგავა გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 31

დაცვისათვისაც თვითონვე არიან მოწოდებულნი...[83] თუ სამოქალაქო ომის მრისხანე წლებში საბჭოთა მთავრობა იძულებული იყო შერიგებოდა ასეთ მდგომარეობას,[84] მშვიდობიანი მშენებლობის პირობებში მსგავსს მოვლენებს ბოლო უნდა მოეღოს, მიღებულ იქნას გადამწყვეტი ზომები იმისათვის, რომ ობიექტურად შეუძლებელი გახდეს სახელმწიფო მმართველოს საბჭოური სისტემის ერთ-ერთი ძირითადი საწყისის-სინდისის თავისუფლების დარღვევის თუნდაც ერთეული შემთხვევა".[85]

მოსახლეობის ზოგადი განათლება იყო ძირითადი საფუძველი ეკლესიისა და რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამის პარალელურად, პარტია ატარებდა ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იყო პირდაპირ რელიგიისა და საეკლესიო მსახურების წინააღმდეგ.[86]მათ შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა ანტირელიგიური კამპანიების მოწყობას რელიგიური და საეკლესიო დღესასწაულების დროს.

ცრუ რწმენების და რელიგიის გავლენა დიდი იყო განსაკუთრებით ქალებში; ჯერ კიდევ ბატონობდნენ გვაროვნულ-პატრიარქალური ყოფისათვის დამახასიათებელი ადათ-წესები: კალიმი (ქალის გაყიდვა და შესყიდვა), ჩადრის ტარება, მრავალცოლიანობა, მცირეწლოვანთა გათხოვება და სხვ. აგრეთვე პარტიულ-კომკავშირულ და საბჭოთა დაწესებულების მუშაკებზე, რომელთაგანაც ბევრი იხდიდა ნათლობას, ემთხვეოდა მღვდელს ხელზე, დაკრძალვის დროს სარგებლობდა მღვდლის სამსახურით. რელიგიური რიტუალების შესრულებისათვის 1929 წელს კომკავშირის რიგებიდან გარიცხეს 50 კომკავშირელზე მეტი.[87]

1928 წელს საქართველოს კომინისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის და პიონერთა ცენტრალური ბიუროს მოხსენება ნაციონალურ უმცირესობაში ახალგაზრდებს შორის კულტურულ-

---

[83]http://www.tdi.ge/ge/page/sabchoeti-da-religia?fbclid=IwAR0nXYKe35nnexYedehwwQboFv1cq8xmS11zXmAlZROFw-pXse-y87EeUag

[84]https://marshalpress.ge/archives/22905?fbclid=IwAR0nXYKe35nnexYedehwwQboFv1cq8xmS11zXmAlZROFw-pXse-y87EeUag

[85]საქ. ცსა ფ. 284, ს. 149, ფურც. 15

[86]ხუციშვილი მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 207

[87]ხუციშვილი მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 216

საგანმანათლებლო მუშაობის გაუმჯობესების შესახებ და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.[88] კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს ყურადღება უნდა გაემახვილებინა ახალგაზრდობის ანტირელიგიურ აღზრდაზე, განსაკუთრებით სექტანტურ ახალგაზრდობაში.[89]

ანტირელიგიური და ათეისტური პროპაგანდის ორგანიზაცია განსაკუთრებით რთული იყო მრავალეროვან რაიონებში, სადაც სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები ცხოვრობდნენ. ასეთ რაიონად მოიაზრება ახალციხე და ბორჩალო;[90] სირთულით გამოირჩეოდა აჭარის რეგიონი. [91]

1929 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის სრულიად საქართეველოს ცენტრალური საბჭო“. მანამდე კი საქართველოს ყველა მაზრაში შეიმქნა უღმერთოთა უჯრედები.[92] ამის შესახებ სამდივნოს დადგენილებაში აღნიშნული იყო: „ანტირელიგიური პროპაგანდის დარგში საჭირო იქნეს ცნობილი უღმერთოთა უჯრედების დაარსება და მათში ცენტრალური კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებების დირექტივების თანახმად მუშაობის წარმოება“[93]

„მუკის“ მთავარი ფუნქცია იყო დაუნდობელი ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ, მაგრამ განსხვავება „მუკსა“ და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის იყო ის, რომ ამ ბრძოლას კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათი ჰქონდა, რომელიც უნდა წარმართულიყო მეცნიერული საშუალებებით; და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, აღნიშნული პროცესები საზოგადოების ყურადღების ცენტრში უნდა მოქცეულიყო.[94]

წინა ეპოქების მსგავსად, საბჭოთა იმპერიაშიც აქტუალური პრობლემა იყო ქალთა რელიგიური უფლების საკითხი. საბჭოთა კავშირის არსებობის პირველ წლებში ე.წ. „ქალთა საკითხის“ ირგვლივ არსებული მიდგომები ორი ნიშნით გამოირჩეოდა: ერთის

---

[88]ვარდოსანიძე ს., დასახ. ნაშრომი, გვ. 153
[89]საქ. პარტ. არქივი, ფ. 14, ანაწ. 1, ნაწ. 11, საქ. 2740, 1928
[90]საქ. ცპა, ფ. 14, ანაწ. 1, საქმე 2739, 1928;
[91]საქ. კპ. გვ. 327-329, თბ., 1976
[92]ხუციშვილი მ., დასახ. ნაშრომი, გვ. 219; სილაგაძე ე., „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ისტორია“, სადისერტაციო ნაშრომი, თბ; 2016
[93]საქ. პარტ. არქ. ფ. 1, ანაწ. 1, ნაწ. 11, საქმე 240,1928, ფურც. 210-212
[94]როგავაგ., დასახ. ნაშრომი, გვ. 107; 127

მხრივ, მათ ახასიათებდა რევოლუციური ორთოდოქსალურობა (ყველა აღიარებდა, რომ ჭეშმარიტ რევოლუციას შედეგად ქალების გათავისუფლება უნდა მოჰყოლოდა) და, მეორეს მხრივ - აშკარა ამბივალენტურობა (ძალიან ცოტას თუ სურდა დაეთმო დრო, ენერგია და რესურსები ამ პროექტისათვის). ნაწილობრივ, სწორედ ორთოდოქსულობისა და ამბივალენტურობის ამ კომბინაციით აიხსნება, რომ ბოლშევიკებმა მხოლოდ მას შემდეგ მიმართეს განსაკუთრებულ ზომებს მუშათა კლასის ქალების მობილიზებისათვის, რაც ნათელი გახდა, რომ რევოლუცია ვერ მიაღწევდა მიზნებს ქალების, როგორც მოქალაქეებისა და ამხანაგების ჩართულობის გარეშე; გარდა ამისა, ქალთა პრობლემების მოგვარების გარეშე დღის წესრიგში არსებული სხვა პოლიტიკური საკითხების გადაჭრა შეუძლებელი იყო.[95]

ბოლშევიკური რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო ქალების ჩართვა საზოგადოებრი ცხოვრების ყველა სფეროში. საამისოდ, 1919 წელს დაარსდა ქალებთან მუშაობის დეპარტამენტი. მისი პირველი ხელმძღვანელი იყო ინესა არმანდი. ქალთა განყოფილება მიზნად ისახავდა ქალების პოლიტიკური ცნობიერების ამაღლებას,რელიგიისგან გამიჯვნას და საზოგადოებრივ სფეროში მათ გააქტიურებას. ამ ამოცანასთან მჭიდრო კავშირში იყო ბოლშევიკური ხედვა, რომ ქალების გათავისუფლებისათვის აუცილებელი იყო ოჯახური საქმეების კერძო სფეროდან საზოგადოებრივ სფეროში გადატანა,[96] ქალის მოწყვეტას რელიგიური ცხოვრების წესისაგან და საეკლესიო მსახურებისაგან, ოჯახში რელიგიური წესების დანერგვის წინააღმდეგ ძალად და სხვ.

კანონმდებლობის თვალსაზრისით, 1917 წელს ბოლშევიკების საკონონმდებლო ინიციატივებმა ქალებს სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების მთელი სპექტრი მიანიჭეს და ახალი კანონმდებლობის წინაშე ქალი და მამაკაცი უფლებრივად გათანაბრდნენ. მაგალითად, ქალებს მიენიჭათ უფლება, მოეთხოვათ და მიეღოთ მამაკაცის თანაბარი ანაზღაურება თანაბარ შრომაში; 1918 წლიდან რელიგიური ქორწინება სამოქალაქო ქორწინებამ შეცვალა, რის შედეგადაც მოიმატა ქორწინებისა

[95]საბედაშვილი, თამარ (2006). ქალთა უფლებების თეორიული ასპექტები.
[96]Elizabeth A.Wood. (1997). The *Baba and the Comrade*. Gender and Politics in Revolutionary Russia.

და განქორწინების რაოდენობამ ახალგაზრდებში. 1920 წელს მოხდა აბორტის ლეგალიზება. ხელისუფლებას სურდა გენდერული თანასწორობის იდეის შემოტანა და იდეოლოგიურად განმტკიცება, რათა მეტი ქალი ჩართულიყო ოჯახს გარეთ შრომაში და მათი ენერგია და შრომა მაქსიმალურად გამოეყენებინათ სწრაფი ინდუსტრიალიზაციის პროცესში.[97]

საბჭოთა კავშირის ადრეული წლების ტრანსფორმაცია 30-იან წლებში შეიცვალა სახელმწიფო პოლიტიკით, რომელიც ოჯახის აღდგენა-განმტკიცებაზე იყო მიმართული და ქალებს ორმაგ ტვირთს აკისრებდა - ოჯახში და ოჯახს გარეთ შრომას. 1934 წელს მიღებული გადაწყვეტილებით ქალთა განყოფილებები გაუქმდა. 1936 წელს მოხდა აბორტის კრიმინალიზაცია.[98]

1924 წლამდე საბჭოთა მთავრობაც ცდილობდა ქალები გაეთანასწორებინა მამაკაცებთან. იდგმებოდა ნაბიჯები, რომ დამსხვრეულიყო ტრადიციული ოჯახის გაგება. ლენინი ამ საკითხში შედარებით კონსერვატორი იყო, ვიდრე მემარცხენე ფემინისტი ბოლშევიკების ლიდერი ალექსანდრა კოლონტაი.[99]

ადრეული რეფორმები მოიცავდა:

ა) კონტრაცეპტივების თავისუფალ გამოყენებას;

ბ) აბორტის ლეგალიზებას (ლეგალიზებული იყო 1920 წლიდან);

გ) ქორწინების პროცედურის გამარტივებას (ხანმოკლე სამოქალაქო ცერემონიები და დარეგისტრირება);[100]

დ) განქორწინების გამარტივებას (განქორწინების მისაღებად საკმარისი იყო ერთი მხარის დასტური).[101]

საბჭოთა ქვეყნის ქალთა უფლებების პოლიტიკას დადებითი მხარეც ჰქონდა, კერძოდ, ქალის უფლებების წინ წამოწევა, საკითხის გააქტიურება და ამ დროიდან, ქალი გვევლინება ექიმად, ინჟინრად და სხვა პროფესიის წარმომადგენლად.[102]

---

[97]http://dictionary.css.ge/content/early-soviet-union-20ies-and-30ies-and-gender

[98]საბედაშვილი, თამარ (2006). ქალთაუფლებებისთეორიულიასპექტები.

[99]http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=10324

[100]http://mastsavlebeli.ge/uploads/IT/natia%20fircxalava%20stsliini.pdf

[101]http://blogs.bu.edu/guidedhistory/russia-and-its-empires/chelsea-adler

ნიშანდობლივია, რომ მორწმუნე საზოგადოებიდან ანტირელიგიურობის წინააღმდეგ ისევ ქალები ილაშქრებდნენ. ასევე, იმავე ქალებში მოიძიებოდნენ ისეთებიც, რომლებიც რელიგიურ მსახურებებსა და ტრადიციებს ებრძოდნენ, მაგალითად, „კომკავშირული შობა“ და „კომკავშირული აღდგომა“, რომელიც ტარდებოდა კარნავალების, საზეიმო მსვლელობების, ან მიტინგების სახით, რომლებიც წმინდა სააგიტაციო ხასიათს ატარებდნენ ქალები ხელმძღვანელობდნენ. კომკავშირელი ქალები უხეშ ადმინისტრაციულ ზომებს მიმართავდნენ არა მარტო ეკლესიისა და მღვდლების, არამედ თვით მორწმუნეთა მიმართ, შეურაცხყოფდნენ მათ რელიგიურ გრძნობებს.

საბჭოეთის მიერ რელიგიისა და მორწმუნეთა შეურაცხყოფის წინააღმდეგ კახეთის სოფელ ველისციხეში 300-მდე ქალი გამოვიდა ეკლესიის ადმინისტრაციული წესით დახურვის წინააღმდეგ, ზოგიერთ რაიონში ადგილი ჰქონდა ცალკეულ ექსცესებს. ასევე, მღვდლების გაკრეჭასა და მათი ეკლესიიდან განდევნას მოჰყვა მორწმუნე ქალთა შეხლა-შემოხლაგორში, დუშეთის რაიონში, და სროლის დროს ერთი ქალი ამ დაპირისპირებას კიდეც შეეწირა.

აღსანიშნავია მორწმუნე ქალთა კრება, რომელმაც 1925 წელს ეკატერინე გაბაშვილის თაოსნობით წერილობით მიმართა ცენტრალურ კომიტეტს, რათა შეეწყვიტათ ეკლესიების დაკეტვა.[103]

ზოგადად, ცნობილია, რომ რელიგიური გრძნობების ყველაზე მტკიცედ მატარებლები ქალები არიან. ეს ფაქტი საბჭოეთისთვისაც იყო ცნობილი და დღის წესრიგში ხელისუფლებამ იმთავითვე დააყენა ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო და ათეისტური მუშაობის გაშლის აუცილებლობის საკითხი ქალებში, განსაკუთრებით კი, მუსულმან ქალთა შორის, რომლებიც მრავალი მიზეზის გამო თავიანთი კონსერვატული შეხედულებებით გამოირჩეოდნენ. ამასთანავე, საჭირო იყო მათ მიმართ მოქნილი ტაქტიკა და ზომიერება, რომ ზურგი არ ექციათ ახალი ცხოვრებისათვის. ნიშანდობლივია რომ, პოლიტიკური ბრძოლის გამწვავების

---

[102]https://blogs.bu.edu/guidedhistory/moderneurope/molly-wolanski

[103]როგავა გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 50

პირობებში შეიმჩნეოდა სამღვდელოებისა და სექტანტების მცდელობანი - მუშა და გლეხი ქალების გამოეყენება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

საისტორიო წყაროები იუწყებიან, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მუშათა და გლეხთა ქალთა განყოფილებამ 1928 წელს შექმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა შეესწავლა ყოფითი ნაშთების არსებობა და ხასიათი კულტურულად ჩამორჩენილ ეროვნების ქალთა შორის საქართველოში. კომისიამ ნაყოფიერად იმუშავა და შეისწავლა მდგომარეობა ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.ბორჩალოს მაზრაში მუსულმანი ქალები არ ატარებდნენ ჩადრს, მრავალცოლიანობა არსებობდა გამონაკლისის სახით, მას უფრო მეტად ადგილი ჰქონდა შეძლებულ გლეხებსა და სამღვდელოებას შორის (იგულისხმება მოლები); ადგილი ჰქონდა, აგრეთვე, დროებით ქორწინებას, ანუ „სიგას“, ოჯახში მუშახელის საჭიროების მიზნით. აჭარაში ჩადრი ქალებისა და ქალიშვილების აუცილებელი ატრიბუტი იყო. ბორჩალოში, ახალქალაქსა და ახალციხეში, აგრეთვე, აჭარაში ადგილი ჰქონდა 12-13 წლის გოგონების ყალიმით გათხოვებას 50-55 წლის მამაკაცზე. რაც მათ ფაქტიურ გაყიდვას ნიშნავდა. ყალიმის თანხის უქონლობა ხშირად ქალიშვილების მოტაცების მთავარი მიზეზი ხდებოდა, რასაც თან სდევდა სხვადასხვა გვარის წარმომადგენელთა ურთიერთმტრობა და სისხლის აღება.

აფხაზეთის, აჭარისა და ახალქალაქის მაზრის ზოგიერთ სოფელში, მუსლიმური ადათის მიხედვით, პატარძალს ყოველ საღამოს ფეხი უნდა დაებანა მამამთილისთვის, არ ჰქონდა უფლება დალაპარაკებოდა მამამთილს, დედამთილს, უფორს მაზლებს და რძლებს, არ შეეძლო სადილობისას უფროსებთან ერთად დამჯდარიყო სუფრასთან. ქალი ეკონომიურად მთლიანად მამაკაცზე იყო დამოკიდებული და მის მონა-მორჩილს წარმოადგენდა. მამაკაცები ქალებს ნებას არ აძლევდნენ ჩაბმულიყვნენ საზოგადოებრივ საქმიანობაში. ყოფითი გადმონაშთები მჭიდროდ იყო

გადაჯაჭვული მუსლიმურ რელიგიასთან. კომიტეტმა 1928 წლის იანვარში მიიღო დადგენილება ყალიმის აკრძალვის შესახებ.[104]

წლების განმავლობაში, აჭარაში მომხდარმა სოციალურმა გარდაქმნებმა საფუძველი მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს 1928 წლის მაისში მიეღო დადგენილება აჭარაში ქალების მიერ ჩადრის ახდის შესახებ.

პრაქტიკულად ბრძოლა ჩადრის ტარების წინააღმდეგ აჭარაში დაიწყო 1928 წლის ივლისში, როდესაც პარტიის საოლქო კომიტეტმა წინადადება მისცა პარტიის წევრებსა და კანდიდატებს, კომკავშირელ აჭარლებს, უპირველეს ყოვლისა, თავიანთი ცოლებისა და დებისათვის აეხადათ ჩადრი; მათთვის სავალდებულო გახდა საკუთარ ოჯახში ჩადრის ტარების ჩვეულების აღმოფხვრა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი კომუნისტი და კომკავშირელი „ვერ დარჩებოდა პარტიისა და კომკავშირის რიგებში“[105]

მუსლიმურ ტრადიციისაგან აჭარელი ქალების გამიჯვნისა და მათი პოლიტიკური და კულტურული გათვიცნობიერების საქმეში დიდი როლი შეასრულა აჭრელ და თურქ ქალთა სრულიად საქართველოს ყრილობამ, რომელიც საზეიმოდ გაიხსნა ბათუმში 1929 წლის 8 თებერვალს. მას ესწრებოდა 447 დელეგატი, მათ შორის 382 აჭარელი, 49 თურქი და 10 აფხაზი ქალი.

ეს ყრილობა აჭარელი ქალების ცხოვრებაში განსაკუთრებული მოვლენა იყო, რომელმაც უდიდესი გარდატეხა მოახდინა მათ ფსიქიკაზე. ჯერ კიდევ გუშინ დამცირებული და შეურაცხყოფილი, უუფლებო და უხმო, სახეზე ჩადრაფარებული და თავჩაქინდრული არსება დღეს საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი ხდებოდა,[106]აღნიშნავდა იმ დროის პრესა.

ყრილობაზე ითქვა:“ჩვენ უფრო მეტი მიღწევები გვექნება მუშაობის ყველა დარგში, რომ ხელს არ გვიშლიდეს ძველიფეოდალური ნაშთები და სარწმუნოებრივი ადათები“. ძირს ჩადრი. გაუმარჯოს აღმოსავლეთის განთავისუფლებულ ქალებს.“[107]

---

[104]როგავა გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 63
[105]ფორაქიშვილი ზ., დუხობორობა საქართველოში, თბ., 1965, გვ. 17
[106]როგავა გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 75
[107]საქ. ცსა. ფ. 1547, 57. ფურც. 178

საქართველოს მთავრობის მიერ აჭარაში გატარებულმა პოლიტიკამ, აჭარლების ფართო მასების ჩაბმამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მნიშვნელოვანმა ეკონომიკურმა და კულტურულმა ღონისძიებებმა საფუძველი გამოაცალეს თურქულ განწყობილებებს, რაც, თავის მხრიც, ხელს უწყობდა აჭარლების ჩამოცილებას მესულმანური რელიგიის ტყვეობიდან და მათი ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის თავიანთი წინაპრების რელიგიის - ქრისტიანობისაკენ-დაბრუნებას.

ქრისტიანთა ხვედრი საბჭოთა კავშირში განსხვავებული იყო. რუსულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე(1917-18 წწ) მიიღო ე.წ. „სამრევლო ქარტია“,რითაც საეკლესიო ცხოვრებაში ქალის უფლებები გაზარდა - ქალები, კაცების მსგავსი უფლებით სარგებლობენ მრევლის შეკრებებზე დაიშვებით, მათი სამრევლო საბჭოში შეყვანა, ასევე საეკლესიო უხუცესად არჩევა.1918 წლის 28 სექტემბრის ბრძანებით ქალებს უფლება მიეცათ ფსალმუნების კითხვაზე/მედავითნედ დადგომაზე, მგალობელთა გუნდში გაწევრიანებაზე. „მონასტრებში, მისიონერობასა და ქალთა სასულიერო სასწავლებლებში განაწილებაზე“ - ქალების საქმიანობის ამ სფეროებში განაწილებისა და მათი შესაბამისი განათლების მიღების აუცილებლობას ექცეოდა ყურადღება. ქარტიაში ქალის მდგომარეობაზე ტაძრის საეკლესიო ოლქისა და საეპარქიოშეკრებებზე „განაწილებაზე“ არაფერია ნათქვამი.[108]

1945 და 1971 წწ. „სამრევლო ქარტია” ამ კითხვას ნაკლებად შეეხო და პრაქტიკულად შეუცვლელი დატოვა;სამაგიეროდ, „რუსული მართლმადიდებლური ეკლესიისმმართველობის ქარტიამ“ (დამტკიცდაადგილობრივი საეკლესიო კრებების მიერ 1888 წ.), დაუშვა ქალების საეპარქიო შეკრებებზე მონაწილეობა, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ საეპარქიო საბჭოს საქმიანობაში, საეკლესიო მრევლის ფორმირება-შექმნაში, სამრევლო შეკრებების საქმეში ქალები აქტიურად ჩაერთვებოდნენ. ეჭვგარეშეა, რომ ქალებს შეეძლოთ სწავლების პროცესის გაძღოლა ტაძრის შიგნითაც, შესაბამისი განათლების გათვალისწინებით, რა თქმა უნდა,

[108]http://www.orthedu.ru/culture/vera/8.htm?fbclid=IwAR23KINulMbrgdc--ih7Dyth1hk7DQvkFClrarPdxRX3iu5-r_iIjje7d0M

მედავითნისა და საეპარქიო ორგანოს მეთვალყურეობით; ამასთან, ეკლესია ითვალისწინებდა დედათა გაერთიანებების, მოწყალების ცენტრებისა და სულიერი განათლების შექმნას.[109]

XX საუკუნეში დიდი ცვლილებები მოხდა ევროპის საზოგადოებაში ქალთა სოციალური და სამართლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით. ქალთა ბრძოლამ თანასწორუფლებიანობისათვის არსებით შედეგებს მიაღწია: ქალებს შესაძლებლობა მიეცათ მიეღოთ უმაღლესი განათლება; მამაკაცთა მსგავსად, დაეკავებინათ სახელმწიფოებრივი თანამდებობები და ემუშავათ ნებისმიერ სფეროში. ქალთა ამ ბრძოლამ გამოიწვია მსჯელობა რელიგიურ ინსტიტუციებში მათი სტატუსის შესახებაც. ამ მოვლენებს შედარებით დინამიურად ეხმაურებოდნენ ევროპის პროტესტანტული ეკლესიები. ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ 1919 წელს შვედეთის ეპისკოპოსთა კომისიამ დადებითად შეაფასა ქალთა მღვდელმსახურების შესაძლებლობა. 1945 წელს მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც ქალებს უფლება ეძლეოდათ მამაკაცების თანასწორნი ყოფილიყვნენ სახელმწიფო თანამდებობებზე, თუმცა ქალთა რელიგიური ხელდასხმის შესაძლებლობის საკითხი დღემდე დაბრკოლებად რჩება საეკლესიო საზოგადოებაში და ზოგჯერ საეკლესიო განხეთქილებათა მიზეზადაც კი იქცევა. შვედეთშივე, მას შემდეგ, რაც 1960 წელს სამ ქალს ხელი დაასხეს მღვდლად, ჩნდება ე.წ. „სუფთა ეპარქიები“, რომლებშიც ქალებს მსახურება ეკრძალებათ. 1990-იანი წლების დასაწყისში ქალთა ხელდასხმამ სერიოზული დაპირისპირება გამოიწვია ანგლიკანურ ეკლესიაშიც.

უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ ევროპის საეკლესიო საზოგადოებაში ქალების მღვდლად კურთხევა არ წარმოადგენს ერთადერთ და ყველაზე აქტუალურ საკითხს; განიხილებოდა და დღემდე სადავო რჩება მთელ რიგ ეკლესიაში საკითხი ქალთა აქტივობისა და მათი ნორმატიული სტატუსის გაფორმების შესახებ.

დღეს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად კანონიკური ტრადიციების ერთიანობისა, მართლმადიდებლურ ეკლესიებს არაერთგვაროვანი პოზიციები აქვთ

[109]http://www.orthedu.ru/culture/vera/8.htm?fbclid=IwAR23KINulMbrgdc--ih7Dyth1hk7DQvkFClrarPdxRX3iu5-r_iIjje7d0M

სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. განსხვავებულად წარიმართება ადგილობრივი მართლმადიდებლური ეკლესიების (მართლმადიდებლურ ტრადიციათა თავიანთ ინტერპრეტაციებზე დაყრდნობით) მცდელობანი ქალთა მსახურების ეკლესიაში დამკვიდრებაზე. ამ მხრივ, ახალი ისტორიის მანძილზე აქტიურობით გამოირჩეოდა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია.

რუსეთში ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში გაძლიერდა. ნიშანდობლივია, რომ სწორედ რუსეთში სასულიერო ფენამ დაიწყო ქალიშვილების პროფესიულ განათლებაზე ზრუნვა;ხოლო გოგონებისთვის სასულიერო საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის განვითარებას ბიძგი მისცა რეფორმებმა, რომლებმაც, ამავდროულად, სასულიერო წოდების კარჩაკეტილობაც გაანადგურა. 1913 წლისათვის მოსკოვში შემუშავდა პროექტი ქალთა საღვთისმეტყველო-პედაგოგიური ინსტიტუტის შესაქმნელად, თუმცა მის გახსნას პირველმა მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი. საღვთისმეტყველო განათლებისადმი ქალთა ინტერესზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ პეტროგრადის საღვთისმეტყველო ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა შორის (ინსტიტუტს ჰყავდა ერთადერთი გამოშვება. 1923 წ.) 26 ადამიანიდან 9 ქალი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ საღვთისმეტყველო განათლების მიღების უფლება ყველა სოციალური ფენის ქალისთვის არ იყო დასაშვები.

გლეხთა ფენის ქალისთვის უცხო იყო საღვთისმეტყველო განათლების საკითხი, თუმცა ოჯახში რელიგიურ აღზრდას ქალი უზრუნველყოფდა. გლეხი ქალების ქრისტიანული ცხოვრების წესი, რომელიც მათ მძიმე ცხოვრებისეული პირობებისგან თავის დაღწევის საშუალებას აძლევდა - მონაზვნობა იყო. გლეხი ქალები მონასტერში მიდიოდნენ და ხშირ შემთხვევაში, სიცოცხლის ბოლომდე მხოლოდ მორჩილებად რჩებოდნენ.სავალდებულოა, რომ სასულიერო იერარქიაზე დაწინაურება ქალებშიც განისაზღვრებოდა სოციალური წარმომავლობით. გლეხი ქალი ეკლესიაში მორჩილებას ვერ გასცდებოდა. საისტორიო სტატისტიკის თანახმად, 1914 წლისთვის რუსეთის იმპერიის მონასტრებში 56 016 მორჩილი და 17 283 მონაზონი ქალი

ირიცხებოდა.[110] დროთა ვითარებაში, რუსეთში მონაზონ ქალთა რაოდენობა საგრძნობლად იზრდება, ხოლო სასულიერო მოღვაწეთა რიცხვმა 7,6-ჯერ იმატა. ამ ცვლილებათა მიზეზები ტრადიციული გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების ცვლილებაში უნდა ვეძებოთ. ტრადიციულმა რელიგიურმა ცნობიერებამ, რომელიც გლეხური ცხოვრებისათვის ჩვეულ პირობებს ასახავს, რადიკალური ცვლილებების გამო კრიზისი განიცადა. საუკუნის დასაწყისში ცვლილებები შეეხო, უპირველეს ყოვლისა, ქალაქში წასულ მამაკაცებს. ქალაქის პირობებმა ქორწინების ტიპი შეცვალა, იკლო მრავალშვილიანი ოჯახების რიცხვმა, ქალაქებში განვითარდა პროსტიტუცია და აბორტი. ვითარდება მრეწველობა, თუმცა ამას არ გამოუწვევია ქალთა შრომის გამოყენების ზრდა. გაუთხოვარი ქალების ადგილი სოფლებში არ იყო, მაგრამ ქალაქებშიც მათ მხოლოდ მსახურებად იყენებდნენ.

რელიგიურობის ტრადიციული ტიპის კრიზისმა ბიძგი მისცა ქალთა მსახურების ფორმის ძიებას მართლმადიდებლურ ეკლესიაში. სწრაფად განვითარებადი ქალთა საზოგადოებები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ: ისინი საკუთარ თავსაც ირჩენდნენ და ადგილობრივ მოსახლეობასაც ეხმარებოდნენ. ქალთა საზოგადოებების მაღალი სოციალური აქტივობა ეჭვს ბადებდა, თუ რამდენად ეთავსებოდა ერთმანეთს მონასტრული ცხოვრება და ქალთა მსგავსი სოცლიალური მოღვაწეობა. [111]

დიაკონოსების ინსტიტუტის აღდგენის საკითხი, რომელიც XIX საუკუნეში გაუბედავად ჟღერდა დედათა მონასტრებსა თუ მისიებში, XX საუკუნის დასაწყისში საეკლესიო საჭიროებად იქცა. მღვდელმთავრები, გარკვეულ რეფორმებთან კონტექსტში, აუცილებლობად მიიჩნევდნენ დიაკონოსობის აღდგენას. აღნიშნულის

---

[110]https://www.nuntiare.org/%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%B5-%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%BD-%D0%BE%D0%B1%D1%81%D1%83%D0%B6%D0%B4%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5-%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%BE/?fbclid=IwAR0AZO9qeYhs8aW5enbNX0aKdRyAC2aZD4dpAirleu1kLccdCA0u8WWURzc

[111]https://www.nuntiare.org/%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%B5-%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%BD-%D0%BE%D0%B1%D1%81%D1%83%D0%B6%D0%B4%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5-%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%BE/?fbclid=IwAR0AZO9qeYhs8aW5enbNX0aKdRyAC2aZD4dpAirleu1kLccdCA0u8WWURzc

საჭიროებაზე საუბრობდა ბერლინის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ა.პ. მალცევი 1906 წელს. მისი თქმით, გერმანიაში დიაკონისების დახმარებით უამრავი სოციალური საკითხი წყდებოდაა: მოხუცთა დახმარება, ოჯახების მხარდაჭერა, სხვადასხვა სახის თავშესაფრების დაარსება (მათ შორის ალკოჰოლზე დამოკიდებულთა და მეძავთათვის), სასტუმროების მოწყობა და გაჭირვებულთა მფარველობა - ამ ყველაფერს სწორედ დიაკონისები კისრულობდნენ. მალცევის თქმით, ამ სტატუსის მქონე ქალები არ დებდნენ უქორწინებლობის ფიცს. იგი ასევე ხაზს უსვამს, რომ მოწყალეობრივი საქმიანობა ეკლესიასთან მჭიდრო კავშირითა და მისივე მხარდაჭერით უნდა ხორციელდებოდეს, რომ მსგავსი მოღვაწეობა სარწმუნოებრივ მოძღვრებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. ასევე, დეკანოზმა ფ. უსპენსკიმ შეადგინა „მართლმადიდებელი დიაკონისების ცხოვრებისა და მოღვაწეობის წესები“. აღნიშნული რანგი განსაკუთრებული პირობების მქონეთათვის იყო განკუთვნილი: „მღვდელმთავრის მიერ დიაკონისებად იკურთხებიან როგორც სასულიერო, ისე სხვა წოდების წარმომადგენელი ქვრივები და ქალწულები. ასაკით არ უნდა იყვნენ 40 წელზე ნაკლების. დიაკონისების ხელდასხმა შეუძლია მღვდელმთავარს, ღირსეულთ არჩევს თავად მღვდელმთავარი, ან კი ადგილობრივი მრევლის წინამძღვარი. დიაკონისებად კურთხევა ხდება მსახურებისას, მცირე შემოსვლის დროს, ან კი მსახურების შემდეგ, სახარებისა და განსაკუთრებული ლოცვების წაკითხვისას“.[112] „თანამედროვე მოთხოვნებს დიაკონოსების სტატუსი უფრო შეეფერებოდა, ვიდრე მონაზვნების,“ - წერს დიდი თავადის ქალი ელიზაბედ ფედოროვნა. მან დიაკონოსების რანგი შემოიღო მის მიერვე დაარსებულ დედათა მონასტერში, წმინდა სინოდის გადაწყვეტილებამდე. ის მიიჩნევდა, რომ მოყვასისადმი მსახურება ეკლესიის მიერ აღიარებული საეკლესიო მსახურების ერთ-ერთი ფორმა იყო.

[112] https://www.nuntiare.org/%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%B5-%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%BD-%D0%BE%D0%B1%D1%81%D1%83%D0%B6%D0%B4%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5-%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%BE/?fbclid=IwAR0AZO9qeYhs8aW5enbNX0aKdRyAC2aZD4dpAirleu1kLccdCA0u8WWURzc

როგორც ვხედავთ, ეკლესიაში ქალთა ინსტიტუციონალური მსახურების ფორმაზე შეხედულებათა სპექტრი საკმაოდ ფართო იყო; მთავარი აქ სხვა მომენტია: XX საუკუნის დასაწყისში საეკლესიო მოღვაწეებისთვის, მიუხედავად მათი პოლიტიკური თვალთახედვებისა, მნიშვნელობანი იყო ქალის აქტიური მონაწილეობის დამკვიდრება საეკლესიო ცხოვრებაში. პირველმა მსოფლიო ომმა ეს საჭიროება კიდევ უფრო გაამძაფრა. მართალია, ქალები არ დაუშვეს 1917-1918 წლების რუსეთის ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე, მაგრამ მაშინვე დაისვა საკითხი მათი სტატუსის შესახებ - „ბოლო უნდა მოეღოს ქალების უუფლებობას“ - ასეთი მოწოდება ეწერა კრების იმ ჩანაწერში, რომელსაც ამავე კრების 30 მონაწილე აწერდა ხელს.

1918 წლის 20 სექტემდერს ადგილობრივ კრებაზე უკანასკნელი მოხსენების განხილვის შემდეგ, ქალებს უფლება მისცეს სამრევლო საბჭოებსა და ეპარქიულ კრებებს დასწრებოდნენ, ასევე, ნება დართეს მნათეებად ემსახურათ.

ეკლესიისა და მისი მსახურების ბოლშევიკური დევნის პერიოდში ქალებმა დამცველთა აქტიური პოზიცია დაიკავეს. 1918 წელს მოსკოვში შეიქმნა „მართლმადიდებელ ქალთა კავშირი,“ რომლის ერთ-ერთი განყოფილება სარწმუნოების გამო დაკავებულებს ეხმარებოდა. 1937-1938 წლებში მასიური რეპრესიების მსხვერპლი გახდა უამრავი მონაზონი ქალი. მკვლევარი ნ.ე. ემელიანოვის გამოთვლით, რეპრესიებს ემსხვერპლა 38 იღუმენია, 3200 მონაზონი, 500 მორჩილი. წმინდა ტიხონის მართლმადიდებლური უნივერსუტეტის მონაცემებში ვკითხულობთ 200 ქალის ისტორიას, რომლებიც გადასახლებაში გაჰყვნენ სულიერ მამებსა თუ ამ ფენის წარმომადგენელ მეუღლეებს. [113]

ომის შემდეგ, როცა საეკლესიო საზოგადოებების ლეგალიზება დაიწყო, ქალები „დიდი ოცეულის“ სიებში უმეტესობას წარმოადგენდნენ. ამ წლებში ქალები ასრულებდნენ დამხმარეების, მედავითნეებისა და მგალობლების ფუნქციებს.

[113] https://www.nuntiare.org/%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%B5-%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%BD-%D0%BE%D0%B1%D1%81%D1%83%D0%B6%D0%B4%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5-%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%BE/?fbclid=IwAR0AZO9qeYhs8aW5enbNX0aKdRyAC2aZD4dpAirleu1kLccdCA0u8WWURzc

საიდუმლოდ აკურთხებდნენ დიაკონისებსაც. ომის შემდეგ, მრევლის უდიდესი ნაწილიც ქალებისგან შედგებოდა, რაზეც მეტყველებს რელიგიის საკითხებისათვის გამოყოფილი საბჭოს ანალიტიკური ცნობები.

ამრიგად, ცვლილებები, რომლებიც ქალთა მდგმარეობაში ხდებოდა საბჭოთა საზოგადოებაში, მკვეთრად ათეისტურ ხასიათს ატარებდა. იკრძალებოდა ჯვრისწერა, მასობრივად გავრცელდა აბორტები, როგორც შვილიერების რეგულირების უმთავრესი საშუალება, სამსახური და კარიერა ვერ ეთავსებოდა რელიგიური პრაქტიკის დაცვას. მორწმუნე ქალები იძულებულნი იყვნენ, დათანხმებულიყვნენ დაბალ თანამდებობებზე მუშაობას, ან დაემალათ თავიანთი რელიგიური ცხოვრება.

თავი V

თანამედროვე ეპოქა ქალის რელიგიურ უფლებებზე

§1. ეკუმენური მოძრაობა და ქალის რელიგიური უფლების საკითხი

გაძლიერებული ეკუმენისტური მოძრაობის ფარგლებში, დასავლურ საზოგადოებაში, ქალის მდგომარეობა ეკლესიაში სერიოზული მსჯელობის საგნად იქცა. ეკლესიის მსოფლიო საბჭოს სტრუქტურაში არსებობდა განყოფილება, სახელწოდებით „ქალთა და მამაკაცთა თანამშრომლობა ეკლესიაში, ოჯახსა და საზოგადოებაში". საბჭო დიდ ყურადღებას უთმობდა ქალთა დისკრიმინაციის აღმკვეთი გზების ძებნას, განსაკუთრებით კი მესამე სამყაროს ქვეყნებში. ამ საზოგადოების დასკვნები საფუძვლად დაედო გაეროს რეზოლუციას.

ეკლესიის მსოფლიო საბჭოს V გენერალურ ასამბლეაზე, რომელიც ნაირობიში ჩატარდა, განიხილებოდა საკითხი - „ქალები შეცვლილ სამყაროში", სადაც გაჟღერდა მოსაზრება მართლმადიდებელ ქალთაგან შემდგარი საკონსულტაციო ჯგუფის შეკრებისა, რათა „დაწვრილებით განეხილათ მართლმადიდებელ ქალთა როლი ეკუმენისტურ მოძრაობაში. სურდათ, ქალები აქტიურად ჩართულიყვნენ ეკლესიის მსოფლიო საბჭოში ისეთი საკითხების განხილვაში, რომლებიც შეეხებოდა მართლმადიდებელი ქალის როლს ეკლესიაში, ოჯახსა და საზოგადოებაში".[114]

ეკლესიის მსოფლიო საბჭოს განათლებისა და განახლების განყოფილებამ გამართა მართლმადიდებელ ქალთა პირველი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ეძღვნებოდა ქალის როლს საზოგადოებაში. კონფერენცია ჩატარდა 1976 წლის 1-17 სექტემბერს, რუმინეთში. მასში მონაწილეობდა 37 ქალი, მათ შორის 7

[114]https://www.nuntiare.org/%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%B5-%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%BD-%D0%BE%D0%B1%D1%81%D1%83%D0%B6%D0%B4%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5-%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%BE/?fbclid=IwAR0AZO9qeYhs8aW5enbNX0aKdRyAC2aZD4dpAirleu1kLccdCA0u8WWURzc

[114]https://www.nuntiare.org/%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%B5-%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%BD-%D0%BE%D0%B1%D1%81%D1%83%D0%B6%D0%B4%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5-%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%BE/?fbclid=IwAR0AZO9qeYhs8aW5enbNX0aKdRyAC2aZD4dpAirleu1kLccdCA0u8WWURzc

რუმინელი მონაზონი. ნათელი გახდა, რომ ქალთა მდგომარეობა მართლმადიდებლურ ეკლესიაში და მათი სტატუსი დამოკიდებულია კულტურულ გარემოსა სოციალურ-პოლიტიკურ რეალობაზე ქვეყანაში. კონფერენციაზე ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნილება იყო, ქალებისთვის უფლება მიეცათ, დასწრებოდნენ ისეთ შეკრებებს, რომლებზეც იღებდნენ საეკლესიო გადაწყვეტილებებს. კონფერენციის ბოლოს წარმოდგენილ „სურვილებში" განაცხადეს ქალთა საეკლესიო მსახურების ახალი ფორმების ძიების აუცილებლობის შესახებ, რაც, დამსწრეთა აზრით, თანამედროვე სამყაროს მოთხოვნილებას წარმოადგენდა. [115]

ეკუმენისტურ დიალოგებში მართლმადიდებლური ეკლესიების ოფიციალური წარმომადგენლები იცავდნენ შემდეგ პოზიციას: ისინი სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ ქალთა ხელდასხმის შესაძლებლობას, მაგრამ აღიარებდნენ ეკლესიაში ქალების მოღვაწეობის სფეროს გაფართოების საჭიროებას. მაგალითად, ანგლიკანურ-მართლმადიდებლური სწავლების მქადაგებელმა კომისიამ მიიღო დეკლარაცია (ათენი, 1978 წლის ივლისი). მართლმადიდებლურმა მხარემ გამოყო ეკლესიაში ქალთა მოღვაწეობის შემდეგი მიმართულებები:

1) დიაკონური მსახურება და ქველმოქმედება, რაც მოიცავდა ავადმყოფებზე, გაჭირვებულებსა თუ დევნილებზე მზრუნველობას;
2) ლოცვა და მოსარჩლეობა, სულიერი დახმარება და წინამძღვრობა, განსაკუთრებით (მაგრამ არა ყოველთვის), მონასტრებში.
3) სწავლებასა და წინამძღვრობასთან დაკავშირებული მსახურება მისიონერულ მოღვაწეობაში;
4) ეკლესიის მართვასთან დაკავშირებული მსახურება.

[115] https://www.nuntiare.org/%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%B5-%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%BD-%D0%BE%D0%B1%D1%81%D1%83%D0%B6%D0%B4%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5-%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%BE/?fbclid=IwAR0AZO9qeYhs8aW5enbNX0aKdRyAC2aZD4dpAirleu1kLccdCA0u8WWURzc

ნიშანდობლივია, რომ ადგილობრივი მართლმადიდებლური ეკლესიები ამ დეკლარაციას არ გამოხმაურებიან.[116]

ეკუმენურ სამყაროში რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენელთა პოზიცია ქალთა მდგომარეობის შესახებ ეკლესიაში შემდეგნაირი იყო: რუსულ ეკლესიაში არ არსებობს ქალთა დისკრიმინაციის პრობლემა, რადგან იგი (ეკლესია) მოუწოდებს ქალებს, აქტიურად მონაწილეობდნენ საეკლესიო მსახურებასა თუ ყოველდღიურ საქმეებში. ამაზე მეტყველებს ქალთა მუშაობა საეკლესიო საბჭოებში, მრავალი ათასეული ქალის შრომა საეკლესიო საქმიანობის სხვადასხვა სფეროში; ისინი არიან მედავითნეები, რეგენტები, მგალობლები და სხვა.[117] რაც შეეხება, ქალთა ხელდასხმას, ეს არც კი განხილულა: „მისდევს რა, მოციქულთა სწავლებებს, კანონებსა და ორიათასწლიან სულიერ პრაქტიკას, ასევე, ითვალისწინებს თვით საერო წოდების წარმომადგენელთა აზრს (რომელთა დიდ ნაწილს ქალები შეადგენენ), მართლმადიდებლური ეკლესია მიიჩნევს, რომ ქალთა ხელდასხმა არ არის მისი ინტერესის სფერო".[118] მოსკოვის საპატრიარქომ გამოაქვეყნა სტატია, V ასამბლეის მონაწილე ქალის, ნ. ს. ბობროვას ავტორობით, რომელიც „იდეოლოგიურად თავშეკავებული" პოზიციიდან აღნიშნავდა, რომ ასამბლეაზე დაუმსახურებლად აუარეს გვერდი ქალთა მდგომარეობას სოციალისტურ ქვეყნებში, იქ, სადაც ცხოვრებისეულმა პირობებმა „ქალს საშუალება მისცა დაწინაურებულიყო მოღვაწეობის ყველა სფეროში, სადაც ქალის პიროვნება ვითარდებოდა, ეძლეოდა უდიდესი ასპარეზი შემოქმედებითი ძალების გამოსავლენად". ავტორი აღნიშნავდა, რომ სსრკ-ში ქალებს შეეძლოთ, საკუთარი თავი ეკლესიაშიც გამოევლინათ. მისი თქმით, მორწმუნე ქალები აქტიურად ეხმარებოდნენ მღვდელმსახურებს, გალობდნენ საეკლესიო გუნდებში, ასრულებდნენ მკითხველთა ფუნქციებს და ხშირად მათ

[116] https://www.nuntiare.org/%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%B5-%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%BD-%D0%BE%D0%B1%D1%81%D1%83%D0%B6%D0%B4%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5-%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%BE/?fbclid=IwAR0AZO9qeYhs8aW5enbNX0aKdRyAC2aZD4dpAirleu1kLccdCA0u8WWURzc

[117] იქვე

[118] იქვე

საეკლესიო საზოგადოებათა თავმჯდომარეებადაც კი ირჩევდნენ. რაც მთავარია, მათი თქმით, სწორედ ქალები აღზრდიდნენ ახალ თაობებს მართლმადიდებლური სარწმუნოებით.[119]

რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას მკვეთრი რეაქცია ჰქონდა ლიმის დოკუმენტის (1982 წ.) იმ ნაწილზე, რომელშიც ეწერა, რომ მღვდელმსახურება თანასწორადაა შესაძლებელი კაცებისა და ქალებისათვის: „მართალია, დოკუმენტში პირდაპირ არაა შემოთავაზებული ქალთა მღვდელმსახურების შემოღების საკითხი, მაგრამ იგრძნობა ამ პრობლემის დადებითად გადაწყვეტის ტენდენცია. ამას ცხადყოფს ის მტკიცებაც, რომ ეკლესიების რიცხვი (იგულისხმება, პროტესტანტული), რომლებიც ვერ ხედავენ რამე ბიბლიურ თუ საღვთისმეტყველო საფუძველს ქალთა ხელდასხმის საწინააღმდეგოდ, მკვეთრად იზრდება. ამ დროს, მხოლოდ ტრადიცია უშლის ხელს აღნიშნული ცვლილების შემოღებას. ქალთა ხელდასხმის შემოღების სურვილი ვლინდება იმ ფაქტითაც, რომ ხშრად გამოთქვამდნენ აღნიშნული პრობლემის სასიკეთოდ გადაწყვეტის იმედს.“[120] აქვე გავიხსენებთ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, პიმენისა და მთელი უწმინდესი სინოდის ეპისტოლეს ეკლესიის მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივნისადმი (1976 წ. 3 მარტი), სადაც აღნიშნულია, რომ ქრისტეს ღვთაებრივმა სიბრძნებ ეს პრობლემა წინასწარ გადაწყვიტა. იმ ხალხს შორის, ვინც ქრისტესთან იყო, იყვნენ ქალებიც, მაგრამ 12 მოწაფეთაგან არც ერთი ყოფილა ქალი. დროის მსვლელობა ამას ვერ შეცვლიდა. ხოლო დიაკონისებს, რომლებიც ძველ ეკლესიაში მოღვაწეობდნენ, არ გააჩნდათ იერარქიული სტატუსი. პავლე მოციქულის სწავლებით, ქალებს ეკრძალებათ ეკლესიაში მსახურება და სწავლება (1 კორ. 14: 34-35).

განსხვავებით რუსეთის მართლმადიდებრული ეკლესიისგან, რომელიც თავს არიდებდა საჯაროდ საეკლესიო და საზოგადოებრივი საკითხების განხილვას,

---

[119]https://www.nuntiare.org/%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%B5-%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%BD-%D0%BE%D0%B1%D1%81%D1%83%D0%B6%D0%B4%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5-%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%BE/?fbclid=IwAR0AZO9qeYhs8aW5enbNX0aKdRyAC2aZD4dpAirleu1kLccdCA0u8WWURzc

[120]იქვე

დასავლეთის მართლმადიდებლურ ეკლესიებში მსჯელობა ქალთა მდგომარეობის შესახებ XX საუკუნის მეორე ნახევარში აქტუალური იყო. 60-80-იან წლებში გამოსცემდნენ კრებულებსა და გამოკვლევებს, რომლებითაც ღვთისმეტყველები ცდილობდნენ მართლმადიდებლური ეკლესიოლოგიის კონტექსტში განეხილათ ქალის როლი ეკლესიაში. მართლმადიდებელი ღვთისმეტყველების პირველი რეაქცია ქალთა ხელდასხმის შესახებ გაჟღერდა მონრეალში 1963 წელს, კონფერენციაზე „რწმენასა და ეკლესიის მოწყობის შესახებ". შემდეგ დაიბეჭდა პ. ევდოკიმოვის, ფ. ხოპკოს, ეპისკოპოს კალისტი უერასა და ე. ბერ-სიჟელის გამოკვლევები. 1983 წელს წმ. ვლადიმირის ამერიკულ მართლმადიდებლურ სემინარიაში დაიბეჭდა კრებული - „ქალები და სამღვდელოება". ამ კრებულში გაერთიანებული იყო სხვადასხვა ავტორის ნაშრომი, რომლებიც შეეხებოდა ეკლესიაში ქალის მსახურების სხვადასხვა ასპექტებს, მაგრამ ერთხმად უარყოფდა ქალის ხელდასხმის შესაძლებლობას. 1987 წელს ფრეიბურგში, დიოცეზის კათოლიკურ აკადემიაში გერმანულ ენაზე დაიბეჭდა კრებული - „რატომ არ აკურთხებენ ქალებს? განსხვავებული შეხედულებები ქრისტიანულ ეკლესიებში". აღნიშნულ კრებულში შედიოდა რამდენიმე მართლმადიდებელი ავტორის ნაშრომიც. ამავე დროს, სხვადასხვა ენაზე იბეჭდება ნაშრომები დიაკონისების მოღვაწეობის შესახებ IV-XVII საუკუნეებში. [121]

ეკუმენური საბჭოს ეგიდით, 1985 წელს ბოსტონში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც განიხილებოდა საეროთა მოღვაწეობა ეკლესიის მსახურებაში და ჩამოყალიბდა მიზანი, შეესწავლათ ქალთა ხელდასხმისას არსებული წინააღმდეგობები. განიხილეს დიაკონისების სტატუსის აღდგენა, სექსუალურობისა და სქესობრივი კავშირების პრობლემები და ა.შ.

მესამე საყოველთაო მართლმადიდებლური კონფერენცია გაიმართა 1986 წელს, ჟენევაში. ამ კონფერენციაზე გამოითქვა მოსაზრება, შექმნილიყო კომისია, რომელიც

[121] https://www.nuntiare.org/%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%B5-%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%BD-%D0%BE%D0%B1%D1%81%D1%83%D0%B6%D0%B4%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5-%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%BE/?fbclid=IwAR0AZO9qeYhs8aW5enbNX0aKdRyAC2aZD4dpAirleu1kLccdCA0u8WWURzc

სისტემატურად გააჟღერებდა მართლმადიდებლურ სწავლებებს ქალთა ხიროტონიის შესახებ, რომელთა მიხედვითაც ქალებს არ ენიჭებათ სამღვდლო ხარისხი.

ეკუმენურ მოძრაობასთან წინააღმდეგობაში, ამ კომისიის შემნის აუცულებლობას განაპირობებდა ეკლესიის მსოფლიო საბჭოში შემავალ პროტესტანტულ ეკლესიებთან დიალოგის წარმართვის საჭიროება, რის გამოც მართლმადიდებლურ ღვთისმეტყველებაში ჩამოყალიბდა არგუმენტები, რომლებიც ქალთა ხელდასხმას კრძალავდა:

1) ***ღმერთის მამობრივი ბუნება:*** ღმერთი მამაა. მღვდელი ან ეპისკოპოსი ქალი ვერ შეძლებს, წარმოადგინოს მამა ღმერთი.
2) ***შექმნის რიგი.*** მართლმადიდებელი ღვთისმეტყველები არასოდეს ამბობდნენ, რომ ქალი არ არის ღმერთის ხატი და მსგავსი. თუმცა, არსებობს კონცეფციები, რომელთა მიხედვითაც განსხვავებულია ქალთა და მამაკაცთა რანგი; ქალი შეიქმნა მეორედ, ადამის შემდეგ, რათა დამკვიდრებულიყო გარკვეული ხელქვეითური დამოკიდებულება და“status subjectionis”. ამ კონცეფციების მიხედვით, მამაკაცი ქალზე უპირატესია.
3) ***კაცის „მებატონე“ მდგომარეობა.***გამოიყენებოდა არგუმენტი, რომ კაცებს ენიჭებოდათ მთელი ძალაუფლება, რადგან ისინი იყვნენ „მეუფენი“ - ეს წარმოდგენა ეფუძნებოდა მოციქული პავლეს ციტატასა და ბიბლიის გარკვეული ადგილების ინტერპრეტაციის შემცველ პატრისტიკულ ტექსტებს (განსაკუთრებით, ეფესელთა მიმართ ეპისტოლე, 5, 22-23 და კორინთელთა მიმართ ეპისტოლე 11, 3). [122]
4) **საკულტო უწმინდრურობა.** ეს შეხედულება იუდეური ტრადიციიდან მომდინარეობს. ესეც ერთ-ერთი წინაღობაა ქალის საკულტო-ლიტურგიული მოღვაწეობისათვის.

[122]https://www.nuntiare.org/%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%B5-%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%BD-%D0%BE%D0%B1%D1%81%D1%83%D0%B6%D0%B4%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5-%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%BE/?fbclid=IwAR0AZO9qeYhs8aW5enbNX0aKdRyAC2aZD4dpAirleu1kLccdCA0u8WWURzc

5) ***პავლეს აკრძალვა.*** ერთ-ერთ არგუმენტად მოიხმობენ ასევე პავლეს აკრძალვას, რომლის მიხედვითაც, „დედანი.... ეკლესიასა შინა (უნდა) დუმდენ“ (კორინთელთა მიმართ, 14, 34).

6) ***ქალი - „მაცდური“.*** არსებობს მოსაზრება, რომ ქალი, ევა, არის დიდი მაცდურის სახე და არა თანამდებობრივი პიროვნება ეკლესიის ჩამოყალიბებაში. ქალი მაცდურია მამაკაცთა საზოგადოებისათვის.

7) **აპოლოგეტური ტრადიცია.** აღინიშნება, რომ მოციქულები არ წარგზავნიდნენ ქალებს საქადაგებლად, რომ მარიამიც არ ყოფილა ხელდასხმული და მას არ მოუნათლავს იესო, მაგრამ როგორც მკვლევარი ე. თეოდორუ აღნიშნავს, ის, რომ მარიამი არ იყო ხელდასხმული, უკვე მტკიცებულებაა იმისა, რომ ქალი ვერ იქნება პრესვიტერი. ასწლეულების განმავლობაში ეყრდომოდნენ მოციქულთა დადგენილებებს. მართლმადიდებელი ღვთისმეტყველების ეს არგუმენტი ეხმაურება ეპისკოპოსს ეპიფანე კვიპრელის შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, მართალია, არსებობს დიაკონისის ხარისხი, მაგრამ ქალთა მღვდლად კურთხევა დაუშვებელია.

8) **მღვდლის მოღვაწეობა „ქრისტეს მსგავსად“.** მსახურების დასავლური გააზრების გავლენით, რომელიც უკავშირდება სქესთა ბიოლოგიური კატეგორიის პოლარულობას, მართლმადიდებელ ღვთისმეტყველებს ჩამოუყალიბდათ აზრი, რომ სამღვდლო და საეპისკოპოსო რანგის მატარებელი, ქრისტეს წარმომადგენლად გვევლინება და ღვთისმსახურების აღსრულებისას წარმოადგენს ქრისტეს, მამაკაცს. ამით აიხსნება მამაკაცებისათვის უპირატესობის მინიჭება ღვთისმსახურებაში. [123]

ზემოჩამოთვლილი არგუმენტები და მათი კონტრარგუმენტები გამოიყენება დასავლურ საღთისმეტყველო ლიტერატურაში. დისკურიაში ხშირად ერევიან

[123] https://www.nuntiare.org/%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%B5-%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%BD-%D0%BE%D0%B1%D1%81%D1%83%D0%B6%D0%B4%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5-%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%BE/?fbclid=IwAR0AZO9qeYhs8aW5enbNX0aKdRyAC2aZD4dpAirleu1kLccdCA0u8WWURzc

მართლმადიდებლური საზოგადადოების ფართო წრეები დასავლეთ ევროპიდან და ამერიკიდან, მაშინ, როცა აღმოსავლეთ ევროპაში ქალთა მდგომარეობა ძველებურად ყურადღების მიღმა რჩება.

მსოფლიო პატრიარქმა ეკლესიის მსოფლიო საბჭოს გავლენით მოიწვია საღვთისმეტყველო საკონსულტაციო კრება, სახელწოდებით - „ქალის ადგილი მართლმადიდებლურ ეკლესიაში და ქალთა ხიროტონიის საკითხი“. კრება ჩატარდა როდოსში, 1988 წლის 7 ნოემბერს. მოიწვიეს 14 ავტოკეფალური და ავტონომიური ეკლესია. კონფერენციაში მონაწილეობდა 63 ადამიანი - მართლმადიდებლური ეკლესიების უმრავლესობათა წარმომადგენლები. მონაწილეობა არ მიუღიათ იერუსალიმისა და ანტიოქიის ეკლესიებს. მართალია, კრების დამსწრეთა უმეტესობა ბერძენი თეოლოგები იყვნენ, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანი იყო დასავლეთევროპულ დიასპორათა წარმომადგენლების როლი. კონფერენციას ესწრებოდნენ ქალებიც.[124]

მსოფლიო პატრიარქმა კრებაზე წარმოთქვა სიტყვა, რომ ქალი ვერ იქნება მამაკაცის თანასწორუფლებიანი მღვდელმსახურებაში, რომ ქალთა ხელდასხმის სურვილი გადაულახავი წინააღდეგობაა ქრისტიანთა ერთიანობისათვის.

აღნიშნულ საკონსულტაციო კრებაზე გაფორმდა დასკვნა, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება: 1. „საღვთისმეტყველო მიდგომა“ ქალთა ხელდასხმისადმი, რომელშიც გაცემულია პასუხი კონფერენციის უმთავრეს შეკითხვებსა და პრობლემებზე; 2. „განსაკუთრებული მომენტები“, სადაც მოცემულია მოთხოვნები და რჩევები ქალთა თანამედროვე მდგომარეობის შესახებ მართლმადიდებლურ ეკლესიაში. აღნიშნული დოკუმენტი დიდი ძალისხმევის შედეგია, მცდელობისა, გადმოცემულიყო დამსწრეთა განსხვავებული და საპირისპირო მოსაზრებები. მასში ასახულია თანამედროვე ღვთისმეტყველების ორი ძირითადი ტრადიცია: ე.წ. სქოლასტიკური და ნეო-პატრისტიკული.

---

[124] https://www.nuntiare.org/%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%B5-%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%BD-%D0%BE%D0%B1%D1%81%D1%83%D0%B6%D0%B4%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5-%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%BE/?fbclid=IwAR0AZO9qeYhs8aW5enbNX0aKdRyAC2aZD4dpAirleu1kLccdCA0u8WWURzc

ნაშრომი ეხება მართლმადიდებლური ეკლესიის არგუმენტებს ქალთა ეპისკოპოსებად და მღვდლებად ხელდასხმის წინააღმდეგ:

1) იესო ქრისტეს ქალი არ აურჩევია მოწაფედ;
2) ღვთისმშობელი არ იყო დაკავებული ეკლესიაში ღვთისმსახურებით, მიუხედავად იმისა, რომ ღირს იქმნა ეშვა ძე და სიტყვა ღვთისა;
3) მოციქულები, სამოციქულო მემკვიდრეობის თანახმად, არასოდეს აკურთხებდნენ ქალებს;
4) პავლეს სწავლებაში განსაზღვრულია ქალის ადგილი ეკლესიაში;
5) ქალებისთვის დასაშვები რომ ყოფილიყო მღვდელმსახურება, მაშინ ღვთისმშობელი აუცილებლად იქნებოდა ხელდასხმული;[125]

იქვე წარმოდგინილია საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებები, გამოიყო ქალების საეკლესიო ცხოვრების რამდენიმე, მეტ-ნაკლებად აქტიური კატეგორია: სამრევლო აქტივობა; ქალის საღვთისმეტყველო განათლება; მონაზვნობა; სასულიერო პირთა მეუღლეობა. აღინიშნა, რომ საუკუნეების განმავლობაში, ეკლესია ყოველთვის მოუწოდებდა ქრისტიან ქალს, საკუთარი ბუნების შესაბამისად, ღვთისმსახურებაში მამაკაცთან ერთად მიეღო მონაწილეობა. ამასთანავე, აღიარებდნენ, რომ მართლმადიდებლურ ეკლესიებში მართლაც არსებობდა ქალთა დისკრიმინაცია, მაგრამ ეს აიხსნებოდა იმით, რომ „ადამიანთა უძლურებისა და ცოდვიანობის გამო, ქრისტიანული საზოგადოება ყოველთვის და ყველგან ვერ შეძლებდა, ეფექტურად ებრძოლა წარმოდგენის, ჩვეულების, ტრადიციების, ისტორიული ფაქტების და სოციალური პირობების წინააღმდეგ, რომლებიც პრაქტიკაში სწორედ ქალთა დისკრიმინაციის სახით ვლინდებოდა“.[126] საკონსულტაციო კრების მონაწილეები

[125] https://www.nuntiare.org/%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%B5-%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%BD-%D0%BE%D0%B1%D1%81%D1%83%D0%B6%D0%B4%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5-%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%BE/?fbclid=IwAR0AZO9qeYhs8aW5enbNX0aKdRyAC2aZD4dpAirleu1kLccdCA0u8WWURzc

[126] https://www.nuntiare.org/%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%B5-%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%BD-%D0%BE%D0%B1%D1%81%D1%83%D0%B6%D0%B4%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5-

ამტკიცებდნენ, რომ ეკლესიამ უნდა გადახედოს „მის ხელთ არსებულ მონაცემებს, რომლებიც არ შეესაბამება ურყევ საღვთისმეტყველო და ეკლესიოლოგიურ პრინციპებს, შეცდომითაა შემოსული და დამკვიდრებული პრაქტიკაში, მათი არასწორი გააზრება კი ქალებისთვის დამამცირებელი ხდება“.[127]

კრებამ საჭიროდ მიიჩნია, ძველი პროტოტიპების საფუძველზე აღდგენილიყო „დიაკონისის სამოციქულო წოდება“. ამ წოდების აღდგენა, მონაწილეთა აზრით, ხაზს გაუსვამდა ქალების ღირსებას და აღიარებდა მათ მნიშვნელობას ყველა საეკლესიო საქმიანობაში“. გამოითქვა სურვილი, აღდგენილიყო სოციალური დიაკონური მსახურების ინსტიტუტი, რაც „დადებითი გამოხმაურება იქნებოდა თანამედროვე სამყაროს მოთხოვნებისათვის“.[128]

საკონსულტაციო კრების მონაწილეებმა წარმოადგინეს საეკლესიო საქმიანობაში ქალთა მოღვაწეობის შემდეგი სფეროები:

- განათლება და ქრისტიანული აღზრდა ყველა საფეხურზე, სეკლესიო სკოლიდან დაწყებული, დამთავრებული უმაღლესი საღვთისმეტყველო განათლებით სემინარიებში;[129]
- ცოლ-ქმართა და ოჯახების სულიერი ხელმძღვანელობა, ქორწინებისა და ნათლობისათვის მომზადება და გაჭირვებულთა დახმარება;
- ეკლესიის მართვა, სამრევლო, საეპარქიო და ეროვნული ეკლესიის დონეზე გადაწყვეტილების მიღების უფლება;
- სოციალური მსახურება, რომელიც მოიცავს მოხუცებთან, საავადმყოფოებში მუშაობას, შევიწროვებულთა და უარყოფილთა მოვლას;
- რეგენტობა, მედავითნეობა და მგალობლობა;
- იკონოგრაფია;
- ახალგაზრდებთან მუშაობა;

%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%BE/?fbclid=IwAR0AZO9qeYhs8aW5enbNX0aKdRyAC2aZD4dpAirleu1kLccdCA0u8WWURzc

[127]იქვე

[128] იქვე

[129]იქვე

- მონაწილობა ეკუმენისტური მოძრაობის სხვადასხვა მიმართულებებში;
- პუბლიკაციები და ურთიერთობა;[130]

გაიჟღერა მოწოდებამ, „უფლება მიეცათ ქალებისთვის, შუამავლები გამხდარიყვნენ საეკლესიო ხიროტესიაში, ანუ მიენიჭებინათ იპოდიაკვნების, მკითხველების, მგალობლების, მასწავლებლების წოდება, მაგრამ არც ახალი, უფრო მაღალი საფეხურების დაკავება გამოირიცხებოდა, თუ ეკლესია მიიჩნევდა საჭიროდ“. ამ კონსულტაციის საღვთისმეტყველო შედეგებმა კამათი და მსჯელობა გამოიწვია დასავლურ ლიტერატურაში. ყველაზე მეტი შენიშნვა დაიმსახურა ტიპოლოგიამ: „ადამი - ქრისტე და ევა - მარიამი“.[131]

სპეციალისტების გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ „ქალთა ხელდასხმის უარსაყოფად მთავარ საღვთისმეტყველო არგუმენტს მარიოლოგიაში პოულობენ. ქალთა ხელდასხმის აკრძალვის არგუმენტი ის იყო, რომ ღვთისმშობელი არ ყოფილა სამღვდლო ხარისხის მატარებელი, თუმცა ეს არგუმენტი ეწინააღმდეგებოდა მართლმადიებლურ ტრადიციას, სადაც ღვთისმშობლის წოდება უნიკალურია - „უპატიოსნესი ქერუბიმთასა და აღმატებულ უზესთაესსა სერაბიმთასა“.

1990-იანი წლების დასაწყისში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დაემხო კომუნისტური რეიმი და ნგრევას განიცდის დასავლეთისადმი არსებული სტერეოტიპები. მართლმადიდებლური ეკლესიები ეჯახებიან საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ მოვლენებს, როგორებიცაა, რელიგიურიობის საჯაროობა და აღზევება. მართლმადიდებლურ ეკლესიებში ამ აღორძინებამ სხვადასხვაგვარი სახე მიიღო, ისევ აქტუალური გახდა ქალის მდგომარეობის საკითხი ეკლესიაში.

ზემოაღნიშნულმა კი საკვლევი საკითხის მიმართ ახალი პობლემები გააჩინა.

---

[130] https://www.nuntiare.org/%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%B5-%D0%B1%D0%B5%D0%BB%D1%8F%D0%BA%D0%BE%D0%B2%D0%B0-%D0%BD-%D0%BE%D0%B1%D1%81%D1%83%D0%B6%D0%B4%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5-%D0%BF%D0%BE%D0%BB%D0%BE/?fbclid=IwAR0AZO9qeYhs8aW5enbNX0aKdRyAC2aZD4dpAirleu1kLccdCA0u8WWURzc

[131] იქვე

§2. ფემინისტური მოძრაობის დამოკიდებულება ქალის რელიგიური უფლებებისადმი

ქალს გამუდმებული ბრძოლა უხდებოდა მამაკაცთან თანასწორობის მისაღწევად ცხოვრების ყველა სფეროში. თანასწორობის პრობლემა ყველაზე მეტად რელიგიაში გამოიკვეთა. [132]XX საუკუნის 70-იან წლებში წარმოიშვა საზოგადოებაში ქალთა ჩაგვრისა და დისკრიმინაციის მიზეზებისადმი სოციალურ-კულტურული ანუ ე.წ. გენდერული მიდგომის ტრადიცია. ამ თეორიულ მუშაობას, როგორც დასავლეთში მიაჩნიათ, საფუძველი ჩაუყარა ფრანგმა ფილოსოფოს-ეგზისტენციალისტმა სიმონა დე ბოვუარმა თავის ნაშრომში - „მეორე სქესი". სწორედ აქ დაისვა პირველად საკითხი კულტურაში ფემინურის - ქალურის დათრგუნვის შესახებ. მასში ნაჩვენებია, რომ საზოგადოება აკანონებს მამაკაცურს (მასკულინურს), როგორც პოზიტიურ კულტურულ ნორმას, ხოლო ქალურს (ფემინურს), როგორც ნორმიდან გადახრას.

შესაძლებელია გამოვყოთ ფემინისტ აქტივისთა სამი თაობა. სამივე თაობა დროის სხვადასხვა მონაკვეთში გააქტიურდა. აგრეთვე, სავარაუდოა, რომ ისტორიული, სოციალური და კულტურული კონტექსტის ცვლილება განაპირობებდა თაობების განსხვავებული ორგანიზების ფორმებს. პირველი თაობის გააქტიურების პერიოდი 1990-იანი და 2000-იანი წლებია, მეორე თაობა აქტიურია დაახლოებით 2011 წლიდან, მესამე კი - დაახლოებით 2015 წლიდან.[133]

ქეით მილეთი თავის ნაშრომში - „სექსუალური პოლიტიკა" ავითარებდა ს. ბოვუარის ნააზრევს და წერდა კულტურაში ფემინურის დათრგუნვაზე, როგორც პატრიარქატის სოციალურ პოლიტიკაზე -„პატრიარქატი მამათა ძალაუფლება გახლავთ. ეს არის ოჯახური, იდეოლოგიური, პოლიტიკური სისტემა, რომელშიც ქალური ყოველთვის მამაკაცურს არის დამორჩილებული. ქალების დათრგუნვა მომდინარეობს არა ბიოლოგიური განსხვავებიდან, არამედ ფემინურის, როგორც მეორადის სოციალურად დაკანონებიდან, პოლიტიკა სოციალური ძალაუფლების

[132]https://www.americanprogress.org/issues/religion/news/2018/05/03/450268/efforts-women-faith-achieve-gender-equality/?fbclid=IwAR2W1bXAHsq8XPCxJP_uZGPJ7GExeYlgFuM3N9lsUqdYPeUx99eMHSszxGs

[133]ფემინისტური დიალოგები, კავშირი „საფარი", 2017, გვ. 6

პარადიგმაა, რომელიც მოწოდებულია, პატრიარქატის წესების შესაბამისად გააკონტროლოს ქალური სუბიექტურობა.“[134]

თანამედროვე პირობებში თეორია „ნეკნიდან შექმნა“ საზოგადოებაში ქალზე სერიოზული თავდასხმის საფუძველი გახდა. ბიბლიაში ნათქვამია, რომ მას შემდეგ, რაც ღმერთმა შექმნა ადამი, მას უკვდავი სული შთაბერა. საკითხმა, აქვს თუ არა ქალს სული, სამღვდელოებაში დიდი კამათი გამოიწვია. ბევრი ეჭვსაც კი გამოთქვამდა, არის თუ არა ქალი ადამიანი.

585 წელს მსოფლიო საეკლესიო კრებაზე სპეციალურად განიხილეს ეს საკითხი და დიდი დისკურსიების შემდეგ, მხოლოდ ერთი ხმის უპირატესობით, ფორმალურად სცნეს, რომ ქალს აქვს სული. ასეთი მართლაც „გმირული“ აღიარება შესაძლებელი გახდა საღმრთო წერილის წყალობით, სადაც მითითებულია, რომ ძე ღვთისა, იესო ქრისტე, იმავდროულად იყო ადამიანის შვილი, ვინაიდან მისი დედა ადამიანი იყო.

მიუხედავად ამისა, ზემოთ აღნიშნულ გადაწყვეტილებას შემდგომშიც ეჭქვეშ აყენებდნენ და საუკუნეთა შემდეგ ამ საკითხის განხილვას ისევ და ისევ უბრუნდებოდნენ.[135]1690 წელს ფრანკფურტში გამოვიდა წიგნი „ქალი ადამიანი არ არის“, 1750 წელს კი ლაიფციგში გამოჩნდა წიგნი - „საყურადღებო საბუთი იმისა, რომ ქალი ადამიანთა მოდგმას არ მიეკუთვნება“.[136]

ქალის რელიგიური როლი წიგნში - „ცოლ-ქმრული ცხოვრების შესახებ“, რომელიც ევროპაში გამოვიდა 1943 წელს განისაზღვრებოდა: „ქალის მოვალეობა მისი ქმრის მიმართ მდგომარეობს იმაში, რომ ემსახუროს მას მორჩილად, იყოს მოკრძალებული საუბარში და ჩაცმა-დახურვაში. ყურადღება მიაქციოს წესრიგს სახლში და აკეთოს საოჯახო საქმეები“.[137]

უკვე XIX საუკუნეში ოგიუსტ კონტი, რომელიც სოციოლოგიის მამამთავრად ითვლება, აღნიშნავდა, რომ საზოგადოებაში ქალის არათანასწორუფლებიანი

---

[134]http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2e-4----4---0-1l--11-en-00---10-ru-50--00-3-preferences-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-1utfZz-8-10&a=d&c=civil2&cl=CL1.11.4.1&d=HASH015a50d7a9e5d332d1510b97.16

[135]Derrida S., Grammatology, J. Hopkins Univ. Press, 1976, გვ. 56

[136]იქვე

[137]იქვე

მდგომარეობა განისაზღვრება „ქალის ორგანიზმის ბუნებრივი სისუსტით. არ შეიძლება არსებობდეს კაცის და ქალის სოციალური თანასწორობა. ქალის განსაკუთრებული მოწოდებაა ოჯახური მოვალეობები“[138]. სქესთა თანასწორობის საკითხის შესწავლისთვის არაერთი ორგანიზაცია შეიქმნა, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია „ფემინიზმის მკვლევარების ინსტიტუტი“ („Sikh Feminist Research Institute“), რომელიც იკვლევს არა მხოლოდ ქალთა უფლებიანობას ქრისტიანობაში, არამედ ისლამშიც.[139] „მადლობელი ვარ უფალო, რომ შენ მე ქალად არ გამაჩინე“,- იმოერებს ლოვედღიურ ლოცვებში იუდეველი ორთოდოქსი.[140] „ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალს, რამეთუ ქმარი არის ცოლის მბრძანებელი, ვითარცა ქრისტე - ეკლესიის,- ნათქვამია სახარებაში.“[141]„ქმრები ცოლებზე მაღლა დგანან იმიტომ, რომ ალაჰმა უბოძა უპირატესობა პირველთ მეორეებზე“, - გვიმტკიცებს ყურანი.[142]

ნათქვამი საკმაოდ დამაჯარებლად ცხადჰყოფს, რომ რელიგიური სწავლებანი ერთხმად აცხადებენ საზოგადოებაში ქალების დაქვემდებარებული როლის შესახებ. დღევანდელ პირობებში, ქალი ცდილობს განავითაროს თავისი შესაძლებლობები და მეტად იყოს ჩართული ყველანაირ სოციალურ სფეროში. საზოგადოებრივ ცხოვრებში ქალების ჩართვა დამაჯერებლად მოწმობს, რომ ქალთა სოციალური სტატუსის გადასინჯვა ობიექტური აუცილებლობაა. ეს კი დამოკიდებულია არა მხოლოდ ეკონომიკურ განვითარებაზე, არამედ იდეოლოგიური ხასიათის ფაქტორებზეც. კერძოდ, მათ რიცხვს მიეკუთვნება სტერეოტიპები, რომელთა ადამიანის ცნობიერებაში შენარჩუნება უდიდესწილად დამოკიდებულია რელიგიაზე და მის ინსტიტუტებზე.

დღეს, ხშირად, აუცილებელი ხდება რელიგიური პრქტიკისა და ტრადიციების გარდაქმნა და ფორმულირების შეცვალა, რათა ისინი შესაბამისობაში მოვიდნენ

---

[138]Социальнаякатегорияпола. Философия. Изд. Кронн-пресс., М., 1995 გვ. 67

[139]https://www.americanprogress.org/issues/religion/news/2018/05/03/450268/efforts-women-faith-achieve-gender-equality/?fbclid=IwAR2W1bXAHsq8XPCxJP_uZGPJ7GExeYlgFuM3N9lsUqdYPeUx99eMHSszxGs

[140]http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4----4---0-1l--11-en-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&cl=CL1.8&d=HASH017c4c29ab02a4d620c75af3.6.2&gt=1

[141]პავლე მოციქულის ეპისტოლე ეფესელთა მიმართ 5:22

[142]http://www.nplg.gov.ge

თანასწორუფლებისნობის არსთან, რომელიც საფუძვლად უდევს რელიგიურ ტრადიციებს. მსოფლიოს მოსახლეობის ორი მესამედი თავის თავს რომელიმე რელიგიას უკავშირებს, ამიტომ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ რელიგიურობა ძალზე მნიშვნელოვან რომელს ასრულებს და თავისი წვლილი შეაქვს თანასწორუფლებიანი სოციალური სტრუქტურების ყველა სფეროში. უფრო მეტიც, ვინაიდან ქალების ჩაბმა ცხოვრების ყველა სფეროში დღევანდელი რეალობით არის ნაკარნახევი, რელიგიურ ხმებს რაღაც კონსტრუქციულის შეტანა შეუძლიათ ამ პრობლემის განხილვაში.

ისმის კითხვა - შეუძლიათ თუ არა ქალებს რელიგიურ ცხოვრებში მონაწილეობა? ერთნი, მეტად კონსერვანტულად განწყობილნი, საკითხის ასე დაყენებას უსაფუძვლოდ, თვით რელიგიის არსის წინააღმდეგ მიმართულად თვლიან, ხოლო დანარჩენი ნაწილი, მზად არის ქალი ჩართოს რელიგიურ მსახურებებში.

ქრისტიანობა თავისი მოძღვრებით და ინსტიტუციური სტრუქტურით თანასწორუფლებიანობის დამცველად გვევლინება. ადრე დაწესებული ნორმებისაგან განსხვავებით, მაცხოვარი ხშირად და ღიად აღიარებდა ქალების ღირსებას, ხოლო ჯვარცმის შემდგომ, ისინი მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ეკლესიის ინსტიტუტების შექმნაში, რადგანაც მთავარი რიტუალი იყო მონათვლა და არა წინადაცვეთა.[143]

ქრისტეს მოწაფეები თემში გაერთიანდნენ. პირველი ქრისტიანული ორგანიზაციები სწორედ თემის სახით არსებობდა. მორწმუნენი აქ ერთნაირი უფლებებით სარგებლობდნენ, თუმცა იყვნენ ხელმძღვანელები, მოციქულები, წინასწარმეტყველები, მასწავლებლები, რომელთაც ასეთი მდგომარეობა მხოლოდ მათი პირადი თვისებების გათვალისწინებით ეკავათ და როგორც ქალს, ისე მამაკაცს შეეძლო, დაეკავებინა გამორჩეული მდგომარეობა. ამ პერიოდის ქრისტიანულ ძეგლებში ხშირად ვხვდებით გამოჩენილი ქალების სახელებს.

[143]http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2e-4----4---0-1l--11-en-00---10-ru-50--00-3-preferences-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-1utfZz-8-10&a=d&c=civil2&cl=CL1.11.4.1&d=HASH015a50d7a9e5d332d1510b97.16

ქრისტეშობიდან IV საუკუნეში, როდესაც რომში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა, ქალებს საბოლოოდ დაეხშოთ გზა საეკლესიო იერარქიასა და თემის ხელმძღვანელობაში. თანასწორუფლებიანობა პატრიარქალური ინსტიტუციური სტრუქტურებით შეიცვალა. ასეთ ცვლილებებს თან ახლდა საღვთისმეტყველო მოძღვრება, რომელიც პატრიარქალურ წესრიგს ღვთის ნებას მიაწერდა და დაჟინებით მოითხოვდა მამაკაცსა და ქალს შორის ისეთ ურთიერთობებს, როცა მამაკაცი ხელმძღვანელი, ხოლო ქალი მისი მორჩილია.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა პატრიარქალური ხასიათი პრქტიკულად მრავალი საუკუნის განმავლობაში ბატონობდა. რელიგიური სამართალი და ინსტიტუტები საყოველთაო პატრიარქალური წესების ურყევ დამცველებად გამოდიოდნენ. მხოლოდ XVI საუკუნემ - რეფორმაციის პერიოდმა, როდესაც ქრისტიანობაში მოხდა რადიკალური ცვლილებები, რომლებიც გამოწვეული იყო ფეოდალიზმის ნიადაგზე ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობების ჩასახვითა და განვითარებით, თან მოიტანა „ფემინისტური აღორძინება“. მოკლე შუალედმა ლუთერსა და კალვინს შორის მოიტანა თავისუფლების გაელვება. ბეატრისა გალენდო, ფარნჩესკა დელებრისკა, ეკატერინე არაგონელი, დედოფალი მერი, ანა ბეკონი, ჯეინ გრეი, მარგარეტ როპერი, მერი სიდნეი - აი, რეფორმაციის დასაწყისის რამდენიმე გამოჩენილი ქალის სახელი.[144]

XVIII საუკუნეში, საფრანგეთსა და ამერიკის ბურჟუაზიულ რევოლუციათა პერიოდში, რომელმაც წამოაყენა ლოზუნგი: „თავისუფლება, თანასწორობა და სამართლიანობა“, ქარიშხლის ჩაქრობისთანავე მიივიწყა გამარჯვებაში ქალების წვლილი.სახელმწიფოს ყველა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოში უპირატესობა მხოლოდ მამაკაცებს ენიჭებოდათ. ქალები ძველებურად ელემენტარული პოლიტიკური უფლებების გარეშე დარჩნენ.

[144]http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2e-4----4---0-1l--11-en-00---10-ru-50--00-3-preferences-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-1utfZz-8-10&a=d&c=civil2&cl=CL1.11.4.1&d=HASH015a50d7a9e5d332d1510b97.16

მხოლოდ XX საუკუნეში მიიღო შეუქცევადი ხასიათი დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართულმა მოძრაობამ. ყოველ ათწლეულში, განსაკუთრებით 60-იანი წლების დასაწყისიდან, ის სულ ახალ და ახალ ძალებს იკრებს. მის რიგებში ერთიანდებიან თანამედროვე საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელი.

ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართულმა რეფორმატორულმა მოძრაობამ ყველაზე დიდი გაქანება სწორედ ქრისტიანულ სამყაროში ჰპოვა, რაც დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობაში საზოგადოებრივ პროგრესთან არის დაკავშირებული. რეფორმატორულად მოაზროვნე თეოლოგები და ეკლესიის წარმომადგენლები ფემინისტური მოძრაობის ზეგავლენით, წმინდა წერილისა და ქრისტიანული საზოგადოების ახალ ინტერპრეტაციასაც მიმართავენ იმ მიზნით, რომ ქალების უუფლებობაზე უარი თქვან.

ფემინისტური მოძრაობის მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ქალების დაშვება საეკლესიო ეპარქიაში, თუმცა სასულიერო პირთა შორის ქალების რაოდენობა მაინც მწირია. ისინი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ არიან საეკლესიო ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში. როგორც ფემინისტი ქალები აღნიშნავენ, ქრისტიანობა ჯერ კიდევ რჩება "მამაკაცთა რელიგიად", რომელიც გამოწვეულია მრავალი მიზეზით:

უპირველეს ყოვლისა, „ღმერთის სახე", როგორც მამაკაცისა. სინამდვილეში ძველ აღთქმაში ღმერთს სქესი არ აქვს. მთელი ისტორიის მანძილზე ეკლესიას მამაკაცები მართავდნენ და თავადვე განმარტავდნენ წმინდა წერილს. ღმერთის ხსენებისას მხოლოდ მამრობითი სქესის ნაცვალსახელს იყენებდნენ და ქრისტიანული სამება მამრობითი სქესის ტერმინებისაგან (მამა, ძე და სული წმინდა) შედგება და ა. შ. ამან კი განაპირობა ღმერთის, როგორც მამარობითი სქესის არსებობა.

მეორე, ქალის დამორჩილების საფუძველს იძლევა თვით ბიბლიური სიუჟეტი- ადამის ნეკნიდან მისი სამსახურისათვის ევას შექმნა. თითქოს ადამის ნეკნიდან ქმნადობა ქალს მის მორჩილად ჩათვლიდა. [145]

[145] http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2e-4----4---0-1l--11-en-00---10-ru-50--00-3-preferences-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-1utfZz-8-10&a=d&c=civil2&cl=CL1.11.4.1&d=HASH015a50d7a9e5d332d1510b97.16

მესამე, ქრისტიანულ სიმბოლიკაში ქალი წარმოდგენილია ორი იპოსტასით -ევასა და ღვთიმშობლის სახით. პირველში განსახიერებულია ბოროტება და ადამის შეცოდებისათვის პასუხისმგებლობა სწორედ მას ეკისრებოდა. მეორეში - აბსოლუტური უმანკოება, მარადიული ქალწულობა. ფემინისტებს მიაჩნიათ, რომ ქრისტიანული თეოლოგია ხელს უწყობს სქესის შესახებ მამაკაცური იდეების გამომხატველი სიმბოლიკის გავრცელებას: მეძავი - სექსუალური ბოროტებაა, სექსუალური სიწმინდე - ქალწულობა, სექსუალური აღწარმოება - დედაა.[146] მერი დეილის სიტყვებით, „ქალის აღწერა ქალწულობის, რძლობის და დედობის კატეგორიებით ნიშნავს მისდამი მიდგომას მარტოოდენ სექსის ჩარჩოებში“ მაშინ, როდესაც აზრად არავის მოსდის კაცის დასახასიათებლად მიმართოს მხოლოდ „უმწიკვლო ქმრისა და მამის“ კატეგორიებს.[147]

მეოთხე, მამაკაცთან შედარებით ქალის უფრო დაბალი ბუნების „ღვთიური მტკიცებულება“ (რასაც ქალის დამორჩილებული მდგომარეობა უნდა შეესაბამებოდეს) ქრისტიანული ეკლესიის მსახურებმა ამოიკითხეს პავლე მოციქულის ეპისტოლებში. ისინი ხშირად მოიხსენიებდნენ პასაჟებს პირველი კორინთელთადმი მიმართვიდან, რომლის თანახმად, ქალს ეკრძალება თავსაბურავის გარეშე ლოცვა, მაშინ, როცა იგი არის ღვთის ხატი და დიდება, ცოლი კი ქმრის დიდება, რადგან „ქმარი კი არ არის შექმნილი ცოლისაგან, არამედ ცოლია შექმნილი ქმრისათვის“.[148] პირველ მიმართვაში ტიმოთესადმი ნათქვამია: „ქალი მდუმარედ უნდა სწავლობდეს ყოველვარი მორჩილების ქვეშ, ხოლო ქალს ნებას არ ვაძლევ იბატონოს ქმარზე, არამედ დუმდეს უნდა, რადგან ადამია შექმნილი, შემდეგ კი ევა“,[149]მაგრამ ფემინისტი ქალების გარკვეულ ნაწილს ასეთი რეფორმატორობა უპერსპექტივოდ მიაჩნია და, ამიტომ საკუთარი „ფემინისტური რელიგიის“ შექმნისას სპირიტუალობის იდეას აყენებს. „სპირიტული ფემინიზმი“ არ არის ერთგვაროვანი მოძრაობა. იგი აერთიანებს ქალღმერთის (გოდდესს) თაყვანისმცემელ, მატრიარქალური ფუტურიზმის მიმდევარ

[146]Hole J. And livine E. Rebirth of Feminizm W.J. 1971 გვ. 383
[147]Dali M. The Church and Second Sex. N,Y. 1968 გვ. 111
[148]პავლე მოციქულის ეპისტოლენი პირველთ კორინთელთა მიმართ 11:7 11:8
[149]პავლე მოციქულის ეპისტოლენი პირველი ტიმოთეს მიმართ 2:1, 1:2

თეორეტიკოსებს, ალქაჯური პრაქტიკის მომხრეებს, რასაც პირობითად „ფემინისტური რელიგია“ ეწოდება - მიიჩნევს მკვლევართა ნაწილი.

ფემინიზმის იდეოლოგიით, რელიგიურ თემებში[150] ქალთა წვლილი და ლიდერობა გადამწყვეტია. მიუხედავად იმისა, რომ ქალთა თანასწორობისთვის ბრძოლა გრძელდებოდა წლების განმავლობაში,[151] ადგილი აქვს პროგრესს. ქალი ლიდერები რწმენას უარყოფენ და სწორედ ეს განსაზღვრავს მათ გენდერულ თანასწორობას.[152]

რეფორმატრობას, თავისი საზღვრები აქვს, ამ საზღვრების გადალახვა კი რელიგიის ფუნდამენტური საფუძვლების შერყევას იწვევს. ფემინისტური რელიგიის შექმნა თავისთავად არარეალურია, თუნდაც მხოლოდ იმის გამო, რომ მას მხარს არ უჭერს თვით ქალთა უმრავლესობა, რადგან გაბატონებულთა და ქვეშევრდომთა ადგილების გადანაცვლებით კაცობრიობა უფრო ბედნიერი ვერ გახდება.

[150] Devis E. G. first Sex, გვ. 337-339

[151] Walters S.D. Caught in the Web. გვ. 29

[152] https://www.americanprogress.org/issues/religion/news/2018/05/03/450268/efforts-women-faith-achieve-gender-equality/?fbclid=IwAR2W1bXAHsq8XPCxJP_uZGPJ7GExeYlgFuM3N9lsUqdYPeUx99eMHSszxGs

დასკვნა

1. ანტიკურ საბერძნეთში ქალის რელიგიური უფლებები დაკნინებულია, თუმც წყაროებით დგ9ინდება ქალები, რომლებიც გარკვეულ რიტუალებში მონაწილეობენ და ამავდროულად, ეს რიტუალებიც გარკვეული წესებითაა განსაზღვრული. ეს ფაქტი კი გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, ანტიკურობაში ქალის არა სრულიად უუფლებობაზე, არამედ უფლებებზე, რომელიც ისევ მამაკაცის კანონებს ექვემდებარებოდა. ეს კი, რასაკვირველია, თავისუფლებას სულაც არ ნიშნავს. ჩნდება კითხვა - თუკი ქალი ზემოაღნიშნული უფლებებით მაინც მამაკაცის ჩრდილში მოიაზრება, მაშინ რა საჭირო იყო თუნდაც ასეთი სახით მათი უფლებების წინ წამოწევა? ვფიქრობ, აქ მოიაზრება ე.წ. ქალთა ამბოხება... თუ ქალს მხოლოდ სახლში ჩაკეტავდნენ და პირდაპირი მნიშვნელობით მონად აქცევდნენ, ერთხელაც ამ მონას გაუჩნდებოდა სურვილი მონობიდან თავის დაღწევისა, ამიტომაც ანტიკურ საყაროში გვხვდება ინსტიტუტი ქურუმების სახით.
2. ყოველ ეპოქას, შესაბამისად ცალკეული სახელმწიფოებისა და მათი რელიგიური ტრადიციებისა, გაჩნია სახასიათო თვისებები ქალის როლსა და უფლებებისადმი კონკრეტულ რელიგიებში. ყველა ეპარქაში ნებისმიერი რელიგიის საერთო ნიშანია ქალის, როგორც პირველცოდვის მიზეზისა და უწმინდური არსებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება. ამ მხრივ, რიგი რელიგია გამონაკლის შემთხევებსაც უშვებს. ზემოაღნიშნული აისახება ქალის რელიგიურ უფლებებში. თუ ანტიკური ეპოქის წარმართ რელიგიაში ქალი ჯადოქრის, ბნელ ძალასთან მოკავშირის სიმბოლოა, აღმოსავლურ წარმართ რელიგიებში ქალი უწმინდურ და ერთგვარად ბინძურ არსებად კლასიფიცირდება.
3. მართალია, კლასიკურმა რელიგიებმა გაიზიარეს წარმართობის ზემოაღნიშნული ნიშნები, მაგრამ ამავდროულად, იუდაიზმმა, ქრისტიანობამ, ისლამმა, თუმცა განსხვავებული, მაგრამ გარკვეული რელიგიური უფლებებიც მიანიჭეს ქალს და მეტ-ნაკლები დატვირთვის ფუნქციაც არგუნეს სინაგოგაში, ეკლესიასა თუ მეჩეთში.

4. „ახალმა დრომ“ (ახალი ისტორიის ეპოქა XVII-XVIII საუკუნეები) სამყაროს ახალი გამოწვევები მოუტანა, რასაც ახლდა ძველის გააზრებისა და ახლის ძიების პროცესი. ახალი გარდატეხები მიმდინარეობდა ზოგადად რელიგიაში და კონკრეტულად ქრისტიანულ ეკლესიაშიც, რამეთუ ქრისტიანული მოძღვრება, თავისი არსით ყველაზე ხელსაყრელ პირობებს იძლეოდა მასში ცვლილებების შეტანაზე, მის, ეპოქასთან შესაბამის მოდერნიზაციაზე.
5. „ახალი დროის“ რელიგიურ მოძღვრებებში სულ უფრო ხშირად ვხვდებით ქალთა როლის ცვლილებათა განსაკუთრებულ და ინტენსიურ შემთხვევებს. რასაკვირველია, რელიგიური გადმოსახედიდან ეს პროცესი სრულყოფილი არ იყო და, ვერც იქნებოდა თავად რელიგიის მხრიდან ცლილებების წინააღმდეგ მიმართული პროცესების გამო, თუმც ჩნდებოდა ახალი აზრები, იდეები; მიმდინარეობდა პოლემიკა ქალის ღვთისმსახურებლივ უფლებებზე, მაგალითად, პროტესტანტულმა ეკლესიებმა წინ წამოსწიეს და გაზარდეს ქალის რელიგიური უფლებების საკითხი, რომელთა პირველსახეს ჯერ კიდევ ადრეულ ქრისტიანულ ეკლესიაში ვხვდებით, კერძოდ, დედათდიაკონოსის ინსტიტუტში, თუმც აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ისტორიულად დიაკონოსებს ღვთისმსახურებაში მონაწილეობის უფლება არ გააჩნდათ და ისინი მხოლოდ ნათლობის რიტუალში მონაწილეობდნენ. პროტესტანტულმა ეკლესიამ, ამ მხრივ, თავის მოძღვრებაში სიახლე შეიტანა - ქალები ხელდასხმულ იქნენ ეპისკოპოსებად, მღვდლებად. მსგავსს ფაქტს, პროტესტანტული ეკლესიის გარდა, ქრისტიანობის ისტორიაში არ მოეძიება; ქალისთვის, ყველა რელიგიის თანახმად, აკრძალული რელიგიური უფლებების მინიჭება - ტრანსფორმაციას მხოლოდ პროტესტანტულ მოძღვრებასა და პრაქტიკაში ექნა განხორციელება; დანარჩენ რელიგიურ მოძღვრებებში (იუდაიზმი, ისლამი, კათოლიკური და მართლმადიდებლური ქრისტიანობა) ქალის რელიგიური უფლებები ან სრულად იკრძალება (ისლამი), ან მცირედით მაინც იზღუდება (იუდაიზმი), ხოლო, ფაქტობრივ რელიგიურ თავისუფლებას სისავსით პროტესტანტიზმში ვხვდებით.

6. საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება რელიგიისადმი განსაკუთრებული თავისებურებებითა და აგრესიით გამოიჩეოდა. იმდენად, რამდენადაც საბჭოური იდეოლოგია თავის თავში ანტირელიგიურ პოლიტიკას შეიცავდა, ის არა თუ მხოლოდ რელიგიის ყველანაირ უფლებას ზღუდავდა, არამედ მისი უფლებების ტრანსფომაციისათვისაც აქტიურად მეცადინეობდა; შესაბამისად, ამ ანტირელიგიურ რეფორმებში მოიაზრებოდა ქალის რელიგიური უფლებებისადმი განსაკუთრებული მიდგომები.
7. საბჭოთა ეპოქამ მამაკაცის რელიგიური უფლება-მოვალეობები გაუთანაბრა ქალის რელიგიურ უფლება-მოვალეობებს, რაც ყველაზე მკაფიოდ ისლამში გამოვლინდა, რადგან ყველა კლასიკური რელიგიისგან განსხვავებით, ქალის უუფლებობა ყველაზე მძაფრად სწორედ ისლამში იყო წარმოდგენილი.
8. ქრისტიანებში, საბჭოთა იდეოლოგიის დამსახურებით იკრძალებოდა ჯვრისწერა; მასობრივად გავრცელდა აბორტები, როგორც შვილიერების რეგულირების უმთავრესი საშუალება, სამსახური და კარიერა არ ითავსებდა რელიგიური პრაქტიკის დაცვას. მორწმუნე ქალები იძულებულნი იყვნენ, დათანხმებულიყვნენ დაბალ თანამდებობეზე მუშაობას, ან ფარულად გაეგძელებინათ რელიგიური ცხოვრება.
9. ფემინიზმის იდეოლოგიით, რელიგიურ თემებში ქალთა წვლილის შეტანას რელიგიურ ცხოვრებაში და თუნდაც მისი ლიდერობა გადამწყვეტია. მიუხედავად იმისა, რომ ქალთა რელიგიებში მამაკაცთან თანასწორობისთვის ბრძოლა წლების განმავლობაში გრძელდებოდა, ადგილი აქვს ქალი ლიდერების რელიგიაში წამყვან პოზიციებზე დანიშვნას, რაც განსაზღვრავს მათ გენდერულ თანასწორობას.
10. რელიგიაში რეფორმატრობას, თავისი საზღვრები აქვს, ამ საზღვრების გადალახვა კი რელიგიის ფუნდამენტური საფუძვლების შერყევას იწვევს, ხოლო ეს უკანასკნელი კი საზოგადოებრივ დაპირისპირებებს.
11. რელიგიის ფემინისტურ იდეოლოგიას უტოპიად მიიჩნევს თანამედროვე რელიგიური კვლევების ზოგი სამეცნიერო წრე; რამეთუ ფემინიზმის რელიგიურ

მოძრაობას მხარს არ უჭერს თვით ქალთა უმრავლესობა და კვლავინდებურად რელიგიის ტრადიციული წესების ერთგული რჩება.

ბიბლიოგრაფია

წყაროები

1. ბუაძე თ., რენესანსი და ქრისტიანობა; რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი „გული გონიერი“#3., თბ., 2014 (1. 03. 2019)
2. ფემინისტური დიალოგები, კავშირი „საფარი“, 2017 (1.03. 2019)
3. პაპუაშვილი ნ., „საბჭოეთი და რელიგია“, 2018 http://www.tdi.ge/ge/page/sabchoeti-da-religia?fbclid=IwAR0nXYKe35nnexYedehwwQboFv1cq8xmS11zXmAlZROFw-pXse-y87EeUag (5. 05. 2019)
4. ქალი და იუდაიზმი (7. 05. 2019) http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4----4---0-1l--11-ru-10---10-ka-50--00-3-help-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-1utfZz-8-10&cl=CL1.8&d=HASH017c4c29ab02a4d620c75af3.6.2&gt=1
5. ,,წიგნიერი“, პროფესიული საგანმანათლებლო ჟურნალი კითხვის, წერის და აზროვნების შესახებ. 2002, ნ.: 1, 2, 3, 4 (10. 04. 2019)
6. გაზეთი „ილორი“, 2014 წლის 288 ნომერი, (12. 04. 2019) http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/117980/1/Ilori_2014_N288.pdf
7. რატომ გადადის ეოვნება ებრაელებში დედის მხრიდან? (17. 05. 2019) https://sputnik-georgia.com/columnists/20170417/235637011/ratom-gadadis-erovneba-ebraelebshi-dedis-mxridan.html?fbclid=IwAR27CqxVZoAtK5tdsT9kSbHG812q0fNIKWtBLb72ryNb1KCgGOvrOWDlXso
8. ჟურნალი „მერონა“ 2008 წელი, ნომერი 8. (20. 05. 2019) http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/23287/1/Sakartvelos_Respublika_2008-N209.pdf

9. მიხეილ ხუნდაძის სტატია "ამიერ-კავკასიის სეიმი" ჟურნალი "ახალი კვალი" 1918 (25. 05. 2019) წ. იხ. https://civiledu.wordpress.com/2016/05/18/%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98
10. ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის სიტყვა წარმოთქმული ამიერკავკასიის სეიმზე, (30. 03. 2019) იხ. https://civiledu.wordpress.com/2016/05/18/%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98-2
11. იმედაშვილი, იოსებ ჩვენი აღდგომა // თეატრი და ცხოვრება. - 1918. - N7. - გვ.2-3 (15. 06. 2019) (იხ.https://civiledu.wordpress.com/2016/05/16/%E1%83%A9%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%93%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%90)
12. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი. (28. 06. 2019)
13. დედათდიაკვნობის ინსტიტუტი (22. 04. 2019) http://patriarchate.ge/geo/dedatdiakvnobis-instituti- -diakonisebis-kurtxeva/
14. „ეკლესია, რომელიც ქალებმა გადაარჩინეს“ ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (28. 05. 2019) https://www.tdi.ge/ge/page/eklesia-romelic-kalebma-gadaarchines
15. ურთიერთკავშირები ისლამსა და ქრისტიანობას შორის (28. 05. 2019)

http://www.islam.ge/rf/index.php

16. ზექათის გაცემა (22. 03. 2019) https://dinislami.weebly.com/4310430843254304431143124321-43064304433043084315430 4.html
17. პავლე მოციქულის ეპოსტოლე კორინთელთა მიმართ პირველი 11:7, 11:8
18. პავლე მოციქულის ეპოსტოლე კორინთელთა მიმართ პირველი 11:7, 11:8
19. ჰაჯობა (21. 05. 2019) http://www.muslimgeorgia.org/index.php?isID=1606
20. საბედაშვილი თ., (2006). ქალთა უფლებების თეორიული ასპექტები (11. 03. 2019) http://dictionary.css.ge/content/early-soviet-union-20ies-and-30ies-and-gender
21. ფირცხალავა ნათია, სტალინური ეპოქა - ქალები (17. 04. 2019) http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=10324
22. სტალინი - ქართველი ქალის „ქომაგი“ ჯიმშერ რეხვიაშვილი (9. 03. 2019) https://www.radiotavisupleba.ge/a/stalin-and-georgian-women/24922000.html
23. სრუია ფ., 14, ანაწ. 1. ს. 530, ფურც. 141
24. Социальная категория пола. Философия. Изд. Кронн-пресс., М., 1995
25. В храме и дома (22. 05 2019), https://www.labirint.ru/screenshot/goods/394946/1/
26. Walters S.D. Caught in the Web (27.06. 2019) https://www.google.ge/search?ei=R-m4XI7aCILqrgSz-bmgCw&q=Walters+S.D.+Caught+in+the+Web&oq=Walters+S.D.+Caught+in+the+Web&gs_l=psy-ab.3...1488.4614..5571...0.0..0.253.2610.0j16j2.....0....1j2..gws-wiz.....0.FKJ0ujEfxdI
27. ურთიერთკავშირები ისლამსა და ქრისტიანობას შორის (12. 05. 2019) http://www.islam.ge/rf/index.php
28. სტალინი - ქართველი ქალის „ქომაგი“ ჯიმშერ რეხვიაშვილი (12. 05.2019) https://www.radiotavisupleba.ge/a/stalin-and-georgian-women/24922000.html

29. women under Stalin (15. 06. 2019)
http://blogs.bu.edu/guidedhistory/russia-and-its-empires/chelsea-adler
30. The role of women in Soviet Russia (21. 04. 2019)
https://blogs.bu.edu/guidedhistory/moderneurope/molly-wolanski
31. Gender(11. 03. 2019)
https://www.americanprogress.org/issues/religion/news/2018/05/03/450268/efforts-women-faith-achieve-gender-equality/?fbclid=IwAR2W1bXAHsq8XPCxJP_uZGPJ7GExeYlgFuM3N9lsUqdYPeUx99eMHSszxGs
32. Мезенцева О., Статус женщины в индуизме XIX-XX в.в. Феминизм: Восток. Запад. Россия. - М., Наука, издательская фирма „Восточная литература“, 1993.

II სამეცნიერო ლიტერატურა

33. აბზიანიძე გ., ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1959წ.
34. ბარბაქაძე ლ.,ჯიბის ცნობარი მართლმორწმუნე ქრისტიანისათვის; თბილისი, 2013 წ.
35. ბაქრაძე კ., ახალი ფილოსოფიის ისტორია; თბ., 1969წ.
36. ბენდიანიშვილი ა. ს., ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ., თბ., 1980წ.
37. ბულეიშვილი მ., ქართული ეკლესიის მსახურები რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობაში, თბ., 1991წ.
38. ბურკი პ., რენესანსი, თბ., 2001წ.
39. გელოვანი ნ., ქალი ისლამში (VII-X სს.). თბ., 2005.
40. გელოვანი ნ., ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია), თბ., 2009
41. გელოვანი ნ., თანამედროვე არაბული ქვეყნები, თბ., 2008.
42. გორგილაძე ლ., ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან, თბ., 1967წ.
43. ერსან ო., ქალი ისლამში მისი უფლებები და ღირსებები; ბათუმი., 2011წ.

44. ვარდოსანიძე ს., საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია 1917-1927წწ., თბ., 2000წ.
45. ვაჩნაძე მ., გურული ვ., რუსეთის ისტორია, თბ., 1996
46. ვაჩნაძე მ., გურული ვ., საქართველო - რუსეთის ურთიერთობა, თბ., 2001წ.
47. ვაჩნაძე მ., გურული ვ., საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 1998წ.
48. ვარდოსანიძე ს., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1918-1921, თბ., 2001
49. ვადაჭკორია შ., ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში, თბ., 2008.
50. კოვალიოვი ს. ი., საბერძნეთის ისტორია; თბ., 1938
51. კუტალია გ., დასავლეთ ევროპის ისტორია, თბ., 2015
52. ნიკოლსი ნ., რუსეთის ეკლესიის ისტორია, მოსკოვი, 1990.
53. ომიაძე ს., გენდერის ცნება ფილოსოფიასადა ლინგვისტიკაში; თბ., 2010
54. ქაზემზადე ქ., ბრძოლა ამიერკავკასიისათვის 1917-1921, თარგმნა ქ. ქავთარაძემ, თბ., 2016.
55. პავლიაშვილი ქ., ქრისტიანობის ისტორია; 2010
56. პავლიაშვილი ქ., საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია 1800-1945, თბ., 2008
57. პავლიაშვილი ქ., საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917წწ., თბ., 1995წ.
58. პავლიაშვილი ქ., საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია 1917-1921 წწ., თბ., 2000წ.
59. პეტროზილო, პიერო. ქრისტიანობის ლექსიკონი/პიერო პეტროზილო; თბ.: სულხან-საბაორბელიანის სასწ. უნ-ტის გამოც., 2011. - 434გვ.; 24სმ.. - ყდაზე: ბერნარდ ო., ნეტარი ქალწული მარიამის გვირგვინით შემკობა.
60. პლუტარქე, პარალელური ბიოგრაფიები.
61. როგავა გ., როგორ ებრძოდნენ რელიგიასა და ეკლესიას საქართველოში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1996

62. როგავა გ., საქართველოს ეკლესიის ისტორია, თბ., 1996წ.
63. როგავა გ., ქრისტიანული რელიგია და ეკლესია საქართველოში 1801-1917წწ., 1997წ.
64. სილაგაძე ე., „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ისტორია“, სადისერტაციო ნაშრომი, თბ; 2016
65. ტონია ნ., ნადარეიშვილი ქ., პენელოპე, თბ., 2003
66. ფორაქიშვილი ზ., დუხობორობა საქართველოში, თბ., 1965
67. წითლანაძე თ.,ქარჩავა თ., „ბრალდებულის დაცვა საინკვიზიციო სასამართლოში, შუასაუკუნეების ისტორიის საკითხები“, VII, თბ., 2005,
68. „წმიდანთა ცხოვრება“, ტომი III, თბილისი, 2001.
69. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) ენ
70. ხუციშვილი მ., როგორ ებრძოდნენ რელიგიასა და ეკლესიას საქართველოში 20-30 წლებში, თბ., 1994
71. ხუციშვილი მ., საქართველო ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX სს., თბ., 1987
72. ხუციშვილი ი. გ., 1905-1907 წლების რევილუცია საქართველოში, თბ., 1955წ.
73. ხუციშვილი გ. ნ., საქართველოს საეგზარქოსოს რეაქციული ღონისძიებები რევოლუციური მოძრაობის განვითარების პერიოდში, თბ., 1972 წ.
74. ჯანაშვილი მ., საქართველოს ეკლესიის ისტორია, თბ., 1986
75. ჯაფარიძე ა., საქართველოს საეკლესიო კრებები, ტ. I-III, თბ., 2003 წ.
76. ჯაფარიძე ა., ვაჩნაძე მ., გურული ვ., ულოცველთა ჟამი, თბ., 2005 წ.
77. ВЛАДИСЛАВ ЦИПИН ЙСТОРИА ПРАВАСЛАВНАЯ ЦЕРКВИ
78. Мейер М. С., Послесловия редактора к книге Бахрие Учок „Женщина правитель в мусульманских государствах“, М., „Наука“, 1992
79. Даул Джиржис, Религия арбов до ислама. Бейрут. 1981
80. Данни Ф.М., Ислам и мусульманская община. Религиозные традиции мира - М., Кронн- Пресс, 1998. Т. 1
81. Еремеев Л.Б., Ислам. Политиздат, 1971.

82. Мезенцева О., Статус женщины в индуизме XIX-XX в.в. Феминизм: Восток. Запад. Россия. - М., Наука, издательская фирма „Восточная литература“, 1993.
83. Bibel Lexikon, Hrsg. Von H. Haag. St. Bennoverlay, Leipzig, 1969
84. Times of India, New Delhi, December 11, 1987.
85. Hole J. and Livine E., Rebirth of Femimism W.J. 1971.
86. Dali M. The Church and Second Sex. N,Y. 1968
87. Devis E. G. first Sex, 1972
88. Derrida S., Grammatology, J. Hopkins Univ. Press, 1976
89. O'Flaherty W. D., Textual Sources for the Study of Hinduism. Manchester Press, 1988
90. Sered Susan Starr, Women as Ritual Experts: The Religious Lives of Elderly Jewish Women in Jerusalem. N.Y., Oxford UP, 1992
91. The annual review of women in world religions. V.1-3 - Albany, 1992-94.
92. Плахов В. Д., Традиицция и Общество., М., Мысль, 1992
93. Burkert W., Greek Religion, Archaic and Classical, Basil Blackwell Publishing, 1985, (translated by J. Raffan
94. Elizabeth A.Wood. (1997). The *Baba and the Comrade*. Gender and Politics in Revolutionary Russia
95. Seibert I. , Die Frau im Alten Orient, Leipzig. 1973
96. United Nations Development Program (UNDP), 2013. Public Perception on Gender Equality in Politics and Business.
97. United Nations Development Program (UNDP), 2013. Public Perception on Gender Equality in Politics and Business
98. Bengston, V., L., Generation and Family Effects in Value Socialization, American Sociological Review, Vol. 40, No. 3, American Sociological Association Available at: http://www.jstor.org/stable/2094463 [Accessed: 30 October 2010]